ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ბრძანებათა
და
ინსტრუქციათა
კრებული

ISSN 0206-2674

თბილისი
1985

№ 1

იანვარი ЯНВАРЬ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

СБОРНИК
ПРИКАЗОВ
И
ИНСТРУКЦИЙ

ТБИЛИСИ
1985

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი ე. ქურციკიძე
ტექრედაქტორი ა. ბაკურაძე
კორექტორი ლ. დოლიძე

გადაეცა ასაწყობად 5/III-85 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/V-85 წ.;
ანაწყობის ზომა $6^1/_4 \times 9$; ქაღალდის ზომა 60×84; ნაბეჭდი თაბახი 5;
საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4

შეკვეთა № 158 უე 11512 ტირაჟი 6000

უფასო

საქართველოს სსრ განათლების საბინისტროს სტამბა, ნუცუბიძის ქ. № 7
Типография Министерства просвещения ГССР, ул. Нуцубидзе № 7

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1984 წლის 13 დეკემბრის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა და მასწავლებელთა მასობრივ და რესპუბლიკურ ღონისძიებათა 1985 წლის კალენდარული გეგმის შესახებ

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა და მასწავლებელთა მასობრივ და რესპუბლიკურ ღონისძიებათა 1985 წლის კალენდარული გეგმა (თან ერთვის).

2. განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველომ, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანაბლებლო სკოლების მოსწავლეთა და მასწავლებელთა მასობრივ და რესპუბლიკურ ღონისძიებათა კალენდარული გეგმა დაიყვანონ სკოლებამდე, სკოლამდელ და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებამდე.

3. წინადადება მიეცეს სამინისტროებს, ორგანიზაციებსა და უწყებებს მასობრივი და რესპუბლიკური ღონისძიებების ჩატარებისას იხელმძღვანელონ ამ კალენდარული გეგმით. ყოველი მასობრივი ღონისძიება მოსწავლეთათვის და სახალხო განათლების მუშაკთათვის შეთანხმებული უნდა იქნას განათლების სამინისტროსთან და განათლების ადგილობრივ ორგანოებთან.

4. კონტროლი აღნიშნული გეგმის შესრულებაზე დაევალოს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ო. ქინქლაძე

საქ. სსრ კ. მარქსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა და მასწავლებელთა მასობრივ და რესპუბლიკურ ღონისძიებათა 1985 წლის კალენდარული გეგმა

№	ღონისძიების დასახელება	ჩატარების დრო	პასუხისმგებელი
1	2	3	4
1	ბავშვებისა და ახალგაზრდებისა-ვის მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების კვირეული	იანვარი	აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური
2	მეცნიერული კომუნიზმის სკოლების ხელმძღვანელთა 1-ლი რესპუბლიკური კონფერენცია	იანვარი	კადრების სამმართველო
3	ტურისტული სადგურების დირექტორების, განყოფილების გამგეების, ექსკურსიამძღოლების რესპუბლიკური თათბირ-სემინარი	იანვარი	ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული სადგური, აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო
4	საექსპედიციო რაზმების ხელმძღვანელთა ზონალური თათბირ-სემინარი	იანვარი	ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული სადგური, აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო
5	დაწყებითი სამხედრო მომზადებისა და სამხედრო-პატრიოტული აღზრდის რაიონული მეთოდისტების თათბირ-სემინარი	იანვარი	დაწყებითი სამხედრო მომზადების სამმართველო
6	თვითნაკეთი სათამაშოების მე-12 რესპუბლიკური კონკურსი	თებერვალი	ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე, აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო
7	ტურიზმის ორგანიზატორ-პედაგოგთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი	თებერვალი	ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული სადგური, აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო
8	ნორჩ გეოლოგთა მე-7 რესპუბლიკური შეკრება	მარტი	ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე, აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

1	2	3	4
9	ნორჩ მეჩაიეთა და მეციტრუსეთა 1-ლი რესპუბლიკური შეკრება-სემინარი	მარტი	აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, ნორჩ ნატურალისტთა სადგური
10	რესპუბლიკური ოლიმპიადები მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში	მარტი	სკოლების სამმართველო
11	ექსკურსია საბჭოთა კავშირის გმირ ქალაქებში	მარტი	ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული სადგური, აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო
12	ნორჩ ფიზიკოსთა წრეების ხელმძღვანელთა სემინარი	აპრილი	ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური, აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო
13	სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების მეთოდისტთა თათბირ-სემინარი	აპრილი	სახელმძღვანელოების სამმართველო
14	რესპუბლიკის სწავლული და მეთოდისტი პედაგოგების მეთოდური სემინარი თემაზე: „ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის განხორციელების მეთოდური უზრუნველყოფის პრობლემები“	აპრილი	ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიეროკვლევითი ინსტიტუტი
15	მოსწავლეთა მე-40 რესპუბლიკური სასწავლო - შემოქმედებითი კონფერენცია	აპრილი	ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

1	2	3	4
15	მე-18 რესპუბლიკური ოლიმპიადა მშობლიურ ლიტერატურაში	აპრილი	სკოლების სამმართველო
16	რესპუბლიკური ოლიმპიადა რუსულ ენაში არარუსული სკოლების მოსწავლეთათვის	აპრილი	სკოლების სამმართველო
17	ნორჩ მექანიზატორთა მე-3 რესპუბლიკური კონკურსი	აპრილი	სკოლების სამმართველო
18	რესპუბლიკური თათბირ-სემინარი თემაზე „ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებების შესრულებისათვის მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლების, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის გაუმჯობესების საქმეში სახალხო განათლებისა და საბაზო საწარმოების ერთობლივი მუშაობის შესახებ	აპრილი	სკოლების სამმართველო
19	რესპუბლიკური ოლიმპიადა ქართულ ენაში არარუსული სკოლების მოსწავლეთათვის	აპრილი	სკოლების სამმართველო
20	ნორჩ ფოტომოყვარულთა 21-ე რესპუბლიკური კონკურსი და ნორჩ ტექნიკოსთა და ფოტომოყვარულთა შემაჯამებელი გამოფენების მოწყობა	მაისი	აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური საადგური
21	ახალგაზრდა პედაგოგთა მე-4 რესპუბლიკური ტურისტული შეკრება-შეჯიბრება	მაისი	აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული საადგური
22	ბავშვთა ტურისტული სადგურების დირექტორთა და ექსკურსიამძღოლთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი	მაისი	აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული საადგური

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1	2	3	4
23.	ნორჩ მხაზველთა 23-ე და ნორჩ არქიტექტორთა მე-3 რესპუბლიკური კონკურსი	მაისი	ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე, აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო
23ა.	„ცისკრის“ რესპუბლიკური ფინალი	მაისი	ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე, აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო
24.	სასკოლო ინტერკლუბების, მუზეუმების, კუთხეების მე-5 რესპუბლიკური დათვალიერება	მაისი	აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო
25.	ფაშიზმზე გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი ალპინიადა	მაისი	ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული სადგური, აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო
26.	ახალგაზრდა პედაგოგთა მე-4 რესპუბლიკური ტურისტული შეკრება-შეჯიბრება დაბა ბაკურიანში	მაისი	ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული სადგური, აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო
27.	რესპუბლიკური თათბირ-სემინარი თემაზე: „სკოლამდელთა ესთეტიკური აღზრდის ამოცანები“	მაისი	სკოლამდელი აღზრდის სამმართველო
28.	ფაშიზმზე გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი პიონერ-მოსწავლეთა მე-10 რესპუბლიკური ტურისტული შეჯიბრება	ივნისი	ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული სადგური, აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო
29.	საერთაშორისო, საკავშირო და რესპუბლიკური სპორტული ღონისძიებები დამტკიცებული კალენდარული გეგმის შესაბამისად	წლის განმავლობაში	ფიზიკური აღზრდის სამმართველო, დაწყებითი სამხედრო მომზადების, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1	2	3	4
30.	ოქროს მედლების გადაცემის საზეიმო ცერემონიალი	ივნისი	აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო
31.	ნორჩ რადიოსპორტსმენთა მე-18 რესპუბლიკური შეჯიბრება	ივნისი	ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური, აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო
32.	ნორჩ ავტომოდელისტთა მე-6 რესპუბლიკური შეჯიბრება	ივნისი	ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური, აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო
33.	ნორჩ გემთმოდელისტთა მე-19 რესპუბლიკური შეჯიბრება	ივნისი	ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური, აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო
34.	პიონერ-მოსწავლეთა მე-10 რესპუბლიკური ტურისტული შეჯიბრება	ივნისი	ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული სადგური, აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო
35.	სამხედრო-პატრიოტული თამაშის „ცისკრის“ რესპუბლიკური ფინალი	ივნისი	დაწყებითი სამხედრო მომზადების სამმართველო
36.	ნორჩ რაკეტამოდელისტთა მე-10 რესპუბლიკური შეჯიბრება	ივლისი	აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური
37.	ნორჩ ავიამოდელისტთა 53-ე რესპუბლიკური შეჯიბრება	ივლისი	აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური

ეროვნული ბიბლიოთეკა

1	2	3	4
38.	პიონერ-მოსწავლეთა მე-5 საკავშირო ტურისტულ შეჯიბრებაში მონაწილეობა	ივლისი	აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული სადგური
39.	ინტერნატული ტიპის დაწესებულებათა ხელმძღვანელი მუშაკების რესპუბლიკური თათბირ-სემინარი შრომითი სწავლების საკითხებზე	აგვისტო	სკოლა-ინტერნატების, სპეცსკოლებისა და საბავშვო სახლების სამმართველო
40.	პიონერ-მოსწავლეთა მე- 5 საკავშირო შეჯიბრების მონაწილე გუნდების წარმომადგენელთა შეკრება	ოქტომბერი	ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული სადგური
41.	ნორჩ ფოლკლორისტთა მე-7 რესპუბლიკური შეკრება-სემინარი	ოქტომბერი	ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე, აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო
42.	სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების აქტუალური პრობლემები“	ოქტომბერი	სკოლების სამმართველო
43.	ნორჩ ფოტომოყვარულთა წრეების ხელმძღვანელთა სემინარი	ნოემბერი	ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური, აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო
44.	ნორჩ კინომოყვარულთა ფესტივალი „თბილისური აისი“	ნოემბერი	ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე, აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

1	2	3	4
45.	რესპუბლიკური თათბირ-სემინარი გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების მუშაობის ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის მოთხოვნათა შუქზე	ნოემბერი	სკოლების სამმართველო
46.	მეთოდური კაბინეტების გამგეების რესპუბლიკური თათბირ-სემინარი	დეკემბერი	კადრების სამმართველო, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი
47.	საკრებულო „ქართული ენის საუნჯის“ მე-7 რესპუბლიკური შეკრება-სემინარი	დეკემბერი	აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე
48.	ნორჩ შემოქმედთა მე-5 რესპუბლიკური შეკრება-სემინარი	დეკემბერი	აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე
49.	რესპუბლიკური თათბირ-სემინარი რესპუბლიკის არარუსულ სკოლებში რუსული ენის სწავლების აქტუალური პრობლემების შესახებ	დეკემბერი	სკოლების სამმართველო
50.	ნორჩ ტექნიკოსთა, ნატურალისტთა და მკვლევართა მე-2 რესპუბლიკური დათვალიერება	დეკემბერი	აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური
51.	ნორჩ ტექნიკოსთა, რადიომოყვარულთა და ქიმიკოსთა რესპუბლიკური დაუსწრებელი კლუბების გახსნა	დეკემბერი	აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1984 წლის 13 დეკემბრის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„სოფლის სკოლების მასწავლებელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1983 წლის 8 დეკემბრის № 19-10 გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონების (ქალაქების) სახალხო განათლების განყოფილებებმა სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონულ, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებთან ერთად სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 24 მაისის № 437 დადგენილების „სოფლის მოსახლეობის სოციალურ-კულტურული, საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურებისა და საცხოვრებელი პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის რეფორმასთან დაკავშირებით მიღებული მომდევნო დადგენილებების, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1983 წლის 8 დეკემბრის № 19-10 გადაწყვეტილების „სოფლის სკოლების მასწავლებელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ შესაბამისად გარკვეული მუშაობა გასწიეს სოფლის სკოლების მასწავლებელთა მუშაობისა და ცხოვრებისათვის სათანადო პირობების შექმნის საქმეში.

გასულ წელთან შედარებით რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მასწავლებელთა საცხოვრებელი პირობები. თუ 1981 წელს დაქირავებულ ბინებში ცხოვრობდა რესპუბლიკის მასწავლებელთა საერთო რაოდენობის 3,9%, 1982 წელს 3,3%, 1983 წელს ეს რიცხვი 3,1%-მდე შემცირდა. ანალოგიურად კლებულობს დაქირავებულ ბინებში მცხოვრებ ახალგაზრდა სპეციალისტთა რიცხვიც. თუ 1981 წელს აღნიშნულ ბინებში ცხოვრობდა მასწავლებელთა საერთო რაოდენობის 1,6%, 1982 წელს — 19,4%, 1983 წელს ეს მაჩვენებელი 1,1%-მდე შემცირდა.

საგრძნობლად იმატა ამავე წლებში საკუთარ და კომუნალურ ბინებში მცხოვრებ მასწავლებელთა და მათ შორის ახალგაზრდა სპეციალისტთა რაოდენობამ.

გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფო კაპიტალდაბანდების სახსრებით მასწავლებელთა სახლების მშენებლობის გეგმა: 1982 წელს გეგმა შესრულდა 108,0%-ით, ხოლო 1983 წელს — 100,2%-ით.

მნიშვნელოვნად გაიზარდა კომუნალური მომსახურებისათვის გამოყენებული ხარჯები: თუ 1981 წელს გეგმა შესრულდა 96,4%-ით, 1982 წელს — 102,0%-ით, 1983 წელს ეს მაჩვენებელი 103,0%-მდე გაიზარდა.

ერთგვარად გაუმჯობესდა ინდივიდუალური ბინათმშენებლობისა და მეურნეობის მოსაწყობად სოფლის მასწავლებელთა მიერ სახელმწიფო ბანკის კრედიტით სარგებლობის საქმეც. თუ 1981 წელს სახელმწიფო ბანკის კრედიტით ისარგებლა სოფლის მასწავლებელთა 0,6%-მა, 1982 წელს — 0,6%-მა, 1983 წელს ეს მაჩვენებელი 0,7%-მდე გაიზარდა.

გაუმჯობესდა, აგრეთვე. სოფლის მასწავლებელთათვის კვების პროდუქტების სახელმწიფო ფასებში მიყიდვისა და დეფიციტური სამრეწველო საქონლით მომარაგების მდგომარეობა.

სათანადო ყურადღება ექცევა სოფლის მასწავლებელთა სამედიცინო, საკუროორტო-სანატორიულ მომსახურებას. სისტემატურად წარმოებს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში ეწევათ პროფილაქტიკური სამკურნალო დახმარება. ყოველწლიურად, საშუალოდ, მათთვის გამოიყოფა სანატორიუმისა და დასასვენებელი სახლების 2500 საგზური: თუ 1981 წელს საგზურებით ისარგებლა 2594-მა მასწავლებელმა, ანუ 3,23%, 1982 წელს — 2768, ანუ 3,44%, 1983 წელს ეს მაჩვენებელი 3439-მდე, ანუ 4,41%-მდე გაიზარდა.

სათანადო ყურადღება ეთმობა აგრეთვე განათლების სისტემაში მომუშავე დიდი სამამულო ომის მონაწილეთა და, განსაკუთრებით, ინვალიდთა კომუნალურ მომსახურებას. კანონით გათვალისწინებული შეღავათებით სარგებლობენ აგრეთვე ის მასწავლებლები, რომლებიც ცოდნას უმაღლეს სასწავლებლებში წარმოებიდან მოუწყვეტლივ იმაღლებენ.

მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მასწავლებელთა სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენებას, მათ მორალურ და მატერიალურ სტიმულირებას: 1981 წელს სხვადასხვა ჯილდოებით რესპუბლიკაში წახალისდა 1212 მასწავლებელი, 1982 წელს — 2031, ხოლო 1983 წელს — 1914.

ამასთანავე, სოფლის სკოლების მასწავლებელთათვის მუშაობისა და ცხოვრების სათანადო პირობების შექმნის საქმეში კვლავ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

რესპუბლიკის სოფლის მასწავლებელთა საერთო რაოდენობის 5,4% კვლავ დაქირავებულ ბინებში ცხოვრობს. მაგალითად, ახალციხის რაიონის სოფლის 543 მასწავლებლიდან დაქირავებულ ბინებში ცხოვრობს 86 ანუ 15,8%, დუშეთის რაიონის 534 მასწავლებლიდან 163 ანუ 30,5%. ანალოგიური მდგომარეობაა კასპის (11,0%), ქარელის (16,7%), ონის (20,1%) და თეთრი წყაროს (28,7%) რაიონებში. გასულ წელთან შედარებით გაიზარდა დაქირავებულ ბინებში მცხოვრებ

მასწავლებელთა რიცხვი: ქ. წყალტუბოს ზონის (2,0%), დუშეთის (30,5%) და წულუკიძის (14,1%) რაიონებში.

მეთერთმეტე ხუთწლედში კვლავ მოითხოვენ მასწავლებელთა სახლების მშენებლობას: აბაშის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, გარდაბნის, დუშეთის, მცხეთისა და გალის რაიონების განათლების განყოფილებები.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საინიციატივო წესით 1983 წლისათვის რესპუბლიკის არც ერთი რაიონის კოლმეურნეობას და საბჭოთა მეურნეობას არ აუშენებია მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლი. უფრო მეტიც, არც ერთ მათგანს პერსპექტივაში არა აქვს გათვალისწინებული მათი მშენებლობა.

დღემდე უფასო კომუნალური მომსახურებით არ სარგებლობენ ასპინძის, თელავის, ხობის, თერჯოლისა და სხვა რაიონების სკოლამდელი აღზრდის მუშაკები.

თანხის უქონლობის გამო სახელმწიფო ბანკის გრძელვადიანი სესხით ინდივიდუალური სახლების მშენებლობისათვის 1983 წელს ვერ ისარგებლეს ახმეტის, ბორჯომის, გურჯაანის, ყაზბეგის, ქარელის, ონის, ლაგოდეხის, სამტრედიის, სიღნაღის, თელავის, თეთრი წყაროს, თიანეთისა და წულუკიძის რაიონების სოფლის მასწავლებლებმა.

კვლავაც არ არის მოგვარებული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ სურსათის სახელმწიფო ფასებში მასწავლებელთათვის მიყიდვის საქმე აბაშის, ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, ბოგდანოვკის, მაიაკოვსკის, თერჯოლის, წულუკიძისა და სხვა რაიონებში, რაც მასწავლებლების სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

ავარიულ მდგომარეობაშია და საჭიროებს შეკეთებას მცხეთის რაიონის სოფელ მისაქციელის საშუალო სკოლასთან არსებული მასწავლებლის სახლი. კაპიტალური რემონტის ჩატარებას მოითხოვენ ამავე რაიონის სოფლების გალავნისა და ძეგვის მასწავლებელთა სახლები. სოფელ ქსნის მასწავლებელთა სახლს, რომელშიც 3 მასწავლებელი ცხოვრობს, 10 წელია რემონტი არ ჩატარებია. ამვე რაიონის სასოფლო საბჭოების აღმასკომები არავითარ დახმარებას არ უწევენ მასწავლებლებს საცხოვრებელი სახლების რემონტისა და კეთილმოწყობისათვის საშენი მასალების გამოყოფაში. ცხაკაიას რაიონის სოფელ ეკის მასწავლებელთა სახლის ორ ოთახში შესახლებული არიან სხვა უწყების მუშაკები, მაშინ როდესაც ჩასული მასწავლებელი დ. თევზაძე ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს.

1983 წელს სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურები არ გამოეყოთ ბოგდანოვკისა და თელავის რაიონების სოფლების მასწავლებლებს.

დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ ზოგი რაიონის (გორის, ლაგოდეხის, ბოლნისის, მცხეთის, ქარელის, ცაგერისა და წალენჯიხის) სასოფლო საბჭოების აღმასკომები მხოლოდ შეშის (ქვანახშირის) ფულს გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიცხავენ, მისი მიზიდვის ხარჯებს კი თვით მასწავლებლებს აკისრებენ. მაგალითად; ვერ ხერხდება მასწავლებელთათვის საწვავის გამოყოფა და მისი ბინაზე მიტანა ქარელის რაიონში იმის გამო, რომ მას არ გააჩნია საამისო ხე-ტყის სარეალიზაციო ბაზა. ამასთანავე, ამ რაიონის სასოფლო საბჭოებს არ აქვთ გათვალისწინებული საწვავი საკმაო ნორმებით. მასწავლებელთა ოჯახები საწვავით ვერ უზრუნველყვეს ლანჩხუთის რაიონში იმის გამო, რომ სასოფლო საბჭოს აღმასკომი ამისათვის საკმარისად არ არის დაფინანსებული.მცხეთის რაიონის წილკნის სასოფლო საბჭოში შემავალ მასწავლებლებს შეშის შესაძენად რამდენჯერმე უხდებათ მისვლა, რის შემდეგ იძულებულნი ხდებიან უარი თქვან მის მიღებაზე. ანალოგიური მდგომარეობაა ამავე რაიონის წეროვნის, ნიჩბისის, საგურამოს, მუხრანისა და გლდანის სასოფლო საბჭოებში. აღნიშნული საბჭოები მხოლოდ განათების ღირებულებას უხდიან მასწავლებლებს. მასწავლებლებს საწვავით ვერ ამარაგებენ ცაგერის რაიონის სასოფლო საბჭოების აღმასკომები, რადგანაც სატყეო მეურნეობებს ამისათვის სათანადო ფონდი არ გააჩნიათ. მასწავლებლებს დეკემბრის თვემდე შეშით ვერ ამარაგებენ დუშეთისა და ბორჯომის რაიონები, მიუხედავად იმისა, რომ სასოფლო საბჭოების აღმასკომები დროულად ურიცხავენ სატყეო მეურნეობებს საწვავის ღირებულებას. მასწავლებლებს საწვავით მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებენ ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონების სასოფლო საბჭოები, მაშინ როდესაც გასათვალისწინებელია ამ რაიონებში ზამთრის ხანგრძლივობა და მკაცრი კლიმატური პირობები. 1983 წელს საწვავი საერთოდ არ მიუღიათ ბოლნისის რაიონის სოფელ ქოშაკლისისა და წალკის რაიონის სოფელ ავრანლოს მასწავლებლებს, რამაც გამოიწვია მათი სამართლიანი უკმაყოფილება და განათლების სამინისტროში წერილების წერა.

რესპუბლიკის რიგი რაიონის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომში ნაკლებად ზრუნავენ ადგილობრივ და ჩამოსულ მასწავლებელთათვის მიწის ნაკვეთების, სათიბებისა და საძოვრების გამოყოფაზე. აღნიშნულის გამო ხშირია ამ საკითხებზე საჩივრები ზემდგომ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში. მაგალითად, ქ. გაგრის ზონის სოფელ ალახაძის საშუალო სკოლის მასწავლებელი ა. ნერსისიანი, რომელიც ოჯახით დაქირავებულ ბინაში ცხოვრობს, ზაფხულის პერიოდში ორი მცირეწლოვანი ბავშვით იძულებულია სხვა ბინა ეძებოს იმის გამო, რომ სასოფლო საბჭოს აღმასკომი ზაფხულის თვეებში არ უხდის ბინის ქირას. აღნიშნულის შედეგად მან მოითხოვა 0.25 ჰა მიწის ნაკვეთი ბინათმშენებლობისათვის, მაგრამ სასოფლო საბჭომ კვლავ არ დააკმაყოფილა მისი თხოვნა. ბინის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფას მოითხოვენ აგრეთვე თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალარის საშუალო

სკოლის მასწავლებლები ე. ჯაფაროვი, შ. რუსტამოვი და ვ. მირზოევა, რომლებიც წლების მანძილზე მასწავლებელთა სახლში ცხოვრობენ. ანალოგიური განცხადებებით განათლების სამინისტროს მიმართეს ბოლნისის რაიონის სოფელ ქვემო ბოლნისის საშუალო სკოლის მასწავლებლებმა შ. მეხტიევმა და ა. ტალიბოვმა, რომლებიც 3 წელია ნაქირავებ ბინებში ცხოვრობენ. მათი თხოვნა მხოლოდ სამინისტროს ჩარევის შემდეგ იქნა დაკმაყოფილებული.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 24 მაისის № 437 დადგენილების „სოფლის მოსახლეობის სოციალურ-კულტურული, საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურებისა და საცხოვრებელი პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის რეფორმასთან დაკავშირებით მიღებული მომდევნო დადგენილებებისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1983 წლის 8 დეკემბრის № 19-10 გადაწყვეტილების „სოფლის სკოლების მასწავლებელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ შესასრულებლად და სოფლის მასწავლებელთათვის მუშაობისა და ცხოვრების პირობების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით კოლეგიამ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა კვლავაც განუხრელად იხელმძღვანელონ „სოფლის სკოლების მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 24 მაისის № 437 დადგენილებით და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის რეფორმასთან დაკავშირებით მიღებული მომდევნო დადგენილებებით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროების შესაბამისი ბრძანებებით და უზრუნველყონ მათი შესრულება;

1. 1. კოლეგიის ამ გადაწყვეტილების საფუძველზე შეისწავლონ და განათლების საბჭოს მსჯელობის საგნად გახადონ სოფლის სკოლის მასწავლებელთა მუშაობისა და ცხოვრებისათვის ნორმალური პირობების შექმნის საკითხი, დასახონ კონკრეტული ღონისძიებები და იზრუნონ მათი განხორციელებისათვის;

1. 2. მკაცრი კონტროლი დააწესონ სოფლის სკოლის მასწავლებელთა და სკოლამდელი დაწესებულებების აღმზრდელთათვის კანონმდებლობით დაწესებული შელავათების დაცვაზე. პერიოდულად შეისწავლონ აღნიშნული საკითხი და სათანადო ინფორმაცია მიაწოდონ ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს; მათი დახმარებით მიაღწიონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, წარმოება-დაწესებულებების ფართო მონაწილეობას სოფლის მასწავლებელთათვის მუ-

შაობისა და ცხოვრებისათვის ნორმალური პირობების შექმნის საქმეში.

1. 3. ახმეტის, ბორჯომის, გურჯაანის, ყაზბეგის, ქარელის, ონის, ლაგოდეხის, სამტრედიის, სიღნაღის, თელავის, თეთრი წყაროს, თიანეთისა და წულუკიძის რაიონების განათლების განყოფილებებმა დროულად აღძრან შუამდგომლობა სასოფლო საბჭოების წინაშე მასწავლებელთათვის სახელმწიფო ბანკის კრედიტის გამოყოფის შესახებ, ხოლო ბოგდანოვკისა და თელავის რაიონების განათლების განყოფილებებმა 1985 წელს სოფლის მასწავლებლებს გამოუყონ სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურები.

2. ეთხოვოს სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

2. 1. ასპინძის, თელავის, ხობის, თერჯოლის რაიონებში დაუყოვნებლივ უზრუნველყონ სოფლის სკოლის, სკოლამდელი აღზრდის მუშაკები უფასო კომუნალური მომსახურებით;

2. 2. აბაშის, ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ხობის, მაიაკოვსკის, თერჯოლისა და წულუკიძის რაიონებში კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სოფლის სკოლების მასწავლებელთათვის აწარმოონ კვების პროდუქტების სახელმწიფო ფასებში მიყიდვა და გამოუყონ მათ ზოგიერთი დეფიციტური სამრეწველო საქონელი;

2. 3. მცხეთის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დახმარება აღმოუჩინონ სოფლების მისაქციელისა და ქსნის საშუალო სკოლებთან არსებულ მასწავლებელთა სახლებში მცხოვრებ პედაგოგებს კაპიტალური რემონტის ჩატარების, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების შეკეთებისა და კეთილმოწყობისათვის საშენი მასალების გამოყოფის საქმეში;

2. 4. გორის, ლაგოდეხის, ბოლნისის, მცხეთის, ქარელის, ცაგერისა და წალენჯიხის რაიონებში კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა იზრუნონ მასწავლებლების საწვავით უზრუნველყოფისათვის.

3. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაეკისროს კადრების სამმართველოს (ამხ. ა. ვაჩნაძე).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ო. ქინქლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1984 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება

რესპუბლიკის თერთმეტწლიანი სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების 1-ლ კლასებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზებისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების შესახებ

F-300

რესპუბლიკაში სკოლის რეფორმის საწყისი ეტაპის წარმატებით განხორციელება მნიშვნელოვნად განაპირობა ექვსწლიანებთან მუშაობის დარგში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სახალხო განათლების ორგანოების მდიდარმა გამოცდილებამ.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის თერთმეტწლიან სწავლებაზე გადაყვანისა და ექვსწლიან ბავშვთა 1-ლ კლასში მიღების შესახებ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 22 ივნისის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1984 წლის 27 ივნისის № 492 და 1984 წლის 2 ივლისის № 502 ბრძანებებში თანმიმდევრულად ჩამოყალიბდა მოთხოვნები 1-ლ კლასებში ექვსწლიანთა ჩარიცხვისა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის წარმართვისადმი.

აღნიშნული ბრძანებების შესაბამისად, განათლების სამინისტრომ მოამზადა ექვსწლიანთა 1-ლი კლასის სასწავლო გეგმა, რომლის საფუძველზეც დროულად შეიქმნა და სკოლებს დაეგზავნა სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები, მეთოდიკური რეკომენდაციები თერთმეტწლიანი სკოლის 1-ლი კლასის ყველა სასწავლო საგანში, მითითებები ბავშვთა ჰიგიენური აღზრდის საკითხებზე, მცირეკომპლექტიან სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციის შესახებ, თერთმეტწლიანი სკოლის 1-ლ კლასში შრომითი სწავლების გაკვეთილის დაგეგმვის ზოგიერთი საკითხის შესახებ, ქართული ენის გაკვეთილების გეგმა-კონსპექტები 1-ლი კლასის მასწავლებელთათვის და ა. შ. გაზეთ „სახალხო განათლების" ფურცლებზე სისტემატურად ქვეყნდებოდა მასალები ექვსწლიანთა 1-ლ კლასში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის წარმართვის აქტუალურ პრობლემებზე; აღნიშნული კლასის მასწავლებელთა სამსახურში ჩადგა პოპულარულ ტელეგადაცემათა სერია „მასწავლებლის საათი", თერთმეტწლიანი სკოლის 1-ლ კლასში სწავლების საკითხებზე მიზნობრივი გადამზადება გაიარა რესპუბლიკის 3874-მა მეთოდისტმა და მასწავლებელმა; ექვსწლიანთა სწავლების ორგანიზების მიზნით ადგილებზე მეთოდური დახმარება გაეწია ბევრ პრაქტიკოს მასწავლებელს. მომზადდა და პრაქტიკულ საქმიანობაში ხელმძღვანელობისათვის სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებს, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს დაეგზავნა „სკოლის რეფორმის ძირითად

საქ. სსრ. მაკ. ...

მიმართულებათა განხორციელების კომპლექსური ღონისძიებანი".

შრომატევადი სამუშაო შეასრულა სკოლებისა და საგეგმო-საფინანსო სამმართველოების მუშაკებისაგან შემდგარმა საკონსულტაციო ჯგუფმა, რომელმაც სასწავლო წლის დასაწყისში სამინისტროში შემოსულ უამრავ წერილობითსა და ზეპირ შეკითხვაზე ღრმა და ამომწურავი პასუხი გასცა. მანვე, მცირეკომპლექტიან სკოლებში ექვსწლიანებთან მუშაობის ორგანიზაციულ სიძნელეთა გათვალისწინებით ,მოამზადა და ადგილებზე დაგზავნა ორი და სამკომპლექტიანი კლასის სავარაუდო გაკვეთილის ცხრილები, რამაც აღნიშნულ სკოლებს მნიშვნელოვნად გაუადვილა სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყება.

განათლების სამინისტროსა და სახალხო განათლების ორგანოების, სკოლების მიერ გატარებული ენერგიული ღონისძიებების შედეგად წარმატებით გადაწყდა რეფორმით გათვალისწინებული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა — რესპუბლიკის 3611 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასა და 85 სკოლამდელ დაწესებულებაში მაღალკვალიფიციურ სპეციალისტ მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელმძღვანელობით სწავლას შეუდგა 67037 ექვსწლიანი ბავშვი.

სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებს კარგად ესმით, რაოდენ დიდ მოვალეობას აკისრებს მათ რეფორმის ძირითადი მოთხოვნები. ამ მოვალეობებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა რესპუბლიკის სახალხო განათლების ყველა რგოლი. მეთოდკაბინეტებსა და სკოლების მეთოდურ კუთხეებში მოეწყო თვალსაჩინოებათა, დიდაქტიკური მასალების სტენდები, რომელთაც თან ახლავს სხვადასხვა სახის განმარტებები და რეკომენდაციები; რაიონებსა და ქალაქებში, ადგილებზე, მუდმივად ტარდება ექვსწლიანთა 1-ლი კლასების მასწავლებელთათვის ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები, სემინარები. სისტემატურად ხდება გაკვეთილების მოსმენა, მასწავლებლებისათვის პრაქტიკული დახმარების გაწევა.

რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი საფეხურის სასწავლო-მატერიალურ უზრუნველყოფას. მათთვის, შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით, გამოიყო ფართო, ნათელი საკლასო, დასასვენებელი და საძინებელი ოთახები, მოეწყო გახანგრძლივებული დღის ჯგუფები; ამ მხრივ განსაკუთრებით კარგი მდგომარეობაა ქ. თბილისის 23-ე და 155-ე საშუალო სკოლებში, მე-14, 29-ე, 63-ე, 76-ე, 102-ე, 104-ე, 115-ე, 122-ე, 146-ე, ქ. ზუგდიდის, წითელწყაროს, საგარეჯოს რაიონების სკოლამდელ დაწესებულებებში.

შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ თერთმეტწლიანი სკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა 1-ლი კლასების დიდ ნაწილში მასწავლებლები მოხერხებულად იყენებენ სწავლების ეფექტიან მეთოდებსა და ხერხებს, გაკვეთილებს წარმართავენ ცოცხლად, თვალსაჩინო-დიდაქ-

ტიკური მასალების, სწავლების ტექნიკური საშუალებების აქტიურად გამოყენებით, რის შედეგადაც მოსწავლეები უფრო კარგ მომზადებას, აღზრდილობას, შრომითს უნარ-ჩვევებს ამჟღავნებენ, ვიდრე მათი წინამორბედი მოსამზადებელკლასელები.

ამასთან, თერთმეტწლიანი სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების 1-ლ კლასებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციაში ჯერ კიდევ გვხვდება ნაკლოვანებები.

რიგი სკოლების ექვსწლიანთა 1-ლ კლასებში ჩარიცხულნი არიან მოსწავლეები, რომელთაც 1-ლ ოქტომბრამდე არ შესრულებიათ ექვსი წელი (ქ. ზუგდიდის მე-9, აბაშის მე-2 და ქოლობნის საშუალო სკოლები), გვხვდება დაბადების მოწმობებში თარიღის გადასწორების შემთხვევები (წითელწყაროს 1-ლი, ქარელის მე-3 და აგარის, საგარეჯოს მე-2 და კაკაბეთის; ხობის მე-2, ხამისკურის, ხეთის საშუალო სკოლები). შემოწმებული სკოლების არც ერთ ჩარიცხულ მოსწავლეზე არაა გაფორმებული მედიკო-პედაგოგიური კომისიების დასკვნები, წითელწყაროს, ქარელის, საგარეჯოს, აბაშის რაიონების სკოლების დიდ უმრავლესობას კი არც სამედიცინო ფორმა № 26 გააჩნია.

ექვსწლიანთა 1-ლი კლასების ერთ ნაწილში არ ტარდება დილის გამამხნევებელი ვარჯიშები, ზოგან ექვსწლიანთათვის ჯერ კიდევ არ არის შექმნილი სათანადო სასწავლო-მატერიალური ბაზები, გახანგრძლივებულ დღის ჯგუფებში არაა გართობის, დასვენებისა და ძილის ნორმალური პირობები. შემოწმებული რაიონების თითქმის ყველა სკოლაში ერთჯერადი კვებაა დაწესებული.

ზოგიერთი მასწავლებელი საფუძვლიანად არ არის დაუფლებული ექვსწლიანთა პროგრამების ძირითად თავისებურებებს, რის გამოც შემოქმედებითად ვერ იყენებს 1-ლ კლასში მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს.

მიუხედავად იმისა, რომ ქ. თბილისის ზოგიერთ საბავშვო ბაგა-ბაღში არ იყო შესაფერისი მატერიალური ბაზა ექვსწლიანთა 1-ლი კლასები მაინც გაიხსნა (ქ. თბილისის მე-13, მე-14, 31-ე, 66-ე, 91-ე, 121-ე ბაგა-ბაღები).

რესპუბლიკის ცალკეული თერთმეტწლიანი სკოლისა და სკოლამდელი დაწესებულების 1-ლ კლასებში სწავლების დაწყების ორგანიზების საქმეში შემოწმებით გამოვლენილი ნაკლოვანებანი და დაშვებული დარღვევები, ძირითადად, საქმისადმი სკოლებისა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელების, მასწავლებლების უყურადღებო, გულგრილი დამოკიდებულების შედეგია.

აღნიშნულ კლასებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზებაში გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, ექვსწლიანთა სწავლების განუხრელად გაუმჯობესების მიზნით კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებებიდან გამომდინარე, რესპუბლიკის თერთმეტწლიანი სკოლების დაწყებით კლასებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებანი და მცირეკომპლექტიანი სკოლის გაკვეთილების სანიმუშო ცხრილები დამტკიცდეს.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

2. 1. კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე განიხილონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილება რესპუბლიკის თერთმეტწლიანი სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების 1-ლ კლასებში სწავლების დაწყების შედეგების შესახებ, ყოველმხრივ გააანალიზონ გაწეული მუშაობა და დასახონ ქმედითი ღონისძიებანი ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

2. 2. განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებები სკოლებში ექვსწლიანთა 1-ლი კლასების სასწავლო-მატერიალური ბაზის, გახანგრძლივებული დღის ჯგუფების პირობების ძირეული გაუმჯობესებისათვის. უზრუნველყონ სასადილოებისა და ბუფეტებისათვის შესაფერისი ოთახების გამოყოფა, ცხელი საუზმით მოსწავლეთა კვების ორგანიზაციის გაუმჯობესება;

2. 3. 1985—1986 სასწავლო წლისათვის ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან შეთანხმებით, დამატებით შეადგინონ ექვსწლიანთა 1-ლი კლასებისა და, საერთოდ, დაწყებითი კლასების სასწავლო-მატერიალური ბაზების განმტკიცების საქმეში შეფი ორგანიზაციების მონაწილეობის გეგმა; დაამტკიცონ იგი სახალხო დეპუტატთა საბსაბჭოს აღმასკომის სხდომებზე;

2. 4. თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობას საფუძვლად დაუდონ რესპუბლიკის თერთმეტწლიანი სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების 1-ლ კლასებში სწავლების თაობაზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები და სსრკ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიების გადაწყვეტილებები, ბრძანებები, მათში მოცემული დებულებების შესაბამისად შეიმუშაონ მოქმედების კონკრეტული გეგმები, უზრუნველყონ აღნიშნული დადგენილებების დროული და განუხრელი განხორციელება. განსაკუთრებული ყურადღება და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უთმონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების, ექვსწლიანთა 1-ლ კლასებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზებაზე ქმედით კონტროლსა და დახმარებას;

2. 5. სკოლამდელ დაწესებულებებში ექვსწლიანთა 1-ლი კლასის ქსელის გაფართოების კვალდაკვალ, თერთმეტწლიანი სკოლების დაწყებით კლასებში შექმნან სკოლამდელ დაწესებულებებში არსებული ბავშვთა სწავლების, აღზრდისა და ყოფა-ცხოვრების პირობებთან მიახლოებული გარემო. სისტემატური კონტროლი დააწესონ მოსწავლეთა სამედიცინო შემოწმებაზე, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე;

2. 6. განსაკუთრებული ყურადღება მიაქცეონ სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების ძალთა, როგორც სწავლებისა და აღზრდის აუცილებელი ფაქტორის, გაერთიანებას, პედაგოგიურ პრინციპებზე მის წარმართვას;

2. 7. სკოლამდელ დაწესებულებათა 1-ლი და სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა მეთოდური დახმარების მიზნით შეარჩიონ რაიონში (ქალაქში) საყრდენი სკოლები, მოაწყონ სანიმუშოდ და გახადონ ისინი პედაგოგიურ-მეთოდური დახელოვნების ცენტრებად;

2. 8. პერიოდულად ჩაატარონ ექვსწლიანთა 1-ლ კლასში სწავლა-აღზრდის საკითხებისადმი მიძღვნილი საოლქო, საქალაქო, სარაიონო თათბირები, კონფერენციები, სემინარები;

2. 9. მიიღონ ზომები ექვსწლიანთა 1-ლი კლასის მოწინავე მასწავლებელთა გამოვლენის, მათი გამოცდილების შესწავლისა და განზოგადებისათვის.

3. სკოლის დირექტორებმა და სასწავლო-აღმზრდელობით დარგში დირექტორების მოადგილეებმა:

3. 1. შეისწავლონ ექვსწლიანთა 1-ლ კლასებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობა, დასახონ მისი გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი. აამაღლონ პედაგოგთა პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობის შესრულებისადმი;

3. 2. ქმედითი დახმარება გაუწიონ დაწყებითი კლასების მეთოდურ გაერთიანებათა ხელმძღვანელებს, სრულყონ მათი საქმიანობა;

3. 3. მტკიცედ დაიცვან თერთმეტწლიანი სკოლის 1-ლ კლასში მოსწავლეთა ჩარიცხვის წესები, რისთვისაც, სხვა საჭირო დოკუმენტებთან ერთად, აუცილებლად მოითხოვონ მედიკო-პედაგოგიური კომისიების დასკვნა;

3. 4. ყოველდღიურად იზრუნონ მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური და თეორიული ცოდნის დონის ამაღლებაზე, მეთოდურ დაოსტატებაზე, სისტემატურად სრულყონ სწავლების შინაარსი და ორგანიზაციული ფორმები, უზრუნველყონ ცალკეულ საგნებში პროგრამული საკითხების ღრმა შეთვისება.

4. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ამხ. გ. გვათუა) თერთმეტწლიანი სკოლის დაწყებითი კლასების მას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავლებელთა გადამზადების დროს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს მცირეკომპლექტიან სკოლებში ექვსწლიანებთან მუშაობის საკითხებს, მუსიკა-სიმღერის, სახვითი ხელოვნების, შრომითი სწავლებისა და ფიზიკური აღზრდის საგნების სწავლებაში მასწავლებელთა დახელოვნებას.

5. ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ. შ. ამონაშვილი) მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტთან ერთად (ამხ. გ. გვათუა):

5. 1. განახორციელოს ღონისძიებანი ექვსწლიანთა 1-ლ კლასებში სახვითი ხელოვნების, შრომითი სწავლების, მუსიკა-სიმღერის, ფიზიკური აღზრდის სწავლების მეთოდიკების კურსისა და მასწავლებელთათვის დამხმარე სახელმძღვანელოების შესაქმნელად. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს სასკოლო ფსიქოლოგიის დამხმარე სახელმძღვანელოს მომზადებას;

5. 2. უზრუნველყოს გამსვლელი სამეცნიერო-პრაქტიკული სემინარების ჩატარება ექვსწლიანთა სწავლების აქტუალურ პრობლემებზე.

6. მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი) გააუმჯობესოს სკოლების მომარაგება ექვსწლიანთა 1-ლი კლასებისა და, საერთოდ, დაწყებითი კლასებისათვის საჭირო დგამ-ავეჯით, მოწყობილობით, დახაზული დაფებით, თვალსაჩინოებითა და სწავლების ტექნიკური საშუალებებით.

7. სახელმძღვანელოების სამმართველომ (ამხ. ნ. ღლონტი) სისტემატური ღონისძიებები განახორციელოს თერთმეტწლიანი სკოლების დაწყებითი კლასების მაღალხარისხოვანი სახელმძღვანელოებით, დამხმარე მეთოდური ლიტერატურით, თვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალებით უზრუნველსაყოფად.

8. კადრების სამმართველომ (ამხ. ა. ვაჩნაძე) განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით დაწყებითი კლასების სისტემატურ უზრუნველყოფას, რისთვისაც მუდმივად აწარმოოს მათი მიზნობრივი გადამზადება.

9. გაზეთმა „სახალხო განათლებამ" (ამხ. ნ. შველიძე) და ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრებამ" (ამხ. რ. ძერია) სისტემატურად გამოაქვეყნონ მასალები ექვსწლიანთა 1-ლ კლასებში და, საერთოდ, დაწყებით კლასებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის აქტუალურ პრობლემებზე, თავიანთი ფურცლები ხშირად დაუთმონ მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების განზოგადებას.

10. ცნობად იქნას მიღებული, რომ სკოლამდელი დაწესებულებების 1-ღ კლასებში სწავლების დაწყების ორგანიზების საკითხი განიხილა

ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ და გაატარა შესაბამისი ღონისძიებანი.

11. აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე პასუხისმგებლობა დაეკისროთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსს, სკოლების დირექტორებს.

12. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს სკოლების სამმართველოს (ამხ. თ. ტატიშვილი).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ო. ქინქლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცნობა

თერთმეტწლიანი სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების 1-ლ კლასებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზებისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების შესახებ

განათლების სამინისტრომ მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა იმ ამოცანების შესრულებისათვის, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წინაშე არის დასახული სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებით, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის ძირითადი მიმართულებებით, რომლებიც ითვალისწინებენ განახორციელონ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში თანდათანობითი გადასვლა თერთმეტწლიან სწავლებაზე, ამასთან დაიწყონ ბავშვთა სწავლება ექვსი წლის ასაკიდან, გარდაქმნან დაწყებითი სამწლიანი სკოლა ოთხწლიანად.

განათლების სამინისტრომ, რესპუბლიკაში არსებული შესაძლებლობების გათვალისწინების საფუძველზე, გადაწყვიტა უკვე 1984—1985 სასწავლო წლიდან დაეწყო ექვსწლიანთა საყოველთაო ჩარიცხვა თერთმეტწლიანი სკოლების 1-ლ კლასებში. ამ დიდი მნიშვნელობის ამოცანის გადაწყვეტისათვის ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაო, კერძოდ:

ჩატარდა თათბირი ექვსწლიანთა 1-ლ კლასებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზების საკითხებზე, რომელსაც ესწრებოდნენ რესპუბლიკის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეები, სკოლების დირექტორები, პრაქტიკოსი მასწავლებლები, 1-ლი კლასის სახელმძღვანელოებისა და პროგრამების ავტორები, მეცნიერები.

გამოიცა ბრძანებები „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების თერთმეტწლიან სწავლებაზე გადასვლისა და ექვსი წლის ასაკის ბავშვთა 1-ლ კლასში მიღების შესახებ“ (27.06.84 წ. № 492) და „რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებებში ექვსი წლის ასაკის ბავშვთა 1-ლ კლასში მიღებისა და მათთან მუშაობის ორგანიზების შესახებ“ (02. 07. 84 წ. № 502);

ჩატარდა განათლების განყოფილებათა გამგეების რესპუბლიკური თათბირი;

შემუშავდა თერთმეტწლიანი საშუალო სკოლის 1-ლი კლასის ტიპობრივი სასწავლო გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია კვირაში სასწავლო დრო 22 საათი;

მომზადდა პროგრამები ცალკეულ სასწავლო საგნებში;

ორგანიზაცია გაუკეთდა რესპუბლიკის სკოლების სახელმძღვანელოებით მომარაგების საქმეს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომზადდა მეთოდიკური რეკომენდაციები 1-ლი კლასის მასწავლებელთათვის: „ექვსწლიანთათვის დედაენის სწავლების ძირეულ საკითხებზე“, „ექვსწლიანთათვის მათემატიკის სწავლების საკითხები“, „ექვსწლიანთათვის რუსული ენის სწავლების საკითხები“, „ექვსწლიანთათვის გარესამყაროს გაცნობის საკითხები“, „ექვსწლიანთათვის შრომითი სწავლების საკითხები“, „ექვსწლიანთა ფიზიკური აღზრდის საკითხები“, „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისათვის — ფიზკულტურული კომპლექსი“, „ექვსწლიანთათვის სახვითი ხელოვნების სწავლების საკითხები“, „ექვსწლიანთათვის მუსიკის სწავლების საკითხები“, „შრომითი სწავლების გაკვეთილების დაგეგმვის ზოგიერთი საკითხი თერთმეტწლიანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის 1-ლ კლასში“, „თერთმეტწლიანი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის 1-ლ კლასში ექვსი წლის ასაკის ბავშვებთან სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციის შესახებ თერთმეტწლიან სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით“.

გამოიცა „ქართული ენის გაკვეთილები 1-ლი კლასისათვის“ პროფ. ვ. რამიშვილის რედაქციით;

გაზეთ „სახალხო განათლების“ ფურცლებზე დაიბეჭდა მეთოდური წერილები ცალკეულ საგანთა სწავლების თაობაზე;

ექვსწლიანთა 1-ლი კლასის მასწავლებელთათვის მოეწყო ტელეგადაცემები ციკლით „მასწავლებლის საათი“;

აგვისტოს თვეში ჩატარდა მოკლევადიანი კურსები დაწყებითი კლასების მეთოდისტებისათვის;

მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა ჩაატარა კურსები 1-ლი კლასის მასწავლებელთათვის ზონების მიხედვით;

მომზადდა და რაიონებს დაეგზავნა გაკვეთილების ცხრილის ნიმუშები მცირეკომპლექტიანი სკოლებისათვის ყველა მოსალოდნელი ვარიანტის გათვალისწინებით;

ექვსწლიანთა სწავლების ორგანიზაციაში მესტიის, ლენტეხის, ცაგერისა და ბოლნისის რაიონების სკოლებს სექტემბრის თვეში მეთოდური დახმარება გაუწია რესპუბლიკურმა სასწავლო-მეთოდურმა კაბინეტმა, რომელიც კვლავ აგრძელებს ამ მიმართებით მუშაობას სხვა რაიონებშიც;

სკოლების სამმართველოს მე-4 კვარტალის სამუშაო გეგმის შესაბამისად, თერთმეტწლიანი სკოლის 1-ლ კლასებში სწავლების დაწყების ორგანიზება შემოწმდა ქ. თბილისის კიროვის, 26 კომისრის, ლენინის, პირველი მაისის, ოქტომბრის, წითელწყაროს, საგარეჯოს, ქარელის, ჭიათურის, აბაშის, ხობის რაიონებისა და ქ. ზუგდიდის 70 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასა და 28 სკოლამდელ დაწესებულებაში.

საკითხის შესწავლით დადგინდა, რომ შემოწმებული რაიონების განათლების განყოფილებებს, მეთოდკაბინეტებსა და სკოლებს სერიო-

ზული მუშაობა აქვთ ჩატარებული თერთმეტწლიანი სკოლის 1-ლ კლასებში სწავლების ორგანიზებულად დაწყებისათვის, იმ მოთხოვნათა პრაქტიკული განხორციელებისათვის, რასაც განათლების ორგანოებისა და სკოლების წინაშე აყენებს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 27 ივნისის დადგენილება „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების თერთმეტწლიან სწავლებაზე გადასვლისა და ექვსი წლის ასაკის ბავშვთა 1-ლ კლასში მიღების შესახებ“, შესაბამისად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებები „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების თერთმეტწლიან სწავლებაზე გადასვლისა და ექვსი წლის ასაკის ბავშვთა 1-ლ კლასში მიღების შესახებ“ და „რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებებში ექვსი წლის ასაკის ბავშვთა 1-ლ კლასში მიღებისა და მათთან მუშაობის ორგანიზების შესახებ“.

ყველა შემოწმეული რაიონის (გარდა წითელწყაროსი) განათლების განყოფილებების წლიურ სამუშაო გეგმებში გამოკვეთილია საკითხები ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა მოთხოვნების პრაქტიკული განხორციელებისათვის, ეს დადგენილებანი აგვისტოს თვეში განხილულ იქნა განათლების საბჭოების სხდომებსა და დირექტორების თათბირზე, მიღებულია შესაბამისი ღონისძიებანი ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

ქარელისა და ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონებში განათლების საბჭოების სხდომებზე განხილულია საკითხი „რაიონის სკოლებში ექვსწლიანთა 1-ლ კლასში სწავლების დაწყების ორგანიზების შესახებ“, აღნიშნული საკითხის ნოემბრის თვეში განხილვა გათვალისწინებული აქვთ ლენინის, საგარეჯოს, ხობისა და აბაშის რაიონებს.

რაიონების განათლების განყოფილებების მეთოდური კაბინეტების სამუშაო გეგმებში წინა პლანზეა წამოწეული 1-ლ კლასებში ექვსწლიანთა სწავლების ორგანიზაციის საკითხები (აბაშის, საგარეჯოს, ქ. თბილისის პირველი მაისის, ოქტომბრის, ლენინის რაიონებსა და ქ. ზუგდიდში).

აბაშის რაიონის განათლების განყოფილების სამუშაო გეგმით მეთოდური საბჭოს სხდომაზე განსახილველად გათვალისწინებულია შემდეგი საკითხები:

1. თერთმეტწლიანი სკოლის 1-ლ კლასში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობა და ღონისძიებანი მისი შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

2. სასკოლო რეფორმის შუქზე მცირეკომპლექტიანი სკოლების მასწავლებელთა მუშაობის შესწავლა და მათი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი.

მეთოდკაბინეტებში მოწყობილია გამოფენები რუბრიკებით: „თერთმეტწლიანი სკოლის 1-ლი კლასის მასწავლებელთა დასახმარებლად“,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოფენაზე წარმოდგენილია რეკომენდაციები ექვსწლიანთა სწავლების საკითხებზე, ბრძანებები, ყველა ის მეთოდური წერილი, რომელიც პედაგოგიური პრესის ფურცლებზე დაიბეჭდა, დღის რეჟიმი, გაკვეთილების ცხრილის ნიმუშები, თემატური გეგმები ცალკეული საგნის მიხედვით (ქ. ზუგდიდში, თბილისის ლენინის, ოქტომბრის, პირველი მაისის, საგარეჯოს, ჭიათურისა და აბაშის რაიონებში).

ექვსწლიანთა 1-ლი კლასების მასწავლებლებთან სისტემატიურად ტარდება ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები, მუდმივმოქმედი სემინარები (მეთოდკაბინეტებში გამოკრულია კონსულტაციების ჩატარების განრიგი).

დაწყებითი კლასების მეთოდისტთა სამუშაო გეგმაში განსაკუთრებული ადგილი უჭირვს იმ მასწავლებლებთან მუშაობას, რომელთაც ექვსწლიან ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება აქვთ.

ოქტომბრის რაიონის მეთოდისტმა (ამხ. ქ. ჭანიშვილი) 20 ოქტომბრამდე რაიონის ყველა სკოლაში შეისწავლა 1-ლ კლასებში ექვსწლიანთა სწავლების მდგომარეობა, აღნიშნული კლასების მასწავლებლებს გაეწიათ სათანადო მეთოდურ-პრაქტიკული დახმარება.

20 ოქტომბერს ჩატარდა რაიონული კონფერენცია თემაზე: „ექვსწლიანთა სწავლების პირველი შედეგები და მასწავლებელთა ამოცანები".

შესწავლილი ყველა რაიონის ექვსწლიანთა 1-ლი კლასების მასწავლებლები უზრუნველყოფილნი არიან სასწავლო გეგმებით, პროგრამებითა და მეთოდური ლიტერატურით, ყველა მასწავლებელს აქვს გავლილი დახელოვნების მოკლევადიანი კურსები ექვსწლიანთა სწავლების საკითხებზე.

თერთმეტწლიანი სკოლის 1-ლ კლასებში დანიშნულია საკმაო გამოცდილების მქონე, კვალიფიციური მასწავლებლები, რომელთა დიდ უმრავლესობას სპეციალური უმაღლესი განათლება აქვს.

ექვსწლიანთა სწავლებისათვის კარგი პირობებია შექმნილი თბილისის მე-8, 23-ე, მე-40, 67-ე, 68-ე, 141-ე, 155-ე, 163-ე, ქ. ზუგდიდის 1-ლ, მე-2, მე-9, მე-14, საგარეჯოს რაიონის მე-2, მე-4, ჭიათურის მე-2, აბაშის რაიონის 1-ლ, მე-2, სუჯუნის, ნოღოხაშის, ხობის რაიონის მე-2. ნოჯიხევის, ხეთის, ჭალადიდის, ხამისკურის, საშუალო, მეორე გულრიფშის რვაწლიან, წითელწყაროს რაიონის ზემოქედის რვაწლიან, ქარელის რაიონის აბისის, დირბის, დვანის საშუალო სკოლებში. 1-ლი კლასები მოთავსებულია ფართო, ნათელ, გემოვნებით გაფორმებულ საკლასო ოთახებში, დგამ-ავეჯი მოსწავლეთა ასაკის შესაფერისია, სკოლები უზრუნველყოფილია მდიდარი თვალსაჩინო მასალებითა და ტექნიკური საშუალებებით. თბილისის 23-ე და 155-ე საშუალო სკოლებში ცალკე ფლიგელია გამოყოფილი ექვსწლიანთა 1-ლი კლასების ერთ სართულზე მოსათავსებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოწმებული სკოლების ექვსწლიანთა 1-ლ კლასში მოსწავლეთა ძირითადად, ჩარიცხულია არსებული წესების სრული დაცვით, არის მშობელთა განცხადებები დირექტორის რეზოლუციით, ბრძანება ჩარიცხვის შესახებ. მოსწავლეთა ზღვრული ოდენობა 1-ლ კლასში არ აღემატება 30-ს. აღნიშნული კლასები მეცადინეობენ დილის ცვლაში, ტარდება 35-წუთიანი გაკვეთილები. გაკვეთილებს შორის შესვენებები 10 წუთია, ხოლო დიდი დასვენება--20 წუთი, რეგულარულად ტარდება ფიზკულტურული წუთები გაკვეთილებზე, მოძრავი თამაშობები დიდ დასვენებაზე.

გაკვეთილების ცხრილი მეთოდურად სწორადაა შედგენილი, შრომითი სწავლების გაკვეთილები ყველგან დაწყვილებულია. კვირაში ორჯერ, ორშაბათსა და შაბათს სამ-სამი გაკვეთილი ტარდება.

ექვსწლიანთა 1-ლი კლასის მოსწავლეთათვის ყოველგვარი პირობაა შექმნილი თბილისის 23-ე და 155-ე საშუალო სკოლების გახანგრძლივებული დღის ჯგუფებში, მოსწავლეებს აქვთ ძილის, გართობის, დასვენების საუკეთესო პირობები.

ამ მიმართებით გარკვეული ნაბიჯებია გადადგმული აბაშის რაიონის სუჯუნის, ქარელის რაიონის მე-2 და ქვენატკოცის საშუალო სკოლებში, სადაც გახანგრძლივებული დღის ჯგუფებისათვის ორი ოთახია გამოყოფილი. სათანადო ინვენტარით მიმდინარეობს მათი აღჭურვა.

სკოლის დირექციის წარმომადგენლები გარკვეულ დახმარებასა და კონტროლს უწევენ ექვსწლიანთა 1-ლი კლასების მასწავლებლებს; მუდმივად ესწრებიან მათ გაკვეთილებს, აძლევენ სწორ მეთოდურ მითითებებს (თბილისის მე-8, 23-ე, 29-ე, 155-ე, აბაშის რაიონის 1-ლი, მე-2, სუჯუნის, ნოღოხაშის, ხობის 1-ლი, მე-2, ახალსოფლის, პირველი მაისის მე-2, ჭალადიდის, ჭიათურის მე-2 საშუალო სკოლები).

დაწყებითი კლასების სასკოლო მეთოდური გაერთიანებების სამუშაო გეგმებში კუთვნილი ადგილი აქვს დათმობილი ექვსწლიანთა სწავლებას, შერჩეულია აქტუალური თემები, დაგეგმილია ღია გაკვეთილები (ქ. თბილისის მე-8, 23-ე, 29-ე, ხობის რაიონის 1-ლ, მე-2, ნოჯიხევის, ხამისკურის, აბაშის რაიონის 1-ლ, მე-2, სუჯუნის საშუალო, წითელწყაროს რაიონის გამარჯვების რვაწლიან სკოლებში).

მასწავლებელთა უმრავლესობა კარგად ეუფლება ექვსწლიანებთან მუშაობის სტილსა და მეთოდებს, მაქსიმალურად ითვალისწინებს აქტუალურ მოთხოვნებს სასწავლო-აღმზრდელობით ამოცანათა გადაწყვეტაში. მოსწავლეთა აღზრდა-განვითარებასა და სწავლებაში მასწავლებლები ფართოდ იყენებენ თამაშობათა ფორმებს, გულისხმიერი დამოკიდებულებით მთელ კლასს უქმნიან საინტერესო, ხალისიან, შინაარსიან სასკოლო ცხოვრებას. გონივრულად აგებენ რა გაკვეთილებს, პატარებს უყალიბებენ მეტყველების განვითარების, წაკითხული ტექსტიდან ან სურათის შინაარსიდან წინადადებების გამოყოფის, მათი სიტყვებად, მარ-

ცვლებად თუ ბგერებად დაშლის, ციფრების წერის სწავლებისა და ასევე სწავლო შრომის ზოგადი ჩვევების მიზანმიმართულ ფორმირებას: ნ. რატიანი (23-ე საშუალო სკოლა), დ. ჭოჭუა (მე-8 საშუალო სკოლა), გ. ივანისელი (166-ე საშუალო სკოლა), ლ. მეხთეშაშვილი (155-ე საშუალო სკოლა), ფ. კვარაცხელია (ხობის, ხამისკურის საშუალო სკოლა), ნ. ანჯაფარიძე (აბაშის რაიონის ნოლოხაშის რვაწლიანი სკოლა), ე. ბოკუჩავა (აბაშის 1-ლი საშუალო სკოლა), ი. ქობულოვა (110-ე საბავშვო ბაღი), ლ. პეტრიაშვილი (61-ე ბაგა-ბაღი), ვ. შენგელია (146-ე ბაგა-ბაღი), გ. გელაშვილი (წითელწყაროს მე-3 ბაგა- ბაღი), ჭიათურის ზონიდან: დ. ლაბაძე (მე-2 საშუალო სკოლა), ი. გამყრელიძე (1-ლი საშუალო სკოლა).

დამაკმაყოფილებელია მასწავლებელთა თეორიული და მეთოდური ცოდნის დონე, ექვსწლიანებთან მუშაობის პროცესში სწავლებისა და აღზრდის ფორმებისა და მეთოდების შერჩევის საკითხს სერიოზულად უდგებიან და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევენ ქ. თბილისიდან: გ. მეფარიშვილი, ჟ. გიორგაძე (166-ე საშუალო სკოლა), დ. სანიკიძე (23-ე საშუალო სკოლა), ლ. ბედინაშვილი (155-ე საშუალო სკოლა), ნ. საპანიძე, ვ. ბარისოვა (29-ე საშუალო სკოლა), ნ. აბრამიძე, ც. ბაზიანი (მე-8 საშუალო სკოლა), მ. ასლანიშვილი, ი. ზაქარეიშვილი (141-ე საშუალო სკოლა), ზ. ბიბილური (67-ე საშუალო სკოლა), ნ. ლეკიშვილი (მე-40 საშუალო სკოლა), ლ. ჩხიროძე (163-ე საშუალო სკოლა), დ. ლომინეიშვილი (84-ე საშუალო სკოლა), ნ. სიმონიშვილი (მე-14 საბავშვო ბაღი), თ. წიკლაური (115-ე საბავშვო ბაღი), მ. შაიშმელაშვილი (98-ე საბავშვო ბაღი), ს. გევორქოვა (102-ე საბავშვო ბაღი), ნ. შპაგინა (121-ე საბავშვო ბაღი); აბაშიდან: ზ. უჩანეიშვილი (ზანათის დამოუკიდებელი დაწყებითი სკოლა), ლ. მიქაძე (ქოლობნის საშუალო სკოლა); წითელწყაროს რაიონიდან: ზ. ლეკიშვილი (ზემო ქედის საშუალო სკოლა), ჟ. მათიაშვილი (არბოშიკის საშუალო სკოლა), ნ. ფიროსმანიშვილი (ზემო მაჩხაანის დამოუკიდებელი დაწყებითი სკოლა); ხობის რაიონიდან: ო. ფირცხალავა (პირველი მაისის 1-ლი საშუალო სკოლა), ლ. გაბრავა (ხობის 1-ლი საშუალო სკოლა); ქარელის რაიონიდან: ნ. კილასონია (აბისის საშუალო სკოლა); ნ. შალუტაშვილი (დვანის საშუალო სკოლა); ა. არუთინოვა (საგარეჯოს მე-4 საშუალო სკოლა); ქ. ზუგდიდიდან: ლ. ალანია (მე-14 საშუალო სკოლა); მ. შამუგია (1-ლი საშუალო სკოლა), ი. შენგელია (მე-2 საშუალო სკოლა), ლ. ჯიქია (მე-13 საშუალო სკოლა); ვ. სიჭინავა (მე-16 ბაგა-ბაღი), ვ. ხუფუნია (მე-19 ბაგა-ბაღი), ჭიათურის რაიონიდან: ს. მაჭარაშვილი (შუქრუთის რვაწლიანი სკოლა), ვ. ნოზაძე (მე-8 საშუალო სკოლა).

ბევრ სკოლამდელ დაწესებულებაში ექვსწლიანთა სწავლება პრაქტიკულად განხორციელდა. მოსწავლეთა სწავლის, დასვენებისა და გართობის ყველა პირობაა შექმნილი ქ. თბილისის 28-ე (ამხ. გ. ჟორდანია), 146-ე (ამხ. ნ.მხეიძე), 115-ე (ამხ. მ. ჭრელიშვილი), მე-14 (ამხ. ნ. კეპულაძე), 76-ე (ამხ. კ. ბოკუჩავა), 102-ე (ამხ. ნ. სიხარულიძე), 63-ე (ამხ. ლ. მოსიძე), 122-ე (ამხ. ე. გონჯილაშვილი) ბაგა-ბაღებში. კეთილმოწყობილი ფართო, ნათელი საკლასო, საძინებელი და გასართობი ოთახები, მაღალხარისხოვანი ცხელი კერძებით კვება სასიამოვნო გარემოს ქმნის ექვსწლიანთა სწავლა-აღზრდისათვის. მასწავლებლებიც კვალიფიციური შეურჩევიათ (გარდა 63-ე საბავშვო ბაღისა), მათი მუშაობის შემოწმების შედეგად თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ მიზანშეწონილი და შედეგიანია ექვსი წლის ასკის ბავშვთა 1-ლ კლასში მიღება სკოლამდელ დაწესებულებებში.

ამასთან, თერთმეტწლიანი სკოლის 1-ლ კლასებში სწავლების ორგანიზების საქმეში შემოწმებული რაიონების განათლების განყოფილებების, მეთოდური კაბინეტებისა და სკოლების მუშაობაში შეინიშნება გარკვეული ნაკლოვანებებიც.

სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები და მეთოდური კაბინეტები თანმიმდევრულ მუშაობას ვერ ატარებენ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის პრაქტიკულად განხორციელებისათვის. წითელწყაროს რაიონის განათლების განყოფილების (ამხ. შ. ბილიაშვილი) წლიურ სამუშაო გეგმაში არაფერია თქმული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა შესახებ, არაა გათვალისწინებული საკითხები თერთმეტწლიანი სკოლის 1-ლ კლასში სწავლების თაობაზე. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ 1984 წლის 20 აგვისტოს დირექტორების თათბირზე, მართალია, განუხილავთ განათლების სამინისტროს ბრძანება № 492, მაგრამ დირექტორების ერთ ნაწილს წარმოდგენაც კი არა აქვს მასზე (არბოშიკის, გამარჯვების, არხილოსკალოს საშუალო სკოლები).

აღინიშნება რაიონული მეთოდური კაბინეტების სუსტი ხელმძღვანელობა დაწყებითი კლასების რაიონული მეთოდგაერთიანებების მუშაობაზე, რის გამოც ისინი არ წარმოადგენენ სკოლაში პედაგოგიკური მეცნიერებათა მიღწევებისა და მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების სასკოლო პრაქტიკაში დანერგვის ცენტრს. არადამაკმაყოფილებელია მეთოდური მუშაობა, დაწყებით კლასებს ცალკე მეთოდისტი არა ყავს, სწავლების დაწყებითი საფეხურისათვის მეთოდური დახმარება დავალებული აქვს ისტორიის მეთოდისტს ნ. ნატროშვილს (მას დამთავრებული აქვს პედაგოგიური სასწავლებელი), 1-ლი კლასის არც ერთ მასწავლებელს არ გასწევია მეთოდური დახმარება, არც ერთი გაკვეთილი არ იყო მოსმენილი ექვსწლიანთა 1-ლ კლასში, რაიონის მეთოდური გაერთიანების სამუშაო გეგმაში არც ერთი საკითხი არ იყო შეტანილი ექვსწლი-

ანთა სწავლებაზე, არაა დაგეგმილი რაიონული ღია გაკვეთილების ჩატარება.

ანალოგიური მდგომარეობაა ხობის რაიონში, სადაც, მართალია, ჰყავთ დაწყებითი კლასების მეთოდისტი, მაგრამ იგი მიმდინარე სასწავლო წელს ავადმყოფობის გამო სამსახურში არ გამოცხადებულა.

ზოგიერთი სკოლის წლიურ სამუშაო გეგმაში არაა გათვალისწინებული საკითხები ექვსწლიანთა 1-ლ კლასში სწავლების ორგანიზაციის შესახებ. წითელწყაროს რაიონში: წითელწყაროს მე-2 (ამხ. თ. გომელაური), არხილოსკალოს (ამხ. ი. კიკაბიძე), შირაქის რუსული (ამხ. ლ. კაცენკო), ქარელის რაიონის ქვენატკოცის (ამხ. ნ. ღონღაძე), დირბის (ამხ. ც. მურადაშვილი), ქ. თბილისის 141-ე (ამხ. გ. ჩაგელიშვილი) საშუალო სკოლები.

წითელწყაროს რაიონის გამარჯვების საშუალო სკოლას (ამხ. დ. გოგაშვილი) წლიური სამუშაო გეგმა საერთოდ არ აღმოაჩნდა.

ზოგ სკოლაში, მატერიალური ბაზის უქონლობის გამო, ვერ მოხერხდა ექვსწლიანთა 1-ლი კლასებისათვის სათანადო საკლასო ოთახების შერჩევა (თბილისის 29-ე, 30-ე, წითელწყაროს რაიონის არბოშიკის. მირზაანის, არხილოსკალოს, აბაშის რაიონის მაიდნის, ხობის რაიონის ახალსოფლის და ხობის 1-ლი საშუალო სკოლები).

ზოგან საკლასო ოთახები კი გამოიყო, მაგრამ მათი სათანადოდ მოწყობა დღემდე ვერ მოგვარდა: დგამ-ავეჯი მოსწავლეთა ასაკისათვის შეუფერებელია, დაფები დაუხაზავი, არც ტექნიკური საშუალებები აქვთ და არც რაიმე თვალსაჩინოება (წითელწყაროს რაიონის ზემო ქედის, ჯაფარიძის, ხობის რაიონის პირველი მაისის მე-2, ქვემო ქვალონის, საგარეჯოს რაიონის კაკაბეთის, ქარელის მე-2 და მე-3 საშუალო სკოლები, აბაშის რუსული რვაწლიანი სკოლა).

თეთრთმეტწლიანი სკოლის 1-ლ კლასში მოსწავლეთა ჩარიცხვის საქმეში შეინიშნება შემდეგი ნაკლოვანებანი:

1. არც ერთ შემოწმებულ სკოლაში არ არის მოსწავლეთა მედიკო-პედაგოგიური კომისიის დასკვნა.

2. არაა დაცული ასაკი, სკოლის დირექტორებს თვითნებურად ჰყავთ ჩარიცხული ის მოსწავლეები, რომელთაც 1 ოქტომბრამდე ექვსი წელი არ შესრულებიათ. ასეთი მდგომარეობაა ქ. ზუგდიდის მე-9 საშუალო სკოლაში (ამხ. რ. კარტოზია. მოსწავლე თამარ ჯუმბერის ასული ჩიქობავა დაბადებულია 1979 წლის 27 ივლისს), აბაშის რაიონის მე-2 საშუალო სკოლაში (ამხ. ი. ჯავახიშვილი. მოსწავლე თამაზ პლატონის ძე ძველაია დაბადებულია 1978 წლის 1 ოქტომბერს, მამუკა ჯანიკოს ძე მესხი დაბადებულია 1978 წლის 13 ოქტომბერს); ქოლობნის საშუალო სკოლაში (ამხ. ვ. ღვაბერიძე, მოსწავლე ოლია მურმანის ასული მიქაძე დაბადებულია 1978 წლის 1 ოქტომბერს).

3. დაბადების მოწმობებში გადასწორებულია დაბადების თვე. თელწყაროს რაიონის 1-ლ საშუალო სკოლაში (ამხ. შ. ქადაგიძე) 4 მოსწავლეს: თეა ილიას ასულ ჯინაშვილს, ლალი ნუგზარის ასულ ტალიაშვილს, თამარ ნუგზარის ასულ მამუკელაშვილს, გიორგი ვლადიმერის ძე ჯავახიშვილს გადასწორებული აქვთ დაბადების თარიღები.

ასეთივე მდგომარეობაა ქარელის მე-3 (ამხ. გ. გაგლოევი) და აგარის საშუალო (ამხ. ბ. მიქელაძე) სკოლებში, სადაც შესაბამისად თეა კონსტანტინეს ასულ ხიზანიშვილსა და ია მიხეილის ასულ ყიფშიძეს გადასწორებული აქვთ დაბადების თარიღი.

ანალოგიური მდგომარეობაა საგარეჯოს მე-2 (ამხ. ნ. ჩიხლაძე) და კაკაბეთის საშუალო (ამხ. გ. რავლიაშვილი), ხობის რაიონის ხამისკურის (ამხ. ზ. გადელია), ხეთის (ამხ. კ. ბუკია), ხობის მე-2 (ამხ. ბ. არჩაია) საშუალო სკოლებში.

4. ზოგ შემთხვევაში მოსწავლე ჩარიცხულია მშობელთა განცხადებით დირექტორის რეზოლუციის გარეშე (წითელწყაროს რაიონის არხილოსკალოს — ამხ. ი. კაკაბიძე, დიდი შირაქის რუსული — ამხ. ლ. კაცენკო, ზემოქედის — ამხ. ნ. წიკლაური საშუალო სკოლები).

რიგი რაიონის (წითელწყაროს, ქარელის, საგარეჯოს, აბაშის) სკოლების მოსწავლეთა დიდ უმრავლესობას არ აქვს სამედიცინო ფორმა № 26, ხშირ შემთხვევაში მის ნაცვლად ჩაბარებული აქვთ ჩვეულებრივ ქაღალდზე დაწერილი შემდეგი შინაარსის ცნობა: ბავშვი ჯანმრთელია, შეიძლება მისი 1-ლ კლასში ჩარიცხვა (ქარელის მე-2 და მე-3, ქვენატკოცის, დვანის, დირბის, ბრეთის, საგარეჯოს მე-2, კაკაბეთის საშუალო სკოლები, საგარეჯოს ბაგა-ბაღი, აბაშის რაიონის მაიდნის, სამიქაოს, ქოლობნის საშუალო სკოლები).

ბევრ სკოლაში ფორმა № 26 ზერელედაა შევსებული, მასში აღნიშნული ბავშვის დაბადების თვე და რიცხვი არ ემთხვევა დაბადების მოწმობაში აღნიშნულ დროს, ზოგიერთ ფორმაში დაბადების თვე და რიცხვი ამოშლილია, ზოგში კი დაბადების თვე და რიცხვი სულ არ წერია.

ექვსწლიანთა 1-ლ კლასებში არ ტარდება დილის გამამხნევებელი ვარჯიშები, ეზოს უქონლობის გამო დიდ დასვენებაზე მოძრავი თამაშის ორგანიზება უჭირთ თბილისის 67-ე და 68-ე საშუალო სკოლებს.

შემოწმებული რაიონების სკოლებში (გარდა ქ. თბილისის 23-ე, 155-ე, აბაშის რაიონის სუჯუნის, ქარელის რაიონის მე-2 და ქვენატკოცის საშუალო სკოლებისა) სათანადო პირობები არ არის გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მუშაობისათვის, ბევრგან გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მუშაობა გრძელდება (დღის მეორე ნახევარში) იმავე საკლასო ოთახებში, სადაც დილით გაკვეთილები ტარდება.

ყურადღებია ის გარემოებაც, რომ თბილისის 166-ე გახანგრძლივებულ დღის სკოლას (ამხ. გ. ძნელაძე), სადაც სამი გახანგრძლივებული დღის ჯგუფი მხოლოდ ექვსწლიანებითაა დაკომპლექტებული, არც სა-

ძინებელი ოთახი აქვს და არც გასართობი. აქაც დღის მეორე ნახევარში თითოეული ჯგუფი თავისავე საკლასო ოთახში აგრძელებს მუშაობას.

შემოწმებული რაიონების, თითქმის, ყველა სკოლაში ერთჯერადი კვებაა დაწესებული.

ცუდი მატერიალური ბაზის გამო გახანგრძლივებული დღის ჯგუფებში ექვსწლიანთა ძალზე მცირე რაოდენობა დადის.

ცხელი კერძებით არ იკვებებიან გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მოსწავლეები ქ. ზუგდიდის მე-7, მე-6, ქ. თბილისის მე-40 საშუალო სკოლებში.

ზოგიერთ სკოლაში დაბალ დონეზე დგას შინასასკოლო კონტროლი და დახმარება 1-ლი კლასის მასწავლებელთა მუშაობაზე, შემოწმებამ ცხადყო, რომ სკოლის დირექტორები და მოადგილეები იშვიათად ან სულ არ ესწრებიან მათ გაკვეთილებს.

არც ერთი გაკვეთილი არ არის მოსმენილი 1-ლ კლასებში თბილისის 41-ე, 30-ე, 166-ე, წითელწყაროს რაიონის ჯაფარიძის, არხილოსკალოს, დიდი შირაქის, ზემო ქედის, ქვემო ქედის, ჭიათურის მე-3, მე-6, ქ. ზუგდიდის მე-3, მე-7, მე-9 საშუალო სკოლებში.

ზოგიერთ სკოლაში დირექტორს არც ერთი გაკვეთილი არ აქვს მოსმენილი 1-ლ კლასში, მოადგილეს კი მხოლოდ 1-2 გაკვეთილი (ქ. თბილისის 67-ე, 68-ე, ქარელის რაიონის მე-2, მე-3, აბისის, ქვენატკოცის, აგარის, დვანის, დირბის, ბრეთის, საგარეჯოს რაიონის პატარძეულის, კაკაბეთის; წითელწყაროს რაიონის მე-2, არბოშიკის, აბაშის რაიონის, მარნის საშუალო სკოლები). აბაშის რვაწლიანი რუსული სკოლის დირექტორს 2 გაკვეთილი აქვს მოსმენილი, მის მოადგილეს კი არც ერთი.

ანალოგიური მდგომარეობაა ხობის რაიონის ხეთის საშუალო სკოლაში.

ბევრ სკოლაში მეთოდური გაერთიანების სამუშაო გეგმები არასრულყოფილადაა შედგენილი, მათში არ არის გათვალისწინებული ექვსწლიანთა 1-ლ კლასში სწავლებისა და აღზრდის აქტუალური საკითხები. ღია გაკვეთილების ჩატარება დაგეგმილი არ არის ქ. ზუგდიდის, ჭიათურის, ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის ყველა შემოწმებულ სკოლაში, აგრეთვე ქ. თბილისის 30-ე, 166-ე, 155-ე საშუალო, წითელწყაროს რაიონის ზემო ქედის რვაწლიან, არბოშიკის საშუალო, ხობის რაიონის პირველი მაისის მე-2, ქვემო ქვალონისა და ჭალადიდის საშუალო სკოლებში.

შემოწმების დღისათვის მეთოდური გაერთიანების სამუშაო გეგმა საერთოდ არ ჰქონდათ შედგენილი წითელწყაროს რაიონის არხილოსკალოსა და შირაქის საშუალო სკოლებს.

სერიოზული ნაკლოვანებანია საკლასო ჟურნალების წარმოების საქმეში. სექტემბრიდან დღემდე მასალა არ იყო შეტანილი ფიზიკურ აღ-

ზრდაში, შრომით სწავლებაში, სიმღერა-მუსიკასა და სახვით ხელოვნებაში (წითელწყაროს რაიონის ზემო ქედის საშუალო სკოლა, მასწავლებელი ზ. ლეკიშვილი), რუსულ ენაში, მათემატიკასა და სიმღერა-მუსიკაში (თბილისის 30-ე საშუალო სკოლა, მასწავლებლები ნ. ქირია, თ. ქევანიშვილი); 18 სექტემბრიდან დღემდე მასალა არ იყო შეტანილი ქართულ ენაში, მათემატიკასა და გარესამყაროს გაცნობაში (წითელწყაროს რაიონის არხილოსკალოს საშუალო სკოლაში, მასწავლებელი ნ. ბუჩუკური).

მიუხედავად არსებული ნაკლოვანებებისა, არ ივსება საკლასო ჟურნალის ის გვერდი, რომელიც შენიშვნებისათვისაა გათვალისწინებული.

ზოგიერთ მასწავლებელს საფუძვლიანად არა აქვს შესწავლილი ექვსწლიანთა გაუმჯობესებული პროგრამების ძირითადი თავისებურებანი და მიმართულებები, რის გამოც ვერ წვდებიან სწავლების შინაარსსა და ამოცანებს, შემოქმედებითად ვერ იყენებენ მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს, ერთფეროვანი მუშაობით ღლიან პატარებს (ქ. თბილისიდან: ნ. თათანოვი (141-ე საშუალო სკოლა), დ. ბელიაშვილი (68-ე საშუალო სკოლა), ლ. ფანცულაია (მე-13 ბაგა-ბაღი), ნ. მერკვილაშვილი (31-ე ბაგა-ბაღი), ლ. ხელაია (მე-20 ბაგა-ბაღი), ც. ნატმელაძე (91-ე ბაგა-ბაღი), ქადაგიძე (63-ე ბაგა-ბაღი), ეფრემიძე (61-ე ბაგა-ბაღი), წითელწყაროს რაიონიდან: ნ. ბუჩუკური (არხილოსკალოს საშუალო სკოლა), შ. ლობჟანიძე (მირზაანის რვაწლიანი სკოლა); ქარელის რაიონიდან: თ. ხუციშვილი, ნ. ბედოშვილი (მე-3 საშუალო სკოლა); საგარეჯოს რაიონიდან: ლ. ზაქარაშვილი (პატარძეულის საშუალო სკოლა); ჭიათურის რაიონიდან: მ. ტაბატაძე (მღვიმევის დამოუკიდებელი დაწყებითი სკოლა), რ. ბიწაძე (1-ლი საშუალო სკოლა), ც. კინწურაშვილი (აბაშის 1-ლი საშუალო სკოლა),ლ.აბაკელია (ქ. ზუგდიდის მე-7 საშუალო სკოლა).

ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებების მიზეზი ნაწილობრივ შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ ზოგიერთი მასწავლებელი ექვსწლიან ბავშვებს წელს პირველად ასწავლის.

მიუხედავად იმისა, რომ ქ. თბილისის ზოგიერთ საბავშვო ბაგა-ბაღში არ იყო შესაფერისი მატერიალური ბაზა, ექვსწლიანთა 1-ლი კლასები მაინც გაიხსნა. სასადილო და საძინებელი ოთახები არა აქვთ თბილისის მე-13 (ამხ. თ. კავაძე), 31-ე (ამხ. ს. ხახვიაშვილი), 66-ე (ამხ. მ. ოთარაშვილი) ბაგა-ბაღებს; დასაძინებელი ოთახები არ აქვთ თბილისის მე-14, 91-ე, ხოლო სასადილო ოთახები თბილისის 121-ე (ამხ. ს. ავერჩენიკოვა) ბაგა-ბაღებს.

თბილისის 66-ე ბაგა-ბაღში რუსული სექტორის 1-ლი კლასის მოსწავლეთა დღის რეჟიმით გათვალისწინებული ყველა პროცესი: სწავლა, ძილი, სადილი, გართობა ერთ ოთახში მიმდინარეობს, ხოლო რუ-

სული და ქართული სექტორების ორი 1-ლი კლასისათვის გამოყოფილია 45 საწოლიანი ერთი საძინებელი ოთახი. 12 მოსწავლე ძილის გარეშე რჩება, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ 35 მოსწავლის ერთ ოთახში დაძინება ჰიგიენური თვალსაზრისით მიუღებელია.

თბილისის 1-ლ, 31-ე, 61-ე, 63-ე საბავშვო ბაღებში ფართობის სივიწროვის გამო ყველა ჯგუფის დაძინება ვერ ხერხდება. 31-ე ბაგა-ბაღში 12 ჯგუფიდან 8 ჯგუფს არ სძინავს, მათ შორის ექვსწლიანთა 1-ლ კლასებსაც: 1-ლ, 61-ე, 63-ე ბაგა-ბაღებში, მართალია, პირველკლასელებს აძინებენ, სამაგიეროდ ბაღის აღსაზრდელები ძილის გარეშე რჩებიან, რაც ყოვლად გაუმართლებელია.

თბილისის 121-ე ბაგა-ბაღში მოსწავლეები საკლასო ოთახებში, მერხებზე სადილობენ, შემოწმების დღეს ყველა მოსწავლე ერთ ჭურჭელში დამდგარ წყალში იბანდა ხელებს, მე-13 ბაგა-ბაღში პირველკლასელები სუფრაგადაუფარებელ მერხებზე იკვებებიან.

თბილისის 1-ლი ბაგა-ბაღის შენობაში აყრილია იატაკი, საძილე ოთახებში ცემენტის ფილებია დაგებული, ბათქაში ცვივა, ბაგა-ბაღი არ არის აღჭურვილი თანამედროვე დგამ-ავეჯით, ოთახებში, სივიწროვის გამო, სათამაშოების განლაგების საშუალებაც არ არის, ბაღის 2 ჯგუფს ერთი დამლაგებელი ემსახურება.

სკოლის დირექტორები ნაკლებ დახმარებასა და კონტროლს უწევენ სკოლამდელ დაწესებულებებში გახსნილ ექვსწლიანთა 1-ლი კლასების მუშაობას, ბევრ 1-ლ კლასში მოსწავლეთა ჩარიცხვა მათი აქტიური კონტროლის გარეშე მოხდა, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესწავლისა და მეთოდური დახმარების მიზნით არ ესწრებიან მასწავლებლებს გაკვეთილებზე, არ ამოწმებენ საკლასო ჟურნალებს, პირადი საქმეების წარმოებას.

სკოლამდელ დაწესებულებებში ექვსწლიანთა 1-ლი კლასების დაკომპლექტებაში მონაწილეობა არ მიუღიათ 47-ე, 55-ე, 149-ე, მე-15, 132-ე, 106-ე, მე-10, 152-ე სკოლების დირექტორებს, რაც ერთ-ერთი მიზეზია საბავშვო ბაღებში ექვსწლიანთა 1-ლ კლასებში მოსწავლეთა ჩარიცხვის საქმეში გამოვლენილი ნაკლოვანებებისა. თბილისის მე-13 საბავშვო ბაღში ექვსწლიანთა 1-ლ კლასში ჩარიცხულია ასაკით შეუფერებელი 2 მოსწავლე, 61-ე ბაგა-ბაღში — 1 მოსწავლე, 31-ში —1, 114-ში — 2, 76-ში — 1, 66-ში — 10 მოსწავლე.

შემოწმების დღისათვის არც ერთი გაკვეთილი არ ჰქონდათ მოსმენილი მე-15, 154-ე, მე-60, 65-ე, 132-ე, 117-ე, 22-ე, 44-ე, 106-ე სკოლების დირექციის წარმომადგენლებს.

საკლასო ჟურნალებს საერთოდ არ აწარმოებენ 31-ე და მე-13 ბაგა-ბაღების 1-ლ კლასებში (მასწავლებლები ნ. მერკვილაშვილი, რ. გელაშვილი, დანელია).

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსუფთაოდ, არააკურატუად აწარმოებს საკლასო ჟურნალს ბიბლიოთეკა კლასის მასწავლებელი ც. ავალიშვილი (28-ე ბაგა-ბაღი).

შემოწმების დღისათვის პირადი საქმეები შევსებული არ იყო თბილისის მე-13, 98-ე საბავშვო ბაღის 1-ლ კლასებში (მასწავლებლები ც. პავლიაშვილი, მ. შაიშმელაშვილი).

31-ე ბაგა-ბაღის 1-ლ კლასში ირღვევა დღის რეჟიმი, მასწავლებელი ნ. მერკვილაშვილი 40 წუთიან გაკვეთილებს ატარებს.

თბილისის 66-ე ბაგა-ბაღის 1-ლ კლასში არ ტარდება სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა გაკვეთილი. მასწავლებელმა მ. ეფრემიძ.ემ არც კი იცის, რომ ახალი სასწავლო გეგმით გარესამყაროს გაცნობა ისწავლება და რომ შრომით სწავლებას 2 საათი ეთმობა.

წითელწყაროს რაიონის მე-2 ბაგა-ბაღში ექვსწლიანთა 1-ლ კლასს (მასწავლებელი მ. პოპიაშვილი), სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საათების გარდა, კვირაში 2-ჯერ მუსიკაში უტარდება მეცადინეობა, რის გამოც 5 გაკვეთილი კვირაში 4-ჯერ აქვს, ოთხი გაკვეთილი კი ერთხელ, რაც ძალზე ღლის პატარებს.

მე-20 ბაგა-ბაღის ექვსწლიანთა 1-ლ კლასს ფიზკულტურას ასწავლის ძირითადი მასწავლებელი ლ. ხელაია, რომელსაც აქვს ცნობა იმის შესახებ, რომ მას უფლება არ აქვს ჩაატაროს ფიზკულტურის გაკვეთილი, რამეთუ ეს საგანი არასდროს უსწავლებია; 65-ე საშუალო სკოლის დირექტორმა გ. ჩალაურმა ამ საგნის სპეციალისტისათვის გადაცემა ვერ მოახერხა, რის მიზეზადაც სკოლისა და ბაღის შენობების ერთმანეთისაგან ტერიტორიულ სიშორეს ასახელებს.

სკოლების სამმართველო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1984 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება

მე-11 ხუთწლედის დავალებათა წარმატებით და გადაჭარბებით შესრულებისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში 1984 წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებმა და პროფკავშირის კომიტეტებმა, სკოლების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების პედაგოგიურმა კოლექტივებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება მე-11 ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

მიმდინარე სასწავლო წელს სახალხო განათლების დაწესებულებებში მუშაობა წარიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისისა და 1984 წლის აპრილის პლენუმების გადაწყვეტილებების შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებების მოთხოვნათა განხორციელების შუქზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებებით სკოლის წინაშე დასახული ახალი ამოცანების განუხრელად გადაჭრისათვის განათლების სამინისტროს მიერ 1984 წლის 27 ივნისს გამოცემულ იქნა ბრძანება „საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების თერთმეტწლიან სწავლებაზე 1984—1985 სასწავლო წლიდან გადასვლისათვის მოსამზადებელი მუშაობის შესახებ“, რითაც დასაბამი მიეცა ჩვენს რესპუბლიკაში სკოლის რეფორმის განხორციელებისათვის მუშაობას. განათლების სამინისტროს კოლეგიამ განიხილა და დაამტკიცა ღონისძიებათა კომპლექსური გეგმა, რომლის საფუძველზეც, ადგილობრივი სპეციფიკისა და კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით, რაიონებსა და ქალაქებში შემუშავებულ იქნა სასკოლო რეფორმის განხორციელების შესაბამისი გეგმა 1984—1990 წლებისათვის. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 22 ივნისის დადგენილების საფუძველზე საბჭოთა კავშირში თერთმეტწლიან სწავლებაზე პირველად ჩვენი რესპუბლიკა გადავიდა.

მიმდინარე სასწავლო წელს 1-ლ კლასებში სწავლას 147.330 ბავშვი შეუდგა, მათ შორის 67.000 ექვსწლიანია. 1-ლი კლასებისათვის მოიყო ნათელი, საკმაო ფართობის მქონე საკლასო ოთახები, განახლდა ინვენტარი, სკოლები უზრუნველყოფილ იქნა თვალსაჩინო დიდაქტიკური მასალებითა და ტექნიკური საშუალებებით, შეირჩა კვალიფიციური კადრები. თერთმეტწლიანი სკოლის 1-ლ კლასში სამუშაოდ შერჩეულ იქნენ მოსამზადებელ კლასებში მუშაობის გამოცდილების მქონე მაღალკვალიფიციური მასწავლებლები. აგვისტოს თვეში მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტში და მის ფილიალებში ორგანიზებულ იქნა 1-ლ კლასებში მომუშავე მასწავლებლებისათვის და დაწყებითი კლასების მეთოდისტებისათვის სპეციალური ათდღიანი გადასამზადებელი კურსები.

სკოლის რეფორმასთან დაკავშირებით დიდი და შრომატევადი მუშაობა ჩატარდა თერთმეტწლიანი სკოლის 1-ლი კლასების ახალი სასწავლო პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით უზრუნველსაყოფად. დამუშავდა და სკოლებს დროულად დაეგზავნა ახალი სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა საგანში. თერთმეტწლიანი სკოლის 1-ლ კლასში მუშაობის თავისებურებათა წარმატებით დაძლევის მიზნით განათლების სამინისტრომ და ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა შეიმუშავეს მეთოდიკური რეკომენდაციები მასწავლებლებისათვის დედაენაში, რუსულ ენაში, მათემატიკაში, შრომაში, სიმღერა-მუსიკაში, სახვით ხელოვნებაში, ფიზკულტურასა და ახალ სასწავლო საგანში — გარესამყაროს გაცნობა.

სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად დიდი ყურადღება დაეთმო და გატარდა კონკრეტული ღონისძიებანი ექვსწლიან ბავშვთა სწავლებისათვის შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით. მნიშვნელოვნად გაფართოვდა გახანგრძლივებული დღის ჯგუფების ქსელი, განმტკიცდა მათი მატერიალური ბაზა, რესპუბლიკის 100-მდე ზოგადსაგანიანათლებლო სკოლაში ორგანიზებულ იქნა გახანგრძლივებული დღის ჯგუფის აღსაზრდელთა ძილი. მათთვის მოეწყო დასასვენებელი ოთახები.

სკოლის რეფორმასთან დაკავშირებით ზოგიერთ სკოლამდელ დაწესებულებაში, სადაც ბავშვთა სწავლისა და აღზრდის ნორმალური პირობებია, ექვსწლიანი ბავშვებისათვის 1-ლი კლასები გაიხსნა.

სასწავლო დაწესებულებათა ბაზის განმტკიცებისა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ხაზით 1984 წელს ექსპლუატაციაში შევიდა 35 სკოლის შენობა 19766 მოსწავლე ადგილზე, 3 სასკოლო ინტერნატი 160 ადგილზე, 36 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება 6430 ბავშვ-

ადგილზე, 7 სკოლისგარეშე დაწესებულება. 384 კვ. მეტრი ფართობის მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლი სოფლად.

სახალხო განათლების სისტემის დაწესებულებებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საქმეში აქტიური დახმარება გაუწიეს შეფმა ორგანიზაციებმა, საწარმოო დაწესებულებებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა. მათ მიერ გამოყოფილი სახსრებით ჩატარდა სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების მიმდინარე და კაპიტალური რემონტი, შეიქმნა კაბინეტ-ლაბორატორიები, სახელოსნოები და მათი აღჭურვისათვის შეძენილ იქნა სწავლების ტექნიკური საშუალებები და თვალსაჩინოებები.

მოსწავლეთა შრომითი სწავლების, აღზრდის, ნაყოფიერ შრომაში მათი ჩაბმისა და პროფესიული ორიენტაციის მაღალ დონეზე დაყენებისათვის პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ დადგენილებათა შესასრულებლად სახალხო განათლების ორგანოებისა და ზოგდისაგანმანათლებლო სკოლების მიერ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული ორგანოების მხარდაჭერითა და დახმარებით სამეურნეო, საბაზო საწარმოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით გაწეულ იქნა მნიშვნელოვანი მუშაობა.

განათლების სამინისტრომ მოამზადა რეკომენდაციები 1984 წლის ზაფხულის არდადეგების პერიოდში 1984—1985 სასწავლო წელს მიმდინარე მწარმოებლურ შრომაში მოსწავლეთა მაქსიმალურად ჩაბმის შესახებ; შემუშავებულ იქნა ერთობლივი ბრძანება სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტთან ერთად მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლების, პროფესიული ორიენტაციისა და საზოგადოებრივად სასარგებლო მწარმოებლური შრომისათვის სათანადო გზების მომზადების საქმეში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციათა მონაწილეობის შესახებ.

სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებების მოთხოვნათა შესაბამისად შრომითი სწავლებისა და აღზრდის გაუმჯობესებისათვის, სწორი პროფესიული ორიენტაციისა და ქვეყნის სასურსათო პროგრამის განხორციელების საქმეში გადადგმულია გარკვეული ნაბიჯები.

საჩხერის რაიონის სოფლების მეჯვევისა და სავანის საშუალო სკოლებმა შექმნეს მოსწავლეთა სასწავლო-საწარმოო მეურნეობები, ხოლო 1984 წელს საჩხერელთა ინიციატივას მხარი დაუჭირეს გორის რაიონის სოფელ ძევერის, საგარეჯოს რაიონის სოფელ მანავის 1-მა და მე-2, მახარაძის რაიონის სოფელ ლაითურის საშუალო სკოლებმა და სხვა.

რესპუბლიკის უფროსკლასელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს მესამე შრომით სემესტრში. მიმდინარე წლის ზაფხულში რესპუბლიკაში მოქმედებდა 6275 მოსწავლეთა შრომითი გაერთიანება, რომლებშიც ჩაბმული იყო 187000 უფროსკლასელი, სოფლად მუშაობდა მოსწავლე-

თა 1432 საწარმოო ბრიგადა, რომლებშიც გაერთიანებული ეროვნული ბიბლიოთეკა 39,3000 მოსწავლე, 561 შრომისა და დასვენების ბანაკში მუშაობდა და აქტიურად ისვენებდა 40960 უფროსკლასელი, 638 სარემონტო ბრიგადაში შრომობდა 3055 მოზარდი, 596 სასკოლო სატყეოში შრომით დასაქმებული იყო 28.635 მოსწავლე.

როგორც ადგილზე ჩატარებული შემოწმებიდან და წარმოდგენილი მასალების ანალიზიდან ირკვევა, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სწავლებისა და აღზრდის პირობები, მიმდინარე წელს რესპუბლიკაში ფუნქციონირებს 17 გახანგრძლივებული დღის სკოლა, გაიზარდა გახანგრძლივებული დღის ჯგუფების რაოდენობა, მიმდინარე სასწავლო წლის მაჩვენებლებით გახანგრძლივებული დღის ჯგუფებში ჩაბმულია I—VIII კლასების მოსწავლეთა 18%, რაც გასულ წელთან შედარებით 2%-ით მეტია.

1984 წელს გარკვეულად გაუმჯობესდა მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვების მდგომარეობა. განმტკიცდა კვების ბლოკების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაფართოვდა ანგარიშსწორების სააბონემენტო სისტემის მიხედვით კომპლექსური სადილების რეალიზებაზე გადაყვანის საწარმოთა ქსელი.

სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მასალების ანალიზიდან ირკვევა, რომ რაიონებსა და ქალაქებში გარკვეული წარმატებებია მოპოვებული სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების საქმეში. კარგ შედეგებს მიაღწიეს ქ. ქ.ტყიბულის, ტყვარჩელის, ზუგდიდის, საგარეჯოს, ამბროლაურის, ცაგერის, თიანეთის, ლანჩხუთის, ხაშურის, ქობულეთის, ცხინვალის, ქ. თბილისის ლენინის რაიონების სახალხო განათლების ორგანოებმა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა, სკოლამდელმა და სკოლისგარეშე დაწესებულებებმა.

ამასთან, სოციალისტური ვალდებულებების შესრულების საქმეში შეინიშნება გარკვეული ნაკლოვანებები. ჯერ კიდევ სუსტია საშეფო ორგანიზაციების დახმარება სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების მატერიალური ბაზის განმტკიცების, კაბინეტების და ლაბორატორიების აღჭურვის საქმეში.

რესპუბლიკის რიგ რაიონებსა და ქალაქებში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის I-VIII კლასების მოსწავლეთა გახანგრძლივებული დღის სკოლებსა და ჯგუფებში ჩაბმის საქმეში. ნელი ტემპით მიმდინარეობს გახანგრძლივებული ჯგუფების მატერიალური ბაზის განმტკიცება. მოსწავლეები ძირითადად საკლასო ოთახებში მუშაობენ, არ არის მოგვარებული დასვენებისა და ძილის ორგანიზაცია.

გაუმჯობესებას საჭიროებს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვების საკითხი. განმტკიცებას მოითხოვს კვების ბლოკების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ნაკლოვანე-

ბებია მოსწავლეთა ცხელი და წვნიანი კერძებით უზრუნველყოფისა ბიბლიოთეკა
მეში გარდაბნის, ბოგდანოვკის, წალკის, ადიგენის, ახმეტის, ქარელის
და სხვა რაიონებში.

განათლების განყოფილებებისა და პროფკავშირის რაიკომების ერთი ნაწილი ყურადღებით არ ეკიდება სოციალისტური შეჯიბრების საქმეს. დაგვიანებით და უხარისხოდ წარმოადგინეს მასალები რესპუბლიკურ კომისიაში ონის, ყაზბეგის, თერჯოლის რაიონებმა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ და განათლების ,უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. მე-11 ხუთწლედის დავალებათა წარმატებით და გადაჭარბებით შესრულებისათვის 1984 წელს აღებულ ვალდებულებათა შესრულებაში მოპოვებული წარმატებებისათვის წარდგენილ იქნან სსრ კავშირის განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით და პირველი ფულადი პრემიით დასაჯილდოებლად ზუგდიდისა და საგარეჯოს რაიონების, ქ. ტყიბულის სახალხო განათლების განყოფილებები და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი.

2. მე-11 ხუთწლედის დავალებათა წარმატებითა და გადაჭარბებით შესრულებისათვის 1984 წლის აღებულ ვალდებულებათა შესრულებაში მოპოვებული წარმატებებისათვის აბაშის რაიონის სოფელ სუჯუნის საშუალო სკოლა წარდგენილ იქნას საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დასაჯილდოებლად.

3. მე-11 ხუთწლედის დავალებათა წარმატებით და გადაჭარბებით შესრულებისათვის 1984 წელს რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებებისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი სგარდამავალი წითელი დროშით, დიპლომითა და პირველი ფულადი პრემიით:

ა) რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა შორის: ქ. ტყვარჩელი — აფხაზეთის ასსრ-დან; ქობულეთის რაიონი — აჭარის ასსრ-დან; ცხინვალის რაიონი — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან; ქ. თბილისის ლენინის რაიონის, ამბ-

როლაურის, ლანჩხუთის, ცაგერის, ხობის, თიანეთის, ხაშურის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებები;

ბ) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს შორის: ქ. თბილისის მე-8 საშუალო სკოლა; ამბროლაურის რაიონის მე-2 საშუალო სკოლა; წულუკიძის რაიონის სოფელ ივანდიდის საშუალო სკოლა; ახალციხის რაიონის შ. რუსთაველის სახელობის საშუალო სკოლა;

გ) სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებს შორის: ზუგდიდის რაიონის საშუალო სკოლა-ინტერნატი; ქ. თბილისის ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატი; ქ. თბილისის № 1 საბავშვო სახლი;

დ) საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებს შორის: თელავის რაიონული დაუსწრებელი საშუალო სკოლა; თბილისის საღამოს მე-5 საშუალო სკოლა;

ე) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს შორის: ქუთაისის № 12 ბაგა-ბაღი; ცხაკაიას № 1 ბაგა-ბაღი; საგარეჯოს № 1 ბაგა-ბაღი;

ვ) სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატებს შორის: ქ. თბილისის საქარხნო რაიონის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატი;

ზ) სკოლისგარეშე დაწესებულებებს შორის: გორის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი; ე. ახვლედიანის სახელობის სურამის საბავშვო გალერეა;

თ) მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებს შორის: ქ. ქუთაისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი;

ი) სპორტულ სკოლებს შორის: ახფაზეთის ბავშვთა და მოზარდთა ჭიდაობისა და კრივის სპორტული სკოლა.

4. რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს შორის 1984 წელს გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ჩაითვალონ და დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის დიპლომითა და ფულადი პრემიით რაიონებიდან და ქალაქებიდან წარმოდგენილი სკოლები:

ქ. თბილისის 118-ე საშუალო სკოლა
ქ. თბილისის მე-8 საშუალო სკოლა
ქ. თბილისის 53-ე საშუალო სკოლა
ქ. თბილისის 155-ე საშუალო სკოლა
ქ. თბილისის 101-ე საშუალო სკოლა
ქ. თბილისის 104-ე საშუალო სკოლა
ქ. თბილისის მე-20 საშუალო სკოლა
ქ. თბილისის 146-ე საშუალო სკოლა
ქ. თბილისის 161-ე საშუალო სკოლა
ქ. თბილისის ვ. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი
ქ. ქუთაისის 30-ე საშუალო სკოლა

ქ. ქუთაისის 22-ე საშუალო სკოლა
ქ. გორის მე-7 საშუალო სკოლა
ქ. ოუსთავის მე-17 საშუალო სკოლა
ქ. ფოთის მე-5 საშუალო სკოლა
ქ. ტყიბულის ზონის სოფელ გელათის საშუალო სკოლა
ქ. ჭიათურის მე-2 საშუალო სკოლა
ქ. ზუგდიდის მე-9 საშუალო სკოლა
წყალტუბოს ზონის სოფელ ქვიტირის საშუალო სკოლა
ადიგენის რაიონის საშუალო სკოლა
ასპინძის რაიონის სოფელ რუსთავის საშუალო სკოლა
ახალქალაქის რაიონის სოფელ სტალინის სომხური საშუალო სკოლა
ახმეტის რაიონის მე-2 საშუალო სკოლა
ბოგდანოვკის რაიონის სოფელ არაგალის რვაწლიანი სკოლა
ბოლნისის რაიონის სოფელ რატევნის საშუალო სკოლა
ბორჯომის რაიონის მე-4 საშუალო სკოლა
გეგეჭკორის რაიონის სოფელ ტინისის საშუალო სკოლა
გორის რაიონის სოფელ ძევერის საშუალო სკოლა
გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის საშუალო სკოლა
დმანისის რაიონის სოფელ ზემო ორუზმანის საშუალო სკოლა
დუშეთის რაიონის სოფელ ყვავილის რვაწლიანი სკოლა
ვანის რაიონის სოფელ სალხინოს საშუალო სკოლა
ზესტაფონის რაიონის მე-2 საშუალო სკოლა
ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის გახანგრძლივებული დღის საშუალო სკოლა
თელავის რაიონის მე-7 საშუალო სკოლა
თერჯოლის რაიონის სოფელ ახალი თერჯოლის საშუალო სკოლა
თეთრი წყაროს რაიონის სოფელ კოდის საშუალო სკოლა
თიანეთის რაიონის სოფელ ხევსურთსოფლის საშუალო სკოლა
კასპის რაიონის სოფელ დოესის საშუალო სკოლა
ლაგოდეხის რაიონის მე-3 საშუალო სკოლა
ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნიგვზიანის საშუალო სკოლა
ლენტეხის რაიონის სოფელ ჩოლურის საშუალო სკოლა
მარნეულის რაიონის სოფელ კიზილაჯლოს საშუალო სკოლა
მახარაძის რაიონის სოფელ დვაბზუს შ. რადიანის სახელობის საშუალო სკოლა
მესტიის რაიონის დაბა მესტიის 1-ლი საშუალო სკოლა
მაიაკოვსკის რაიონის მე-2 საშუალო სკოლა
მცხეთის რაიონის სოფელ საგურამოს საშუალო სკოლა
ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ხევის საშუალო სკოლა
საგარეჯოს რაიონის მე-4 საშუალო სკოლა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამტრედიის რაიონის სოფელ ღანირის საშუალო სკოლა
საჩხერის რაიონის მე-2 საშუალო სკოლა
სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანის მე-2 საშუალო სკოლა
ქარელის რაიონის მე-2 საშუალო სკოლა
ხაშურის რაიონის სოფელ წაღველის საშუალო სკოლა
ყვარლის რაიონის მე-3 საშუალო სკოლა
ხობის რაიონის სოფელ ნოჯიხევის საშუალო სკოლა
ცაგერის რაიონის სოფელ ჩხუტელის საშუალო სკოლა
ცხაკაიას რაიონის მე-7 საშუალო სკოლა
წალკის რაიონის მე-2 საშუალო სკოლა
წალენჯიხის რაიონის შეროზიას სახელობის 1-ლი საშუალო სკოლა
ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ლესიჭინის საშუალო სკოლა
ჩოხატაურის რაიონის ნ. მარის სახელობის საშუალო სკოლა
ლენინგორის რაიონის სოფელ ბაზუანის საშუალო სკოლა
ქ. ცხინვალის მე-7 საშუალო სკოლა
ცხინვალის რაიონის სოფელ ქურთის საშუალო სკოლა
ზნაურის რაიონის სოფელ წნელისის საშუალო სკოლა
ჯავის რაიონის სოფელ კიროვის საშუალო სკოლა
სოხუმის რაიონის სოფელ ახალსოფლის საშუალო სკოლა
გულრიფშის რაიონის სოფელ ვარჩე კოდორის საშუალო სკოლა
გალის რაიონის სოფელ ჩხორთოლის ი. პაპასკირის სახელობის საშუალო სკოლა
ოჩამჩირის რაიონის სოფელ კაჯარის საშუალო სკოლა
გუდაუთის რაიონის სოფელ გამბორის საშუალო სკოლა
გაგრის რაიონის მე-3 საშუალო სკოლა
ქ. სოხუმის მე-19 საშუალო სკოლა
ქ. ტყვარჩელის მე-3 საშუალო სკოლა
ხულოს რაიონის ა. ქონიაძის სახელობის საშუალო სკოლა
ქობულეთის რაიონის სოფელ ზენითის საშუალო სკოლა
შუახევის რაიონის სოფელ ლომანურის რვაწლიანი სკოლა
ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ჩაისუბნის ლ. ქიქავას სახელობის საშუალო სკოლა

ბ) სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებს შორის: გორის რაიონის ატენის საშუალო სკოლა-ინტერნატი; ბორჯომის რაიონის ახალდაბის სანატორიული სკოლა-ინტერნატი;

გ) საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებს შორის: აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონის სოფელ კუტოლის დაუსწრებელი საშუალო სკოლა; ქ. თბილისის საღამოს მე-40 საშუალო სკოლა;

დ) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს შორის: ამბროლაურის რაიონის № 1 ბაგა-ბაღი, ახმეტის რაიონის სოფელ მაღრაანის საბავშვო ბაღი;

ე) სკოლისგარეშე დაწესებულებებს შორის: ახალციხის რაიონის პიონერთა სახლი; თერჯოლის რაიონის ნორჩ ნატურალისტთა სადგური.

5. 1984 წელს რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებებში გამარჯვებულად ჩაითვალოს:

ქ. ქუთაისი — ქ. რუსთავი	ქ. რუსთავი
ქ. ფოთი — ქ. ზუგდიდი	ქ. ზუგდიდი
ქ. ჭიათურა — ქ. ფოთი	ქ. ფოთი
ქ. გორი — ქ. ცხინვალი	ქ. ცხინვალი
ქ. ტყიბული — ქ.ჭიათურა	ქ. ტყიბული
ქ. წყალტუბო — ბორჯომის რაიონი	ქ. წყალტუბო
აბაშის რაიონი — გალის რაიონი	გალის რაიონი
ადიგენის რაიონი —ასპინძის რაიონი	ადიგენის რაიონი
ამბროლაურის რაიონი — ონის რაიონი	ამბროლაურის რაიონი
ახალქალაქის რაიონი — ბოგდანოვკის რაიონი	ბოგდანოვკის რაიონი
ახალციხის რაიონი — ასპინძის რაიონი	ახალციხის რაიონი
ბოლნისის რაიონი — მარნეულის რაიონი	ბოლნისის რაიონი
ვანის რაიონი — წულუკიძის რაიონი	ვანის რაიონი
გარდაბნის რაიონი — მარნეულის რაიონი	გარდაბნის რაიონი
გეგეჭკორის რაიონი — წულუკიძის რაიონი	გეგეჭკორის რაიონი
გორის რაიონი — ახმეტის რაიონი	გორის რაიონი
გურჯაანის რაიონი — თელავის რაიონი	თელავის რაიონი
დმანისის რაიონი — წალკის რაიონი	წალკის რაიონი
დუშეთის რაიონი — თიანეთის რაიონი	თიანეთის რაიონი
ზესტაფონის რაიონი — თელავის რაიონი	თელავის რაიონი
ზუგდიდის რაიონი — მახარაძის რაიონი	ზუგდიდის რაიონი
ყაზბეგის რაიონი — ლენინგორის რაიონი	ყაზბეგის რაიონი
ქარელის რაიონი — ზნაურის რაიონი	ქარელის რაიონი
კასპის რაიონი — თეთრიწყაროს რაიონი	თეთრიწყაროს რაიონი
ყვარლის რაიონი — ახმეტის რაიონი	ყვარლის რაიონი
ლაგოდეხის რაიონი — სიღნაღის რაიონი	სიღნაღის რაიონი
ლანჩხუთის რაიონი — ჩოხატაურის რაიონი	ლანჩხუთის რაიონი
ლენტეხის რაიონი — ცაგერის რაიონი	ცაგერის რაიონი
მახარაძის რაიონი— ლანჩხუთის რაიონი	ლანჩხუთის რაიონი
მაიაკოვსკის რაიონი — ვანის რაიონი	ვანის რაიონი
მცხეთის რაიონი — კასპის რაიონი	მცხეთის რაიონი
ონის რაიონი — ჯავის რაიონი	ჯავის რაიონი
ორჯონიკიძის რაიონი — მესტიის რაიონი	ორჯონიკიძის რაიონი
საგარეჯოს რაიონი — წითელწყაროს რაიონი	საგარეჯოს რაიონი
სამტრედიის რაიონი — ხაშურის რაიონი	ხაშურის რაიონი
საჩხერის რაიონი — ონის რაიონი	საჩხერის რაიონი
სიღნაღის რაიონი — წითელწყაროს რაიონი	სიღნაღის რაიონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თერჯოლის რაიონი — საჩხერის რაიონი	საჩხერის რაიონი
თიანეთის რაიონი — ახმეტის რაიონი	თიანეთის რაიონი
თეთრი წყაროს რაიონი — კასპის რაიონი	თეთრი წყაროს რაიონი
ხაშურის რაიონი — ბორჯომის რაიონი	ხაშურის რაიონი
ხობის რაიონი — წალენჯიხის რაიონი	ხობის რაიონი
წალენჯიხის რაიონი — ლაგოდეხის რაიონი	წალენჯიხის რაიონი
წულუკიძის რაიონი — ქ. წყალტუბო	წულუკიძის რაიონი
ცხაკაიას რაიონი — გეგეჭკორის რაიონი	ცხაკაიას რაიონი
ჩხოროწყუს რაიონი — წალენჯიხის რაიონი	ჩხოროწყუს რაიონი
ჩხოროწყუს რაიონი — გეგეჭკორის რაიონი	ჩხოროწყუს რაიონი

6. აღინიშნოს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ქ. ზუგდიდის, ცხაკაიას, გორის, თელავის, ვანის, მახარაძისა და ადიგენის რაიონების განათლების ორგანოებისა და პროფკავშირის კომიტეტების კარგი მუშაობა.

7. 1984 წელს სოციალისტურ შეჯიბრებაში აქტიური მონაწილეობისათვის გამარჯვებული რაიონებიდან, ქალაქებიდან და ორგანიზაციებიდან წარმოდგენილი მასალების საფუძველზე მუშაკთა ჯგუფი დაჯილდოვდა „საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელით.

8. აღინიშნოს ონის, ყაზბეგის, თერჯოლის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებისა და პროფკავშირის კომიტეტების ხუსტი მუშაობა, რომლებმაც დაგვიანებით, არაზუსტი და არასრულყოფილი მასალები წარმოადგინეს სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკურ კომისიაში.

9. გამარჯვებული ქალაქების, რაიონების, სკოლებისა და სხვა დაწესებულებებისათვის გარდამავალი წითელი დროშებისა და დიპლომების გადაცემა მოხდეს საზეიმო ვითარებაში 1985 წლის მასწავლებელთა იანვრის კონფერენციებზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრების მეშვეობით.

10. გადაწყვეტილების შინაარსი გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლებაში“ და დაიბეჭდოს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

კოლეგიის თავმჯდომარე,
საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
ო. ქინქლაძე

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე
დ. იოსელიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1984 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 1983—1984 სასწავლო წლის გამოსაშვები გამოცდების შედეგების შესახებ

მოსწავლეთა ცოდნის გაუმჯობესებისათვის თანმიმდევრობით გატარებულმა ღონისძიებებმა სკოლებში და სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებში განამტკიცა სახელმწიფო, შრომითი და საშემსრულებლო დისციპლინა, რასაც სასკოლო ცხოვრებაში შესამჩნევი პოზიტიური ძვრები მოჰყვა და ხელსაყრელი პირობები შექმნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის.

სკოლებისა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელთა დიდმა უმრავლესობამ სრულყო და დახვეწა სკოლის პედაგოგიური კოლექტივებისადმი ხელმძღვანელობისა და კონტროლის სტილი, ფორმები და მეთოდები, გაატარა სათანადო ღონისძიებები მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში ლიბერალიზმის აღმოფხვრისათვის. მასწავლებელთა უმრავლესობა სწავლებაში ფართოდ ნერგავდა სიახლეებს, უნარიანად იყენებდა თვალსაჩინოებასა და სწავლების ტექნიკურ საშუალებებს. ატარებდა ლაბორატორიულ და სხვა სახის პრაქტიკულ სამუშაოებს, დიდ ყურადღებას უთმობდა გაკვეთილის ეფექტიანობის საქმეს და აღწევდა მოსწავლეთა მიერ პროგრამული მასალის ათვისებას. ყოველივე ამის შედეგად კურსდამთავრებულთა დიდმა ნაწილმა და განსაკუთრებით მათ, ვინც საშუალო სკოლა ოქროს მედლითა და ქების სიგელებით დაამთავრეს, გამოსაშვებ გამოცდებზე მეცნიერებათა საფუძვლების ღრმა და მტკიცე ცოდნა გამოავლინეს.

აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელთა დიდმა ნაწილმა, რომელთა მუშაობა მკაცრად იქნა გაკრიტიკებული 1983 წლისა და წინა წლების კოლეგიათა სხდომებზე, სწორი შეფასება მისცა მიღებულ შენიშვნებს, გაატარა საჭირო ღონისძიებანი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის შემდგომი სრულყოფისა და მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასების საქმეში სათანადო წესრიგის დასამყარებლად.

ამასთან, რესპუბლიკის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ჩატარებული გამოსაშვები გამოცდების შედეგების ანალიზმა ცხადყო, რომ მასწავლებელთა ერთი ნაწილი ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა სათანადო მომზადებას მოქმედი სასწავლო პროგრამების ფარგლებში. დაბალ დონეზე დგას სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი, საჭირო ყურადღება არ

ექცევა მოსწავლეთა ცოდნის ხარისხს, მის სიღრმესა და სიმტკიცეს, სწავ-
ლებია სისტემატურობასა და შეგნებულობას, მეთოდური სამსახურის, ინსპექ-
ქალაქო და რაიონული რგოლები სათანადო დახმარებას ვერ უწევენ სკო-
ლების მასწავლებლებს ცალკეული საგნების სწავლების გაუმჯობესების
საქმეში.

მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასების საქმეში კვლავ ადგი-
ლი აქვს არაობიექტურობის, ლიბერალიზმის, პროტექციონიზმის შემ-
თხვევებს. რიგ სკოლებში გამოსაშვებ გამოცდებზე ადგილი ჰქონდა სა-
გამოცდო ინსტრუქციის უხეში დარღვევის ფაქტებს. პედაგოგიურ კოლექ-
ტივებში კვლავ გვხვდებიან ცალკეული პიროვნებები, რომლებიც უფრო
მეტს ზრუნავენ მედალოსან მოსწავლეთა რიცხვის ხელოვნურ გაზრდაზე,
ვიდრე მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის ამაღლებაზე, მათში ლოგიკური
აზორვნების ფორმებისა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების
ჩამოყალიბებაზე. ამის შედეგია ის, რომ გამოსაშვებ წერით გამოცდებ-
ზე კვლავ ადგილი ჰქონდა მოსწავლეთა და მათ შორის ოქროს მედლის
კანდიდატთა მიერ „შპარგალკებით" სარგებლობის მცდელობის შემთხ-
ვევებს. იშვიათად, მაგრამ მაინც სერიოზული დარღვევები გამოვლინდა
სასკოლო დოკუმენტაციის წარმოების საქმეში.

ზემოაღნიშნული და სხვა უხეში დარღვევები გამოწვეულია იმით,
რომ სკოლების სამმართველოს ცნობაში (თან ერთვის) მითითებული
რიგი სკოლებისა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების
ხელმძღვანელებმა ვერ შეძლეს სათანადო წესრიგის დამყარება მოსწავ-
ლეთა ცოდნის ობიექტურად შემოწმება-შეფასების საქმეში, სათანადო
ღონისძიებები ვერ განახორციელეს მოსწავლეთა შრომის შედეგების შე-
ფასებაში ფორმალიზმის აღსაკვეთად. ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ
გასულ სასწავლო წელს 471 ოქროს მედლის კანდიდატიდან გამოსაშვებ
გამოცდებზე, რომლებსაც განათლების სამინისტროს სკოლების სამმარ-
თველოსა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების მუშაკე-
ბი ესწრებოდნენ, 205-მა ვერ მიიღო „5", ხოლო განათლების სამინის-
ტროში ოქროს მედლით დასაჯილდოებლად წარმოდგენილი 28 მოსწავ-
ლის საგამოცდო წერითი ნამუშევრები მშობლიურ ენასა და ლიტერატუ-
რაში და ალგებრა და ანალიზის საწყისებში აშკარად არ იმსახურებდნენ
შეფასება „5"-ს.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გამოსაშვები გა-
მოცდების ანალიზმა ნათლად წარმოაჩინა, რომ სკოლის კურსდამთავრე-
ბულთა ერთ ნაწილს ჯერ კიდევ სერიოზული ხარვეზები გააჩნია პრო-
გრამული მასალის ცოდნაში.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 1983—1984
სასწავლო წელს გამოსაშვები გამოცდების დროს გამოვლენილი ნაკლო-
ვანებების აღმოფხვრის მიზნით კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. სკოლების სამმართველოს ცნობა „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 1983—1984 სასწავლო წლის გამოსაშვები გამოცდების შედეგების შესახებ“ დაეგზავნოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს, რომლებმაც:

1. 1. სკოლების სამმართველოს ცნობის საფუძველზე შეისწავლონ და გააანალიზონ 1983—1984 სასწავლო წელს გამოსაშვები გამოცდების შედეგები, განიხილონ ისინი კოლეგიის, საბჭოს სხდომებზე და განახორციელონ ღონისძიებები გამოვლინებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად;

1. 2. აამაღლონ სკოლის ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა პასუხისმგებლობა მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურად შეფასების საქმეში, შეუნელებელი ბრძოლა გამოუცხადონ სემესტრული და წლიური ნიშნების არასწორად გამოყვანის შემთხვევებს;

1. 3. განიხილონ სასკოლო საგამოცდო, საარაიონო და საქალაქო საარეცენზიო კომისიების იმ წევრთა და მასწავლებელთა პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც თავი ვერ გაართვეს დაკისრებულ მოვალეობას და საგამოცდო ნამუშევრების გასწორებისას არაკვალიფიციურობა ,უპრინციპობა და ლიბერალიზმი გამოავლინეს.

2. აღინიშნოს ამხ. ამხ. ა. არუთინიანის (ახალციხის რაიონის სოფელ წინუბნის საშუალო სკოლა), ლ. ჯარიაშვილისა და ა. ნათენაძის (გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალის 1-ლი და სოფელ გამარჯვების საშუალო სკოლები), ე. ტაბუცაძისა და ტ. შარიქაძის (ხაშურის რაიონის მე-3 და მე-4 საშუალო სკოლები), ც. კიკუტაძის (ვანის რაიონის კიროვის სახელობის საშუალო სკოლა), ე. ქაცანაშვილის (თიანეთის რაიონის სოფელ სიმონიანთხევის საშუალო სკოლა), ო. ყურაშვილის (წულუკიძის 1-ლი საშუალო სკოლა), ლ. ვარდოშვილის, რ. კაპანაძის, ი. გუგულაშვილისა და ს. ხათაშვილის (კასპის რაიონის სოფლების ახალქალაქისა და დოესის საშუალო სკოლები), ნ. კუხიანიძის, დ. ბოჭორიძის, მ. კევლიშვილისა და ტ. გობეჯიშვილის (თელავის რაიონის 1-ლი, მე-3 და მე-8 საშუალო სკოლები), ა. ომაროვას, პერედარის, თ. ნანავას, ნ. პტაშნიკოვასა და ს. ცინცაძის (წალენჯიხის რაიონის მე-2, სოფლების ჯვრის, ლიის და მეურნეობის საშუალო სკოლები), ჟ. ზუბიაშვილის (წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის საშუალო სკოლა), ლ. ელიზბარაშვილის (ყვარლის რაიონის სოფელ შილდის 1-ლი საშუალო სკოლა), ვ. გოგოლაძის (ბორჯომის რაიონის სოფელ წაღვერის საშუალო სკოლა), ვ. ნინუას, ც. გეგელიასა და მ. ფარცვანიას (ქ. ზუგდიდის მე-4 საშუალო სკოლა), ა. ბლუდოვას (დმანისის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლა) და გ. ჯაშის (მახარაძის რაიონის განათლების განყოფი-

ლება) არასაკმარისი მუშაობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურად შემოწმება-შეფასებაში სათანადო წესრიგის დასამყარებლად.

მიღებულ იქნას ცნობად, რომ გამოსაშვებ გამოცდებზე გამოვლინებული დარღვევები შესწავლილ და განხილულ იქნა ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე.

3. აღნიშნული გადაწყვეტილების შინაარსი და სკოლების სამმართველოს ცნობა „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 1983—1984 სასწავლო წლის გამოსაშვები გამოცდების შედეგების შესახებ" გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლებაში" (ამხ. ნ. შველიძე) და დაიბეჭდოს განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

4. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს სკოლების სამმართველოს (ამხ. თ. ტატიშვილი).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ო. ქინქლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცნობა

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 1983—1984 სასწავლო წლის გამოსაშვები გამოცდების შედეგების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმისა და სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ მოწონებული „ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებების" საფუძველზე მიღებულმა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებმა მკაცრად მოითხოვა მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის მთელი კომპლექსის თვისებრივად და ხარისხობრივად ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აყვანა, განსაზღვრა საქმის მცოდნე და მოყვარული, საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით გამსჭვალული ახალგაზრდობის აღზრდა, რომელსაც ყველა პირობა ექნება შექმნილი შემოქმედებითი სწავლის, შრომისა და დასვენებისათვის. ყოველივე ამან შთამბეჭდავი გავლენა მოახდინა სასკოლო პედაგოგიური კოლექტივების მობილიზებაზე პარტიის მიერ სკოლის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ მოსწავლეთა ცოდნის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის სკოლებში გატარებულმა ღონისძიებებმა განმატკიცა სახელმწიფო, შრომითი და საშემსრულებლო დისციპლინა, რასაც სასკოლო ცხოვრებაში შესამჩნევი პოზიტიური ძვრები მოჰყვა და ხელსაყრელი პირობები შექმნა სკკპ 1984 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სახალხო განათლების მთელი სისტემის შემდგომი სრულყოფისათვის. ნიშანდობლივია ისიც, რომ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების აქტიური მხარდაჭერითა და დახმარებით, პირველმა ითავა 1984 წლის აპრილის პლენუმის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებების 1984—1985 სასწავლო წლიდან რეალიზაციის საქმე.

გასულ, 1983—1984, სასწავლო წელს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა, ძირითადად, ორგანიზებულად დაიწყეს და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის მიერ დამტკიცებული საგამოცდო ინსტრუქციის სრული შესაბამისობით ჩაატარეს საშუალო განათლების ატესტატის მისაღები გამოცდები, რომლებზედაც შეჯამდა სკოლების მიერ სასწავლო წლის განმავლობაში გაწეული მუშაობა. სკოლების ხელმძღვანელებისა და მასწავლებელთა დიდი ნაწილი მაღალი პასუხისმგებლობით მოეკიდა გამოსაშვები გამოცდების მაღალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დონეზე ჩატარებისა და მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურად შეფასებული საქმეს.

სკოლებისა და სახალხო განათლების ხელმძღვანელ მუშაკთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ სრულყო და დახვეწა სკოლის პედაგოგიური კოლექტივებისადმი ხელმძღვანელობისა და კონტროლის სტილი, ფორმები და მეთოდები; გაატარა საჭირო ღონისძიებები სკოლების მუშაობაში ჯერ კიდევ შემორჩენილი ფორმალიზმისა და მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში ლიბერალიზმის აღმოფხვრისათვის. მასწავლებელთა უმრავლესობა ფართოდ ნერგავდა სწავლებაში სიახლეებს, უნარიანად იყენებდა თვალსაჩინოებასა და სასწავლო-ტექნიკურ საშუალებებს, ატარებდა ლაბორატორიულ და სხვა სახის პრაქტიკულ სამუშაოებს და აღწევდა მოსწავლეთა მიერ პროგრამული მასალის ათვისებას. ყოველივე ამის შედეგად 1983 წელთან შედარებით ოქროს მედლით დაჯილდოებულთა რიცხვი გაიზარდა 262-დან 267-მდე. აგრეთვე კურსდამთავრებულთა დიდმა ნაწილმა, განსაკუთრებით იმათ, ვინც საშუალო სკოლა ოქროს მედლითა და ქების სიგელებით დაამთავრეს, გამოსაშვებ გამოცდებზე მეცნიერებათა საფუძვლების ღრმა და მტკიცე ცოდნა გამოავლინეს.

ამასთან, როგორც რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის საინსპექტორო შემოწმებამ და საშუალო განათლების ატესტატის მისაღები გამოცდების შედეგების ანალიზმა ცხადყო, სკოლების ხელმძღვანელების, მასწავლებლების, რაიონული (საქალაქო) განათლების განყოფილებების მუშაკთა ერთმა ნაწილმა ვერ გამოიტანა სათანადო დასკვნა განათლების სამინისტროს მიერ გატარებული ღონისძიებებიდან, რის გამოც მთელ რიგ სკოლებში ჯერ კიდევ დაბალ დონეზე დგას სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი. საჭირო ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა ცოდნის ხარისხს, მის სიღრმესა და სიმტკიცეს, სწავლების სიტემატურობასა და შეგნებულობას.

სკოლების გარკვეული ნაწილი ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჯეროვან მომზადებას სასწავლო პროგრამის ფარგლებში, ჯერ-ჯერობით კვლავ არასაკმარისი ბრძოლა მიმდინარეობს მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში დაშვებული ისეთი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, როგორიცაა: ფორმალიზმი, ლიბერალიზმი, პროტექციონიზმი, უპასუხისმგებლობა, გულგრილობა, პირადი ეგოისტური დამოკიდებულება. ზოგიერთმა სკოლის ხელმძღვანელმა ვერ უზრუნველყო გამოცდებისათვის სათანადო მომზადება, პედაგოგიური კოლექტივების მობილიზება სკოლის ცხოვრებაში ამ უაღრესად პასუხსაგები და მნიშვნელოვანი ღონისძიების მაღალ დონეზე ჩასატარებლად.

განათლების განყოფილებებისა და სკოლების ხელმძღვანელთა საგრძნობი ნაწილი სათანადოდ არ მოემზადა გამოსაშვები გამოცდებისათვის, ვერ გაერკვა თავის ფუნქციებში, მოსწავლეებსა და მათ მშობ-

ლებს არ გააცნო საგამოცდო ინსტრუქციის ის ადგილები, რომლებიც მათ ეხებოდათ, რის შედეგადაც ინასტრუქციის უხეში დარღვევები აღინიშნა ქ. ქუთაისის, ქ. ზუგდიდის, თელავის, ქობულეთის, თიანეთის, ხაშურის, ხობის, ჩოხატაურის რაიონების (გამგეები: ნ. ხანთაძე, მ. ქავთარაძე, ა. თვალიაშვილი, ლ. მესხაძე, ვ. ობგაიძე, ა. ჯიოშვილი, შ. ხარებავა, გამგის მოვალეობის შემსრულებელი გ. ასიაშვილი) რიგ სკოლებში. ხაშურის 1-ელ და მე-3 საშუალო სკოლების (დირექტორები: ლ. ებანოიძე, შ. ლაბაძე) საგამოცდო ოთახების კედლები დამტვრეული იყო, მერხები კი დაზიანებული. ჩოხატაურის 1-ლ და ხობის რაიონის სოფელ ორჯონიკიძის 1-ლ საშუალო სკოლებში (დირექტორები: ნ. კუტუშიძე, ა. ბეაია) თითო მოსწავლე დაგვიანების გამო არ იქნა დაშვებული შესაბამისად ქართული ენისა და ლიტერატურის, ალგებრა და ანალიზის საწყისების წერით გამოცდებზე.

სასკოლო პედაგოგიური კოლექტივების დაუდევრობაზე, უდისციპლინობაზე, მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაზე, სასწავლო პროცესის სუსტ ორგანიზაციაზე, სკოლის ადმინისტრაციისა და კლასის ხელმძღვანელთა უმოქმედობაზე მიგვანიშნებს ქ. თბილისის კ. დ. უშინსკის სახელობის 1-ლი ექსპერიმენტული საშუალო სკოლის (დირექტორი ნ. ტარიელაშვილი) მე-10 კლასების საკლასო ჟურნალების წარმოების საქმეში დაშვებული დარღვევები. სახელდობრ: ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ფიზიკის, საზოგადოებათმცოდნეობის, უცხოური ენების, დაწყებითი სამხედრო მომზადების მასწავლებელთა უმრავლესობას მიმდინარე შეფასების ნიშნები და დამუშავებული მასალები თვეობით ჰქონდათ შეუტანელი საკლასო ჟურნალებში.

სასკოლო დოკუმენტაციის წარმოების საქმეში დარღვევები გამოვლინდა ქობულეთის რაიონის 1-ლ და ახალციხის რაიონის საშუალო სკოლებშიც.

ქ. ზუგდიდისა და თელავის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ადგილი ჰქონდა მედლის კანდიდატთა სხვადასხვა სკოლაში ხელოვნურ გაბნევას. 1982—1983 სასწავლო წელს დაიკარგა ქ. ზუგდიდის 1-ლი და ქ. ქუთაისის მე-10 საშუალო სკოლების (დირექტორები: ლ. ციმინტია, ს. მოროზოვა) მე-9 კლასის საკლასო ჟურნალები.

საგამოცდო ინსტრუქციის უხეში დარღვევები აღინიშნა ქ. ქუთაისის მე-7 საშუალო სკოლისა და ფიზიკა-მათემატიკურ საშუალო სკოლა-ინტერნატში.

ალგებრა და ანალიზის საწყისების წერით გამოცდაზე მიმაგრებულმა მუშაკებმა, ქ. ქუთაისის განათლების განყოფილების გამგის მოადგილემ რ. ჭოლაძემ, ქალაქის მეთოდური კაბინეტის მეთოდისტებმა: ლ. კოსტავამ და ნ. ბოჭორიშვილმა თავიანთი არაპედაგოგიური მოქმედებით დაარღვიეს განათლების სამინისტროს მოთხოვნა გამოცდებზე მოსწავლეებისათვის მშვიდი გარემოს შექმნის შესახებ, გადააჭარბეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავიანთ უფლებებს, უგულებელყვეს საგამოცდო ინსტრუქციით გათვალისწინებული მოთხოვნები, არაფრად ჩააგდეს სკოლების საგამოცდო კომისიები. მე-7 საშუალო სკოლის მედლის კანდიდატმა ქ. დავითაშვილმა წერითი სამუშაოს შავად შესრულების შემდეგ სანიტარიულ წერტილში წასვლის უფლება მოითხოვა, მეთოდისტმა ლ. კოსტავამ საგამოცდო კომისიის შემადგენლობას უნდობლობა გამოუცხადა. შავად შესრულებული სამუშაო თვითონ აიღო და მოსწავლეს გაჰყვა, მანვე ეჭვის ქვეშ დააყენა კომისიის წევრთა საგამოცდო ოთახში ყოფნის საკითხი... კომისიის წევრები დერეფნიდან ადევნებდნენ თვალს გამოცდის მსვლელობას, რ. ჭოლაძემ კომისიის წევრი ე. ბალანჩივაძე გამოცდიდან გააძევა იმისათვის, რომ მან საშუალო მოსწრების მოსწავლე ნ. წოწონავას განმარტება მისცა გრაფიკის აგების შესახებ. რ. ჭოლაძე ამითაც არ დაკმაყოფილდა, გამოცდის დამთავრების შემდეგ ბალანჩივაძეს საგამოცდო წერითი ნამუშევრების გასწორებაში მონაწილეობის უფლებაც ჩამოართვა. ნ. ბოჭორიშვილმა მუშაობის მძიმე პირობები შეუქმნა ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის ოქროს მედლის კანდიდატს.

აღსანიშნავია, რომ ქუთაისის განათლების განყოფილებამ (ყოფილი გამგე ნ. ხანთაძე) ვერ უზრუნველყო ქალაქის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გამოსაშვები გამოცდების არსებული ინსტრუქციის მოთხოვნათა დაცვით ჩატარება, ვერ დააკომპლექტა ალგებრა და ანალიზის საწყისებში საქალაქო სარეცენზიო კომისია კვალიფიციური, პრინციპული სპეციალისტებით.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ განიხილა აღნიშნული საკითხი, მისცა მას პრინციპული შეფასება და ქ. ქუთაისის სახალხო განათლების ადგილობრივი ხელმძღვანელობის მიერ ამ მიმართულებით გაწეული მუშაობა არადამაკმაყოფილებლად ჩათვალა.

რესპუბლიკის სკოლების მასწავლებელთა ერთი ნაწილი სათანადო ყურადღებას არ აქცევს მოსწავლეთა შემოქმედებითი აზროვნების ფორმირებისა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარებას. ამდენად, მოსწავლეთა ერთ ნაწილს არ გააჩნია საკუთარი ძალების რწმენა და ცდილობს „შპარგალკების“ გამოყენებას, თვალის ახვევას, რის გამოც ქართული ენისა და ლიტერატურის წერით გამოცდაზე ქ. თბილისის 53-ე საშუალო სკოლის (დირექტორი ლ. მარგველაშვილი) 2 მოსწავლეს ჩამოერთვა „შპარგალკა“, შედგა აქტი და გაუფორმდა ნიშანი „2“, თელავის მე-8 საშუალო სკოლის (დირექტორი ტ. გობეჯიშვილი, მასწავლებელი ლ. კობიაშვილი) ოქროს მედლის კანდიდატს მ. კიკაჩეიშვილს რუსული ენისა და ლიტერატურის საკონტროლო წერაზე ჩამოერთვა შტამპდასმულ ფურცლებზე დაწერილი „შპარგალკა“, ასევე „შპარგალკების“ გამოყენების მცდელობისათვის ორიანები დაეწერათ ქ. თბილისის 126-ე საშუალო სკოლის (დირექტორი ც. ლეჟავა) —1, წყალტუბოს 1-ლი, მე-2, სოფელ ოფუჩხეთის საშუალო სკოლების (დი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რექტორები: რ. ტყაბლაძე, ჟ. ბრეგაძე, ზ. ნანიკაშვილი) — 12-ს, ბაბა-რაძის რაიონის ნატანების საშუალო სკოლის (დირექტორი ლ. კოსტა-ვა) — 1, ალგებრა და ანალიზის საწყისებში ლაგოდეხის რაიონის სო-ფელ ვარდისუბნის საშუალო სკოლის (დირექტორი ა. ჩხეიძე) — 1 მოს-წავლეს, ქართული ენისა და ლიტერატურის წერით გამოცდაზე „შპარ-გალკების“ გამოყენების მცდელობას ადგილი ჰქონდა ი. ჭავჭავაძის სა-ხელობის საშუალო სკოლის (დირექტორი ა. სხირტლაძე) მოსწავლეთა მიერ.

ქ. ზუგდიდის მე-4 და ხაშურის რაიონის მე-3 საშუალო სკოლების (დირექტორები: გ. ფარცვანია, შ. ლაბაძე, ქართული ენისა და ლიტერა-ტურის მასწავლებელი ე. ტაბუცაძე (ხაშურის მე-3 საშუალო სკოლა) და მათემატიკის მასწავლებლები ვ. ნინუა და ც. გეგელია (ქ. ზუგდიდის მე-4 საშუალო სკოლა) აშკარად არღვევდნენ საგამოცდო ინსტრუქციის მოთხოვნებს, ცდილობდნენ ოქროს მედლის კანდიდატებს შ. ლიპარტე-ლიანს, ემხვარსა და სოსელიას „შპარგალკებით“ სარგებლობაში დახმა-რებოდნენ. სამინისტროს წარმომადგენლებმა მასწავლებელ გეგელიას (ქ. ზუგდიდის მე-4 საშუალო სკოლა) სამჯერ ჩამოართვეს მედლის კან-დიდატისათვის გადასაცემი „შპარგალკა“, მასწავლებელი ამანაც არ შეა-კავა, პირდაპირ დაუჯდა სოსელიას და დაუწყო კარნახი, წერის დამთავ-რების შემდეგ საგამოცდო კომისიის წევრებმა გადაავლეს თვალი ნამუ-შევრებს და ყოველგვარი შენიშვნების გაკეთების გარეშე „5“-ზე შეაფა-სეს (რაც წინასწარ ჰქონდათ განსაზღვრული), თუმცა ნამუშევრებში შეინიშნებოდა უზუსტობანი და არსებითი ხასიათის შეცდომები.

ფალიაშვილის სახელობის მუსიკალური სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ბელსკაიამ საგამოცდო თემის „საბჭოთა პატრიოტიზმი მაიაკოვსკის ლირიკაში“ ნაცვლად დაფაზე დაწერა „მაია-კოვსკის პატრიოტული ლირიკა“.

კვლავ დადგინდა ოქროს მედლის კანდიდატთა ნიშნების ხელოვნუ-რად გაზრდის მიზნით მიმდინარე, სემესტრული და წლიური ნიშნების არასწორი გამოყვანის შემთხვევები, მედლის კანდიდატებად წამოყენე-ბულნი იქნენ ისეთი მოსწავლეები, რომლებსაც ცალკეულ სასწავლო დის-ციპლინებში წლიურ ნიშნებად ჰქონდა „ხუთები“, ნაცვლად „ოთხები-სა“, წალენჯიხის მე-2 საშუალო სკოლის (დირექტორი ს. ცინცაძე) ოქ-როს მედლის კანდიდატებს ა. ლიუპას, ვ. შველიძეს, მ. ეფრემოვას, შ. ლატარიას მე-9 კლასში რუსულ ენასა და ლიტერატურაში მე-2 სე-მესტრში (მასწავლებელი ნ. პტაშნიკოვა) არასწორად ჰქონდათ გამო-ყვანილი სემესტრული ნიშნები, ნაცვლად „ოთხებისა“ ეწერათ „ხუთები“. შეშფოთებას იწვევს ის ფაქტიც, რომ აღნიშნულმა მოსწავლეებმა მე-10 კლასში განთალების განყოფილებისა და განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებულ საკონტროლო წერებში „სამები“ მიიღეს. ორჯონიკიძის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონის მე-2 საშუალო სკოლის (დირექტორი გ. გოგოლაძე) ოქროს მედლის კანდიდატ ქ. კალანდაძის მე-2 სემესტრისა და წლიური ნიშნები ქართულ ენასა და ლიტერატურაში ამოშლილი და ჩასწორებულია. კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქის საშუალო სკოლის (დირექტორი ი. გუგულაშვილი) ოქროს მედლის კანდიდატ ო. ჯლანტიაშვილს მე-10 კლასის 1-ლ სემესტრში ქართული ენისა და ლიტერაუტრის (მასწავლებელი ლ. ვარდოშვილი) საკონტროლო ნამუშევრები შეფასებულია: 29 სექტემბრის „4/4"-ზე, 10 ნოემბრის „4/4"-ზე, 22 დეკემბრის „5/5"-ზე, მასწავლებელმა საკლასო ჟურნალში გადაიტანა „4/4", „5/5" და „5/5", ხოლო სემესტრულ ნიშნად, ნაცვლად „5/4"-სა გამოიყვანა „5/5".

ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალ აბასთუმნის საშუალო სკოლის მოსწავლე ი. ტორჩინაკის უცხოური ენის ნიშანი „3" გადასწორებულია „5"-ად. თელავის მე-4 საშუალო სკოლის (დირექტორი ლ. კაკულია) ოქროს მედლის კანდიდატ გ. იანვარაშვილს ქიმიაში ნავცლად „4"-ისა უწერია „5", მე-8 საშუალო სკოლის (დირექტორი ტ. გობეჯიშვილი) ოქროს მედლის კანდიდატის მეცხრეკლასელი მ. ზარიძისათვის 22 ოქტომბერს დაწერილი „2"-ები რუსულ ენასა და ლიტერატურაში გადაშლილია, ასევე 18 სექტემბერს, გადაშლილია ა. გულიაშვილის ნიშნები ბიოლოგიაში, 1-ლ თებერვალს მე-9 კლასში ნ. სოზაშვილის ნიშნები ალგებრასა და ანალიზის საწყისებში, გეოგრაფიაში 5 მაისისა და მე-10 კლასში გეომეტრიაში 19 იანვრის, ისტორიაში 13 ოქტომბრის, ქიმიაში 19 მარტის, რუსთავის მე-7 საშუალო სკოლის (დირექტორი შ. რეხვიაშვილი, მასწავლებელი ზ. ღუდუშაური) ოქროს მედლის კანდიდატ ი. საგიდს არა აქვს შესრულებული 1-ლი, მე-3 და მე-4 საკონტროლო ნამუშევრები. თებერვლის საკონტროლოში მიღებული აქვს „2". მახარაძის რაიონის სოფელ მერიის საშუალო სკოლის (დირექტორი ი. ნაკაიძე) მე-10 კლასის საკონტროლო ნამუშევრებს არა აქვს შესრულების თარიღები. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ე. ნაცვლაძე ნამუშევრებს აფასებს ერთი ნიშნით. ბორჯომის რაიონის სოფელ წაღვერის საშუალო სკოლის (დირექტორი მ. ხუციშვილი) ოქროს მედლის კანდიდატ ს. ლურსმანაშვილს საკონტროლო წერის შემდეგ გამოტოვებული აქვს 3 თავისუფალი ფურცელი და შესრულებული აქვს მომდევნო საკონტროლო. ამბროლაურის რაიონის მე-2 საშუალო სკოლის ოქროს მედლის კანდიდატებს ხ. ბუაძესა და თ. გოცირიძეს მე-10 კლასებში ალგებრა და ანალიზის საწყისების საკონტროლო წერით ნამუშევრებში მიღებული აქვთ „3"-ბი. წულუკიძის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის (დირექტორი ო. ყურაშვილი) ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ნ. ხელაიას საკლასო ჟურნალში არ ჰქონდა შეტანილი საკონტროლო წერის ნიშნები. მე-9 კლასის საკონტროლო წერის რვეუ-

ლებში გადასწორებულია კინწურაშვილის ნიშნები. მედლის კანდიდატ ზ. ნიშნების ამოშლისა და გადასწორების შემთხვევებს ადგილი აქვს ლმპ-ნისის რაიონის 1-ლ, ლაგოდეხის რაიონის 1-ლ, მახარაძის რაიონის 1-ლ, სოფელ ნატანების მე-2, ზესტაფონის რაიონის მე-2, საგარეჯოს რაიონის მე-4 საშუალო სკოლებში.

რესპუბლიკის რამდენიმე ქალაქისა და რაიონის სკოლების მე-10 კლასებში განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს მიერ 1983—1984 სასწავლო წლის 11 მაისს მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში ჩატარებულმა საკონტროლო წერითი ნამუშევრების გადასინჯვამ გამოავლინა სკოლებისა და განათლების განყოფილებების ხელმძღვანელთა სრული უპასუხისმგებლობა მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში. ზოგიერთი სკოლის ოქროს მედლის კანდიდატის ნამუშევარი დაბალ ნიშანზე იქნა შეფასებული.

ახალციხის რაიონის სოფელ წინუბნის საშუალო სკოლის (ყოფილი დირექტორი ა. ავაქიანი, საგნის მასწავლებელი ა .არუთინიანი) ოქროს მედლის კანდიდატმა ა. პოლოსიანმა განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებულ მშობლიური ენისა და ლიტერატურის საკონტროლო წერით ნამუშევარში მიიღო „4/3“, გარდა ამისა, თითო ნიშნით ჩამოფასდა მასწავლებლის მიერ შეფასებული საკონტროლო წერითი ნამუშევრები. ბორჯომის რაიონის სოფელ წაღვერის საშუალო სკოლის (დირექტორი მ. ხუციშვილი, საგნის მასწავლებელი ვ. გოგოლაძე) ოქროს მედლის კანდიატმა ს. ლურსმანაშვილმა მიიღო „3/3“, ნიშანი ჩამოაკლდა სხვა საკონტროლო წერით ნამუშევრებსაც. გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვების საშუალო სკოლის (ყოფილი დირექტორი შ. ჩალაძე, მასწავლებელი ა. ნათენაძე) მედლის კანდიდატმა მ. ლეკიშვილმა მიღო „4/3“ გარდა ამისა, მასწავლებლის მიერ ჩატარებული საკონტროლო წერითი ნამუშევრები ჩამოფასდა „3/4“. „4/3“, „3/3“. სოფელ სართიჭალის 1-ლი საშუალო სკოლის (დირექტორი გ. ხახაშვილი, მასწავლებელი ლ. ჯარიაშვილი) მედლის კანდიდატის ნ. ბერიძის საკონტროლო წერითი ნამუშევარი ჩამოფასდა „3/3“, დმანისის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის (დირექტორი ა. გულიევი, მასწავლებელი ა. ბლუდოვა) მედლის კანდიდატმა ლ. მამედოვმა მიიღო შეფასება „3/3“, ვანის რაიონის კიროვის სახელობის საშუალო სკოლის (დირექტორი მ. ბრეგვაძე, მასწავლებელი ც. კიკუტაძე) მედლის კანდიდატმა მ. ლასხიშვილმა „4/3“. კასპის რაიონის სოფელ ღოესის საშუალო სკოლის (დირექტორი ვ. აბაშიძე, მასწავლებელი ს. ხათაშვილი) მედლის კანდიდატმა ნ. შაქარაშვილმა მიიღო „4/3“, მასწავლებლის მიერ ჩატარებულ საკონტროლო წერით ნამუშევარში — „4/3“, სოფელ ახალქალაქის საშუალო სკოლის მედლის კანდიდატ ო. ჯლანტიაშვილს დააკლდა თითო ნიშანი მასწავლებლის მიერ ჩატარებულ საკონტროლო წერით ნამუშევრებში. ყვარლის რაიონის სოფელ შილდის 1-ლი საშუალო სკოლის (დირექტორი

დ. ბიკაშვილი, მასწავლებელი ლ. ელიზბარაშვილი) მედლის კანდიდატმა თ. კანტორაშვილმა მიიღო „3/4“, თითო ნიშანი ჩამოაკლდა მასწავლებლის მიერ ჩატარებულ საკონტროლო წერით ნამუშევრებსაც. მედლის კანდიდატის ზ. აღნიაშვილის მიერ შესრულებული მე-3 და მე-4 საკონტროლო ნაწერები ჩამოფასდა „5/3“-ზე, თელავის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის (დირექტორი დ. ბოჭორიძე, მასწავლებელი ნ. კუხიანიძე) ოქროს მედლის კანდიდატებმა რ. ლეფსვერიძემ, გ. ამზაშვილმა, მ. ხანჯალიაშვილმა მიიღეს „4/3“, მასწავლებლის მიერ ჩატარებული საკონტროლო ნაწერებიდან ლეფსვერიძის ერთი ნამუშევარი ჩამოფასდა „4/3“, ხოლო ხანჯალიაშვილის ორი ნამუშევარი — „4/3“. მე-3 საშუალო სკოლის (დირექტორი ტ. გობეჯიშვილი, მასწავლებელი კობიაშვილი)მედლის კანდიდატმა გ. კიკაჩეიშვილმა მიიღო „2/2“; თიანეთის რაიონის სოფელ სიმონიანთხევის საშუალო სკოლის (დირექტორი მ. ცაბოშვილი, მასწავლებელი ე. ქაცანაშვილი) მედლის კანდიდატმა გ. უნდილაშვილმა — „3/4“, ხაშურის მე-4 საშუალო სკოლის (დირექტორი გ. შუბითიძე, მასწავლებელი ტ. შარიქაძე) მედლის კანდიდატ პ. კოშკაძის საკონტროლო წერითი ნამუშევრები ჩამოფასდა — „4/3“-ზე. წალენჯიხის რაიონის მე-2 საშუალო სკოლის (დირექტორი ს. ცინცაძე, მასწავლებელი ნ. პტაშნიკოვა) ოქროს მედლის კანდიდატებმა: მ. ეფრემოვამ, ვ. შველიძემ, ა. ლუპამ, ა. ლუკავამ. შ. ლატარიამ მიიღეს — „3/3“, მასწავლებლის მიერ ჩატარებული საკონტროლო ნაწერებიდან ლუკავას, შ. ლატარიას და ლუპას თითო ნამუშევარი ჩამოფასდა — „3/3-ზე, ვ. შველიძისა „5/3“-ზე, „4/3“-ზე, „3/2“-ზე, „3/3“-ზე, სოფელ ლიის საშუალო სკოლის (დირექტორი ა. სამუშია, მასწავლებელი თ. ნანავა) მედლის კანდიდატმა ლ. ბერიშვილმა მიიღო „3/3“.

ანალოგიური ხარვეზები შეინიშნება ქ. ტყიბულის მე-2, ახალქალაქის რაიონის სოფლების ორჯინის, იხტალინის, ხანდოინის, დმანისის რაიონის სოფელ განთიადის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში. დასახელებულ მოსწავლეებს სკოლების სამმართველოს მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად უარი ეთქვათ ოქროს მედლით დაჯილდოებაზე.

საკონტროლო წერების ჩატარებამ ისიც წარმოაჩინა, რომ ზოგიერთი სკოლის პედაგოგიური კოლექტივი არ ზრუნავს მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის ამაღლებაზე და აკადემიურად ჩამორჩენილი მოსწავლეების მინიმუმამდე დაყვანაზე. სამინისტროს მიერ ჩატარებულ საკონტროლო წერაზე კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქის საშუალო სკოლის (დირექტორი ი. გუგუშვილი, საგნის მასწავლებელი რ. კაპანაძე) მე-10 ა კლასის 22 მოსწავლიდან 10-მა მოსწავლემ მხოლოდ თემის სათაური დაწერა, 5-მა კი ნამუშევარი რვეულის ერთ გვერდზე ან გვერდნახევარზე შეასრულა და ისიც უხეში შეცდომებით, ანალოგიური მდგომარეობაა

მე-10ბ კლასში (მასწავლებელი ლ. ვარდოშვილი) და თელავის №3 საშუალო სკოლაში (მასწავლებელი მ. კევლიშვილი).

ნიშანდობლივია, რომ ბევრ შემთხვევაში სკოლა მოქცეულია იმ მშობლების არაჯანსაღი გავლენის ქვეშ, რომლებიც თავიანთი შვილებისათვის დაუმსახურებლად მაღალი ნიშნების დაწერასა და ჯილდოების გაცემას მოითხოვენ. ასეთი „აქტიური" მშობლების ზეგავლენით ზოგიერთი სკოლის დირექტორი და მასწავლებელი საბოლოო ნიშნებს გამიზნულად უმაღლებს იმ მოსწავლეებს, რომლებიც წინასწარ არიან „პოტენიცურ მედალოსნებად" აღიარებულნი.

საყურადღებოა, რომ სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოებისა და განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებული საკონტროლო წერები უნდა ჩათვლილიყო მორიგ წერებად და საექსპერიმენტო კომისიების შეფასებები გათვალისწინებულიყო სემესტრული ნიშნის გამოყვანისას. თუმცა ზოგიერთმა ხელმძღვანელმა, განსაკუთრებით იმათ, რომელთა ოქროს მედლის კანდიდატებმაც მათთვის არასასურველი ნიშნები დაიმსახურეს, უგულებელყვეს აღნიშნული მითითება და საკუთარი ინიციატივით გამოცდების დაწყებამდე 4 დღით ადრე ჩაატარეს დამატებითი საკონტროლო წერები, ნამუშევრები შეაფასეს „5/5"-ზე, სემესტრულ ნიშნებადაც „5/5" გამოიყვანეს და მოსწავლეები კვლავ ოქროს მედლის კანდიდატებად დატოვეს. ასეთ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა მახარაძის რაიონის 1-ლ და სოფელ მერიის საშუალო სკოლებში (დირექტორები: ნ. ხავთასი, ი. ნაკაიძე, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ც. გუჯაბიძე, მათემატიკის—მ. ჟუიკოვა), წულუკიძის რაიონის 1-ლ საშუალო სკოლაში (დირექტორი ო. ყურაშვილი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნ. ხელაია), ონის 1-ლ საშუალო სკოლაში (დირექტორი ჯ. მეტრეველი, მასწავლებელი შ. ჯაფარიძე).

სკოლებისა და ადგილობრივი სახალხო განათლების განყოფილებების ხელმძღვანელთა საგრძნობი რაოდენობა სათანადოდ ვერ ერკვევა განათლების სამინისტროს მოთხოვნებსა და ძირითად მიმართულებებში, ვერ უზრუნველყოფს იმ დიდი პირადი პასუხისმგებლობის შესრულებას, რაც სკოლის პედაგოგიურ კოლექტივებსა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების მუშაკებს აკისრიათ სწავლების ხარისხის ამაღლებისა და მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურად შეფასების საქმეში, სწორედ ამიტომ ზოგიერთ სკოლაში მოსწავლეებს თავიდანვე აჩვევენ აკადემიური წარმატების ხელოვნურად ამაღლებას, მათთვის დაუმსახურებელი მაღალი ნიშნების წერას, რაც განსაკუთრებით თავს იჩენს კურსდამთავრებულთა ცოდნის შეფასებაში. ამაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ 1983—1984 სასწავლო წლის 1-ლი სემესტრის მონაცემების მიხედვით 471 ოქროს მედლის კანდიდატიდან სკოლების სამმართველოს მიერ ჩატარებული საინსპექტორო შემოწმებისა და საგაზაფხულო გამოცდების შედეგად 205-მა ვერ მიიღო შეფასება „5" და ოქროს მედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის კანდიდატთა რიცხვს გამოეთიშა. ამ მხრივ შედარებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ცალკეული რაიონებისა და ქალაქების ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში, სახელდობრ: ქ. თბილისის ლენინის რაიონის (ამხ. რ. გურგენიძე) სკოლების 9 მედლის კანდიდატიდან მედლის მოპოვების უფლება დაკარგა 5-მა, ორჯონიკიძის რაიონის (ამხ. ნ. სოსელია) 17-დან 5-მა, კალინინის რაიონის (ამხ. ლ. ძნელაძე) 24-დან 5-მა, 26 კომისრის რაიონის (ამხ. ზ. ბუაძე) 12-დან 5-მა, ოქტომბრის რაიონის (ამხ. თ. ანდრიაძე) 12-დან 8-ამ, ქ. ქუთაისის (ამხ. ნ. ხანთაძე) 5-დან 5-მა, ქ. ტყიბულის (ამხ. ბ. ორჯონიკიძე) 2-დან 2-მა, ქ. ზუგდიდის (ამხ. მ. ქავთარაძე) 15-დან 5-მა, წყალტუბოს ზონის (ამხ. მ ინასარიძე) 2-დან 2-მა, ამბროლაურის რაიონის (ამხ. ს. ცირეკიძე) 5-დან 3-მა, ახალქალაქის რაიონის (ამხ. ა. გაბრიელიანი) 7-დან 6-მა, ახალციხის რაიონის (ამხ. ე. კოპაძე) 4-დან 4-მა, ბოგდანოვკის რაიონის (ამხ. ს. ჯაგაცპანიანი) 6-დან 3-მა, ბოლნისის რაიონის (ამხ. ე. გობეჯიშვილი) 3-დან 3-მა, ვანის რაიონის (ამხ. ა. ენუქიძე) 3-დან 3-მა, გარდაბნის რაიონის (ამხ. ზ. ზაქარეიშვილი) 9-დან 4-მა, გურჯაანის რაიონის (ამხ. გ. ლუაშვილი) 2-დან 2-მა, ყაზბეგის რაიონის (ამხ. ი. ჩქარეული) 6-დან 6-მა, კასპის რაიონის (ამხ. გ. შაქარაშვილი) 3-დან 3-მა, ყვარლის რაიონის (ამხ. ზ. იოსებაშვილი) 5-დან 4-მა, ლაგოდეხის რაიონის (ამხ. ე. ხმალაძე) 6-დან 4-მა, ლენტეხის რაიონის (ამხ. ბ. ტვილდიანი) 3-დან 3-მა, მახარაძის რაიონის (ამხ. მ. ხავთასი) 7-დან 3-მა, ონის რაიონის (ამხ. გ. დგვარელი) 3-დან 3-მა, თელავის რაიონის (ამხ. ა. თვალიაშვილი) 17-დან 11-მა, თიანეთის რაიონის (ამხ. ვ. ობგაიძე) 9-დან 8-ამ, ხაშურის რაიონის (ამხ. ა. ჯიოშვილი) 4-დან 3-მა, წალენჯიხის რაიონის (ამხ. ტ. ჯანჯღლავა), 7-დან 7-მა, წითელწყაროს რაიონის (ამხ. მ. ბილიაშვილი) 7-დან 3-მა, ქ. სოხუმის (ამხ. მ. მალიშავა) 27-დან 8-ამ, ქ. ტყვარჩელის (ამხ. ა. ჩხეტია) 3-დან 3-მა, გულრიფშის რაიონის (ამხ. ნ. სართანია) 8-დან 3-მა, ოჩამჩირის რაიონის (ამხ. ნ. ფაჩულია) 8-დან 5-მა, ქობულეთის რაიონის (ამხ. ლ. მესხაძე) 11-დან 11-მა, ხულოს რაიონის (ამხ. რ. ბოლქვაძე) 4-დან 3-მა, შუახევის რაიონის (ამხ. რ. ქათამაძე) 2-დან 2-მა.

უფრო მეტიც, გეგეჭორის, გორის, მარნეულის, ზესტაფონის, ზნაურის, სიღნაღის, ცაგერის, ჯავის, ჩხოროწყუსა და სხვა რაიონებს (ამხ. ამხ.: ა. ხუროძე, ა. ჩხეიძე, ბ. კალაევი, გ. ბურჯანაძე, ი. გაგლოევი, რ. ბეჟაშვილი, დ. კოპალიანი, ს. ცხოვრებოვი, ღ. გორდულაძე) გამოსაშვებ მე-10 კლასებში ოქროს მედლის კანდიდატიც კი არ ჰყოლიათ, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ დასახელებული სკოლებისა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელები სათანადოდ არ მუშაობენ სწავლების ხარისხისა და მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლებისა და ადგილობრივი სახალხო განათლების განყოფილებების ხელმძღვანელთა საგრძნობი რაოდენობა ნაკლები პასუხისმგებლობით მოეკიდა ოქროს მედლის კანდიდატთა საგამოცდო წერითი ნამუშევრების განმხილველი კომისიების დაკომპლექტების საქმეს, მის შემადგენლობაში შეიყვანეს ნაკლებად კომპეტენტური, დაბალი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლები, რომლებმაც ბოლომდე ვერ განახორციელეს სამართლიანი მოთხოვნები, ვერ შეამჩნიეს მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომები და განათლების სამინისტროში ოქროს მედლის კანდიდატთა ისეთი ნამუშევრები, წარმოადგინეს, რომლებიც „5"-ზე შეფასებას არ იმსახურებდნენ. უფრო მეტიც, იყო შემთხვევები წარმოდგენილი საგამოცდო ნამუშევრების „3"-ზე შეფასებისა. სარეცენზიო კომისიების მიერ ნამუშევრების ლიბერალურად შეფასების შემაშფოთებელ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა ქ. ზუგდიდის, ბოგდანოვკის, ვანის, ყაზბეგის, მახარაძის, თელავის, წულუკიძისა და სხვა რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. ქ. გორიდან (გამგე ნ. კახნიაშვილი, რუსული ენისა და ლიტერატურის სარეცენზიო კომისიის წევრები: ლ. შიუკაშვილი, თ. მათიაშვილი, ლ. კალესნიკოვა) წარმოდგენილი 2 ნამუშევრიდან ნიშანი დააკლდა 1-ს, ქ. ზუგდიდიდან (გამგე მ. ქავთარაძე, ქართული ენისა და ლიტერატურის სარეცენზიო კომისიის წევრები: ლ. ქანთარია, ა. თოლორაია, დ. აბსავა, პ. ქავთარაძე, რუსული ენისა და ლიტერატურის სარეცენზიო კომისიის წევრები: მ. ზარანდია, ს. ღვინჯილია, ი. ბებია, ნ. ტელეპნიაკი, ალგებრა და ანალიზის საწყისებში სარეცენზიო კომისიის წევრები: ხ. გაბელია, გ. მირცხულავა, კ. მელია) წარმოდგენილი 15 ნამუშევრიდან ნიშანი დააკლდა — 5, ბოგდანოვკის რაიონიდან (გამგე ს. ჯაგაცპანიანი, სომხური ენისა და ლიტერატურის სარეცენზიო კომისის წევრები: ა. მაიტესიანი, ს. მაიტესიანი, ხ. მურადიანი, ს. გრიგორიანი, ა. კალმიკოვა) 5-დან 2-ს, ვანის რაიონიდან (გამგე ა. ენუქიძე, ქართული ენისა და ლიტერატურის სარეცენზიო კომისიის წევრები: გ. კანკაძე, ნ. ახობაძე, შ. ნატრიაშვილი, ნ. ზარნაძე, ვ. ადეიშვილი) 3-დან 3-ს, ყაზბეგის რაიონიდან (გამგე ი. ჩქარეული, ქართული ენისა და ლიტერატურის სარეცენზიო კომისიის წევრები: ვ. ტუჩაშვილი, ნ. მარსაგიშვილი, ნ. გოდერძიშვილი, თ. დავითაშვილი) ალგებრა და ანალიზის საწყისებიხ სარეცენზიო კომისიის წევრები: შ. მელაშვილი, ე. ვალიშვილი, ლ. ელიშვილი) 6-დან 6-ს, ლენტეხის რაიონიდან (გამგე ბ. ტვილდიანი, ქართული ენისა და ლიტერატურის სარეცენზიო კომისიის წევრები: რ. ფოჩიანი, ჯ. ლიპარტელიანი, მ. ტვილდიანი, ც. მეშველიანი) 1-დან 1-ს, ლაგოდეხის რაიონიდან (გამგე ე. ხმალაძე, ქართული ენისა და ლიტერატურის სარეცენზიო კომისიის წევრები: მ. ნანობაშვილი, ლ. გეგუშიძე, ლ. რეხვიაშვილი, ნ. ყაველაშვილი, მ. ძინძიბაძე, ზ. ჯავახიშვილი, ნ. ბეჟაშვილი, ა. ალიევი) 3-დან 1-ს, მახარაძის რაიონიდან (გამგე მ. ხავთასი, რუსული ენისა და ლი-

ტერატურის სარეცენზიო კომისიის წევრები: გ. ჯაში, ნ. პშენიჩნაია, გ. ჟორდანია, ალგებრა და ანალიზის საწყისების სარეცენზიო კომისიის წევრები: ტ. ცირეკიძე, ნ. ჯაყელი, კ. ბუბუტეიშვილი, რ. კვაჭაძე) 7-დან 3-ს, მათ შორის ნ. ხუცკაიას წერითი ნამუშევარი შეფასდა — „4/3“, თელავის რაიონიდან (გამგე ა. თვალიაშვილი, რუსული ენისა და ლიტერატურის სარეცენზიო კომისიის წევრები: ვ. გოლოვანოვი, ი. ფომენკო, ი. საგინაშვილი, ალგებრა და ანალიზის საწყისების სარეცენზიო კომისიის წევრები: გ. სუხიტაშვილი, მ. ცუცქირიძე, ე. ხოსროშვილი) 8-დან 2-ს, წულუკიძის რაიონიდან (გამგე ო. ადამია, ქართული ენისა და ლიტერატურის სარეცენზიო კომისიის წევრები: ლ. მელაძე, ნ. მაისაია, ნ. რუხაძე. ნ. ცაგარეიშვილი, შ. მელაძე) 6-დან 2-ს, წითელწყაროს რაიონიდან (გამგე მ. ბილიაშვილი, ალგებრა და ანალიზის საწყისების სარეცენზიო კომისიის წევრები: ვ. გოჩაშვილი, ე. ყოჩიაშვილი, ნ. ხუციშვილი) 5-დან 1-ს, წალენჯიხის რაიონიდან (გამგე ტ. ჯანჯღავა, ალგებრა და ანალიზის საწყისების სარეცენზიო კომისიის წევრები: ნ. ფიფია, რ. კვარაცხელია, გ. საჯაია) 1-დან 1-ს.

ონის, თიანეთისა და თელავის რაიონების სასკოლო და სარაიონო საგამოცდო კომისიების არასწორად დაკომპლექტების გამო განათლების სამინისტროს წარმომადგენლებს სათანადო ცვლილებების გატარება დასჭირდათ.

ზემოთ აღნიშნული ქალაქებისა და რაიონების საშუალო სკოლების კურსდამთავრებულ ოქროს მედალოსანთა საგამოცდო წერითი ნამუშევრებში დაშვებული შეცდომები განპირობებულია მშობლიური ენისა და ლიტერატურის, ალგებრა და ანალიზის საწყისების სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული მასალების არასაფუძვლიანი ცოდნით.

ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო წერითი ნამუშევრების შემოწმების შედეგებმა გვიჩვენა, რომ მოსწავლეთა ერთ ნაწილს, ჯერ კიდევ უჭირს დამოუკიდებელი აზროვნება: მსჯელობენ სქემატურად, ზოგადად, ვერ იშველიებენ ტექსტს, ვერ აკეთებენ სათანადო დასკვნებს, ამჟღავნებენ წიგნიერების შედარებით დაბალ დონეს.

ალგებრა და ანალიზის საწყისებში ჩამოფასებული ნამუშევრების ანალიზიდან ჩანს, რომ მოსწავლეთა ნაწილს უფრო უჭირს ფუნქციათა გამოკვლევა. მოსწავლეები ვერ ავლენენ საჭირო ცოდნას გრაფიკების აგებისა და ფართობის ინტეგრალით გამოთვლისას, შეინიშნება, რომ მათემატიკის მასწავლებელთა მიერ საკმაო ყურადღება არ არის გამახვილებული ირაციონალურ განტოლებათა ამოხსნისას განტოლების ფესვების შერჩევისა და მათი შემოწმების საქმისადმი, მოსწავლეები არასაკმარის ცოდნას ამჟღავნებენ ორცვლადიან განტოლებათა სისტემის ამოხსნის დროს და სხვ.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის სხდომებზე არაერთხელ აღინიშნა სკოლებში შექმნილი არადამაკმაყოფილებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომარეობა, განსაკუთრებით განათლების განყოფილების გამგეობის არაეფექტური ხელმძღვანელობა და კონტროლი დაქვემდებარებული სკოლების მუშაობაზე მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურად შემოწმებაშეფასების საქმეში. სამინისტრომ განათლების განყოფილებათა გამგეებს მოსთხოვა ძირეულად გარდაექმნათ სკოლისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი, სრულეყოთ და დაეხვეწათ მუშაობის სტილი, ფორმები და მეთოდები.

სამინისტრო იმედოვნებდა, რომ სკოლებისა და სახალხო განათლების ადგილობრივი ხელმძღვანელები სათანადო დასკვნებს გააკეთებდნენ და შექმნიდნენ მაღალპრინციპული მომთხოვნელობისა და შეურიგებლობის ატმოსფეროს, სახალხო განათლების სისტემის ყველა რგოლში სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისათვის, სკოლების მუშაობაში ჯერ კიდევ ფესვგამდგარი ნეგატიური მოვლენებისა და ფორმალიზმის აღმოფხვრისათვის, რის გამოც მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში ვხვდებით არაობიექტურობის, ლიბერალიზმისა და პროტექციონიზმის შემთხვევებს.

შეშფოთებას იწვევს ოქროს მედლის კანდიდატთა ნამუშევრების გამსწორებელთა შეუწყნარებელი მოქმედება. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ღრმად არიან დარწმუნებულები ოქროს მედლის კანდიდატთა ცოდნის დაბალ დონეში და მათ მიერ შესრულებული წერითი ნამუშევრების უხარისხობაში, აღნიშნულ ნამუშევრებს რატომღაც მოურიდებლად მაინც „5“-ზე აფასებენ და განათლების სამინისტროში დასამტკიცებლად აგზავნიან. ბოგდანოვკის რაიონის განათლების განყოფილების (ამხ. ს. ჯაგაცპანიანი) ოქროს მედლის კანდიდატთა ნამუშევრების გამსორებელმა რაიონულმა კომისიამ ალგებრა და ანალიზის საწყისებში (წევრები: ზ. შირინიანი, ა. სანოსიანი, მ. ეგნატოსიანი, ნ. ზუბკოვი) 5 ოქროს მედლის კანდიდატის ნამუშევარი „5“-ზე შეაფასა, თუმცა მათივე აზრით, ოქროს მედალს მხოლოდ ორი მოსწავლე — ეზიკიანი და პოლოსიანი — იმსახურებდა.

თელავის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის (ამხ. დ. ბოჭორიძე) ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ნ. კუხიანიძემ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს მიერ ჩატარებულ საკონტროლო წერებზე 4 ოქროს მედლის კანდიდატის ნამუშევარი შეაფასა— „5/5“-ზე, თუმცა მანვე განაცხადა, მართალია, არც ერთი ნაწერი ამ ნიშანს არ იმსახურებს, მაგრამ ყოველთვის მაღალ შეფასებას ვუწერდი მათ და ახლაც ვერ ვულალატებო.

წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის საშუალო სკოლის (ამხ. ნ. ბოსტოლანაშვილი) მათემატიკის მასწავლებელი ჟ. ზუბიაშვილი თავს იკავებდა ოქროს მედლის კანდიდატის რ. დათუკიშვილის ნამუშევრის „ფრიადზე“ შეფასებისაგან, მაგრამ დიდი ყოყმანის შემდეგ განაცხადა „არ არის დაწერილი „ფრიადზე“, მაგრამ მაინც დავწერ, რაც მომივა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომიგიდესო“, აღსანიშნავია, რომ მოსწავლისადმი დაინტერესებული იჩენდნენ სკოლის დირექტორი და განათლების განყოფილების გამგე მ. ბიღიაშვილი, რომელიც სამინისტროს წარმომადგენლების სხვა სკოლაში გაგზავნას შეეცადა, თუმცა განათლების განყოფილების სარეცენზიო კომისიამ მოსწავლის ნამუშევარი „4“-ზე შეაფასა.

წალენჯიხის რაიონის მე-2 საშუალო სკოლის ოქროს მედლის კანდიდატის ა. ბრუნმაიერის რუსული ენისა და ლიტერატურის წერითი საგამოცდო ნამუშევარი დაშვებული უხეში შეცდომების გამო იმსახურებდა შეფასებას „4/3. განათლების განყოფილების ოქროს მედლის კანდიდატთა წერითი ნამუშევრების განმხილველი კომისიის წევრებმა: ა. ომაროვმა (სოფელ ჯვრის რუსული საშუალო სკოლის მასწავლებელი) და პერედრემ (მეურნეობის საშუალო სკოლის მასწავლებელი) 31 მაისის ნამუშევარი შეაფასეს „5/5“-ზე, ხოლო 6 ივნისისა — „5/4“-ზე.

ქ. თბილისის 53-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა მ. კირვალიძემ (იგი ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს სასკოლო ინსპექტორიცაა) ოქროს მედლის კანდიდატთა ნამუშევრები „5/5“-ზე შეაფასა. ქალაქის სახალხო განათლების სამმართველოს სარეცენზიო კომისიამ კი, რომლის შემადგენლობაშიც თვითონვე შედიოდა, რამდენიმე მოსწავლის ნამუშევარი ჩამოაფასა.

უხეში დარღვევები გამოვლინდა ქობულეთის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის (ამხ. მ. ჩანტლაძე) მოსწავლეთა ცოდნის შეაფსების საქმეში, 1982—1983 სასწავლო წლის მე-2 სემესტრის ბოლოს მე-9 კლასის მოსწავლე თ. ძნელაძე ალგებრა და ანალიზის სიწყსებში მიმდინარე შეფასების საფუძველზე „4“-ს იმსახურებდა. ვინაიდან მასწავლებელმა რ. გოგუაძემ ვერ შეძლო მოსწავლე დაერწმუნებინა ცოდნის შეფასების ობიექტურობაში, ამიტომ განათლების განყოფილებამ კომისია გამოყო სოფელ ჩაქვის 1-ლი საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებლების: ზ. თავბერიძისა და თ. ჯაფარიძის შემადგენლობით. აღნიშნულმა კომისიამ არაკვალიფიციურობა გამოიჩინა — მოსწავლის ცოდნა „4“-ზე შეაფასა, ხოლო მისი პოტენციური შესაძლებლობა „5“-ზე. განათლების განყოფილების მიერ დადგენილი შეფასება „4“ სკოლას 21 ივლისს ეცნობა. სკოლის ხელმძღვანელობამ და მასწავლებლებმა უპასუხისმგებლობა გამოიჩინეს, არ გაერკვნენ საქმის ნამდვილ ვითარებაში, მოსწავლეს სემესტრულ ნიშნად „5“ გაუფორმეს და ოქროს მედლის კანდიდატად წარადგინეს.

აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს მიერ ალგებრა და ანალიზის საწყისებში ჩატარებულ საკონტროლო წერაზე მე-10 კლასის მოსწავლე თ. ნიჟარაძის ნამუშევარი მასწავლებელმა თ. მიქელაშვილმა „5“-ზე შეაფასა, სამინისტროს სარეცენზიო კომისიამ კი იგი „3“-ზე ჩამოაფასა. აღნიშნულის გამო მასწავლებელმა მიქელაშვილმა საქართვე-

ლის სსრ განათლების სამინისტროს ასეთი შინაარსის განცხადებით. მართა: „...მე, როგორც საგნის მასწავლებელს, კომუნისტს, არა მაქვს მორალური უფლება, პედაგოგიური სინდისი... არ გამოვიყვანო საშუალო არითმეტიკული შეფასება ალგებრაში „ფრიადი", როგორც ეს წერია მათემატიკის ნიშნის გამოყვანაში", რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ მასწავლებელი არ იცნობს განათლების სამინისტროს კოლეგიის მიერ დამტკიცებულ ინსტრუქციას „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების მოსწავლეთა ცოდნის შეფასების შესახებ".

სკოლებისა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელები პრინციპულ მომთხოვნელობას ვერ იჩენენ პედაგოგიური კოლექტივებისადმი, სუსტად აკონტროლებენ მათ საქმიანობას, მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფის ამოცანების კომპლექსურად გადწყვეტის საქმეს, არ არის შექმნილი აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან მუშაობის ერთიანი სისტემა. საგაზაფხულო გამოცდების შედეგად რესპუბლიკის საშუალო სკოლების მე-10 კლასის 81 მოსწავლე იმავე კლასში იქნა დატოვებული, ხოლო 240 სკოლიდან მოისმინას მოწმობით გავიდა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ზოგიერთი რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების ხელმძღვანელთა მიერ გაწეული არადამაკმაყოფილებელი მუშაობა. გარდაბნის რაიონის სკოლების მე-10 კლასის 23 მოსწავლეს მიეცა მოწმობა სკოლაში სწავლის შესახებ, ახალქალაქიდან — 15-ს, დმანისიდან — 8-ს, წალკიდან — 10-ს, ახალციხიდან — 7-ს, თერჯოლიდან — 7-ს, გორიდან 7-ს და სხვ.

აღსანიშნავია, რომ სკოლების ხელმძღვანელთა ერთი ნაწილი უხეშად არღვევს განათლების სამინისტროს კოლეგიის მიერ დამტკიცებულ ინსტრუქციას „საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა გამოცდების, გადაყვანისა და გამოშვების შესახებ", რის გამოც საშემოდგომო გამოცდამიცემული 2654 მოსწავლდან 1-ლი — მე-7 და მე-9 კლასების მოსწავლეა — 601, აქედან პირველკლასელია — 9, მეოთხეკლასელია — 28, მეხუთეკლასელია — 18, მეექვსეკლასელია — 38, მეშვიდეკლასელია — 55, მეცხრეკლასელია — 89. ამ მხრივ შედარებით ცუდი მდგომარეობაა ახალციხის, ბოლნისის, ვანის, ლაგოდეხის, ლენტეხის, წულუკიძის, ჩოხატაურის რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში (ამხ. ამხ.: გ. კოპაძე, ე. გობეჯიშვილი, ა. ენუქიძე, ე. ხმალაძე, ბ. ტვილდიანი, ო. ადამია).

მასწავლებელთა და მოსწავლეთა შრომის შედეგების შეფასების საქმეში არსებული ფორმალიზმის დაძლევისათვის განათლების სამინისტროს მიერ გატარებული ღონისძიებების: გამოსაშვები გამოცდების შედეგების, სარაიონო, საქალაქო, რესპუბლიკური წერების, სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციების, საგნობრივი ოლიმპიადების, საინს-

პექტორო შემოწმებების ანალიზი ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს იმისა, რომ ამ ცნობაში დასახელებული სკოლებისა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელთა ერთი ნაწილის საქმიანობა არათანმიმდევრულ, არაეფექტურ ხასიათს ატარებს მოსწავლეთა ცოდნის ხარისხობრივი მაჩვენებლებისა და სკოლის ცხოვრებაში არსებული ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრის საქმეში.

სკოლების სამმართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1984 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება

ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა მოთხოვნებიდან გამომდინარე ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის სასწავლო პროგრამების პრაქტიკული ნაწილის შესრულების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის სწავლებისას ჯეროვანი ყურადღება ექცევა ამ საგნებში სასწავლო პროგრამების პრაქტიკული ნაწილის შესრულებას იმ მოთხოვნათა შესაბამისად, რაც განსაზღვრულია ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებებით, საგნის მასწავლებლები ახლა მეტ ყურადღებას უთმობენ ექსპერიმენტის სწავლებაში დანერგვას, სისტემატურად ატარებენ სადემონსტრაციო და ლაბორატორიულ ცდებს, პრაქტიკულ სამუშაოებს. ბევრ სკოლაში სათანადო სიმაღლეზე დგას კლასგარეშე მუშაობა, მიზნობრივად არის გამოყენებული ბიოლოგიის სწავლებაში სასწავლო-საცდელი ნაკვეთები. საგრძნობლად გაუმჯობესდა ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის სასწავლო კაბინეტების აღჭურვილობა და სწავლებაში გამოყენება, რამაც ხელი შეუწყო მოსწავლეთა მიერ ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის ძირითადი კანონების, დებულებების, ცნებების გააზრებულად შეთვისებას, ქიმიურ და ბიოლოგიურ გარდაქმნათა კანონზომიერებების შეცნობას, მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას.

ამასთან, ზოგ სკოლაში კვლავ შეინიშნება გულგრილი დამოკიდებულება სასწავლო პროგრამების პრაქტიკული ნაწილის შესრულების საქმეში; სათანადო ყურადღებით არ ეკიდებიან საბუნებისმეტყველო დისციპლინების სწავლებისათვის ბაზების მომზადებას, ყველა სკოლა არ არის უზრუნველყოფილი ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის კაბინეტებით, სასწავლო-საცდელი ნაკვეთებით, შედარებით ცუდი მდგომარეობა აქვთ ფიზიკის სწავლებაში ქ. თბილისის 51-ე, 79-ე, 71-ე, 47-ე, 78-ე, 121-ე, ონის რაიონის მე-2, სოფლების უწერის, ღების, ცხაკაიას რაიონის სოფლების ძველი სენაკის, თეკლეთის, ცხაკაიას მე-2, ბორჯომის რაიონის სოფელ წაღვერის საშუალო სკოლებს, ქიმიის სწავლებაში ქ. თბილისის 31-ე, 32-ე, 72-ე, მე-80, 91-ე, 108-ე, 127-ე, 144-ე, ბოლნისის რაიონის მე-2, სოფელ კაზრეთის 1-ლ, სოფელ ბოლნისის, ქარელის რაიონის სოფელ აგარის, სამტრედიის რაიონის მე-4, მე-6 საშუალო სკოლებს, ბიოლოგიის სწავლებაში— ცაგერის, ჩოხატაურისა და გურჯაანის რაიონების რიგ სკოლებს.

ბოლნისის რაიონში ყურადღება არ ექცევა დახელოვნების კურსებზე ქიმიის მასწავლებელთა გაგზავნის საქმეს.

ზოგ სკოლაში დანიშნულებისამებრ არ გამოიყენებიან სასწავლო კაბინეტების ლაბორანტები.

შემოწმებული ქალაქებისა და რაიონების სკოლების მასწავლებელთა ატესტაცია ქმედითად არ არის გამოყენებული მათი თეორიული, პედაგოგიური და მეთოდური ცოდნის დონის ამაღლების უზრუნველსაყოფად, ცალკეულ პედაგოგთა პირადი პასუხისმგებლობის ასამაღლებლად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

1. 1. გააძლიერონ კონტროლი და მეთოდური დახმარება სკოლებისადმი სასწავლო პროგრამების მთლიანად და სრულად შესრულების უზრუნველყოფისათვის იმ ამოცანების შესაბამისად, რაც სკოლის წინაშე არის დაყენებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმის მიერ მოწონებული ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებებით;

1. 2. გაატარონ ქმედითი ღონისძიებები ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის მეცნიერებათა საფუძვლების სწავლების გასაძლიერებლად, რაც აუცილებელი პირობაა მოსწავლეთა ათეისტური აღზრდისათვის, მათში დიალექტიკურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისა და ბუნების მოვლენებზე სწორი წარმოდგენების მიღებისათვის;

1. 3. ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის მასწავლებელთა მუშაობა წარმართონ სასწავლო პროგრამების პრაქტიკული ნაწილის სრულყოფილად შესრულების, ფიზიკურ, ქიმიურ და ბიოლოგიურ მოვლენებზე უშუალო დაკვირვებისა და მოსწავლეთა პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავების უზრუნველსაყოფად, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდობის მიერ შრომითი პროფესიების დაუფლებას, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო და ტექნიკურ დარგებში;

1. 4. ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით შეიმუშაონ ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტებისათვის შესაფერისი ოთახების გამოყოფის, თვალსაჩინოებით, სწავლების ტექნიკური საშუალებებით, ხელსაწყოებითა და საჭირო მოწყობილობით კაბინეტების აღჭურვის რეალური გეგმა იმ ანგარიშით, რომ სამი წლის განმავლობაში ყველა რვაწლიან და საშუალო სკოლაში მოეწყოს სასწავლო კაბინეტები აღნიშნულ საგნებში;

1. 5. გადამჭრელი ზომები მიიღონ სკოლებისათვის სასწავლო-საცდელი ნაკვეთების გამოყოფისა და ბიოლოგიისა და ქიმიის სწავლებაში გამოყენების უზრუნველსაყოფად;

1. 6. გაზარდონ მომთხოვნელობა ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის მასწავლებლებისადმი, ობიექტურად, საქმისადმი პრინციპული მიდგომით ჩაატარონ მათი ატესტაცია, კადრებთან მუშაობის ეს ფორმა საფუძვლიანად გამოიყენონ მასწავლებელთა პასუხისმგებლობის გაზრდისა და მათი საქმიანობის ობიექტურად შეფასებისათვის;

1. 7. 1984—1985 სასწავლო წლის ბოლომდე შეისწავლონ ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის პროგრამებით გათვალისწინებული სადემონსტრაციო და ლაბორატორიული ცდების და პრაქტიკული სამუშაოების ჩატარების, წრეობრივი მუშაობის მდგომარეობა და მიიღონ საჭირო ზომები გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად;

1. 8. ორი-სამი თვის მანძილზე გადაამოწმონ სკოლების სამმართველოს ცნობაში დასახელებული სუსტად მომუშავე მასწავლებლების მუშაობა და იმათ მიმართ, ვინც ვერ გარდაქმნა მუშაობა მოცემულ მითითებათა შესაბამისად, გაატარონ მკაცრი ღონისძიებები, მასწავლებელთა ატესტაციის მორიგი ციკლის ჩატარების დროს გათვალისწინებულ იქნას მათი დაბალი კვალიფიკაცია და სუსტი მუშაობა;

1. 9. ბოლნისის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ (ამხ. ე. გობეჯიშვილი) ორი წლის განმავლობაში უზრუნველყოს დახელოვნების კურსებზე ქიმიის ყველა იმ მასწავლებელთა გაგზავნა, რომელთაც უკანასკნელი 5 წლის მანძილზე კურსები არ გაუვლიათ;

1. 10. აამაღლონ ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებელთა რაიონული სექციების მუშაობის დონე; მიაღწიონ იმას, რომ სექციების სხდომებზე იხილებოდეს სასწავლო კაბინეტების აღჭურვისა და სწავლებაში გამოყენების, სადემონსტრაციო, ლაბორატორიული ცდების, პრაქტიკული სამუშაოების, ექსკურსიების ჩატარების მდგომარეობა, ძნელადასათვისებელი თემების მეთოდური დამუშავება, მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების განზოგადება ნორჩ ტექნიკოსთა, ნატურალისტთა და სხვა ტექნიკური წრეების, ბუნების ნორჩ მკვლევართა მუშაობის შესახებ;

1. 11. აღკვეთონ ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის კაბინეტების ლაბორანტების სხვა სამუშაოზე გამოყენება, მოაგვარონ მათი კვალიფიკაციის ამაღლების საქმე.

2. მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი) მიიღოს ზომები იმ მიმართებით, რომ საგრძნობლად გაზარდოს მცირეფასიანი ხელსაწყოების, ქიმიური ჭურჭლის, რეაქტივების, მოქმედი მოდელების, კოლექციების და მასალების რესპუბლიკაში შემოტანა სკოლების საჭიროებისათვის.

3. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) გააუქმოს ბოლნისის რაიონის მე-4 საშუალო სკოლაში ქიმიის კაბინეტის ლაბორანტის შტატი.

4. სკოლების სამმართველომ (ამხ. თ. ტატიშვილი):

4. 1. პერიოდულად შეისწავლოს რესპუბლიკის სკოლებში ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის მოქმედი პროგრამების პრაქტიკული ნაწილის შესრულების, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის კაბინეტების მოწყობის მდგომარეობა, დაადგინოს გამოვლენილი ნაკლოვანებების გამომწვევი მიზეზები და გაატაროს ქმედითი ღონისძიებები მდგომარეობის გამოსასწორებლად;

4. 2. მანვე სისტემატური კონტროლი დააწესოს კოლეგიის ამ გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობაზე.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ო. ქინქლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცნობა

ზოგადსაგანმანთალებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა მოთხოვნებიდან გამომდინარე ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის სასწავლო პროგრამების პრაქტიკული ნაწილის შესრულების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის დადგენილებაში განსაზღვრულია საბჭოთა სკოლის ამოცანები თანამედროვე ეტაპზე. მოსწავლეთა მიერ სამყაროს მატერიალისტურ-დიალექტიკური გაგების საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების ისეთ დონეზე დაყენებას, რომ მან უზრუნველყოს მოსწავლეების მიერ ბუნების კანონების შეცნობა, ამ კანონების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება, საზოგადოების სამსახურში მათი ჩაყენება. მოსწავლეთა შრომითი აღზრდის გაუმჯობესების დიდი ამოცანების გადაჭრაში, რაც ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებებით არის განსაზღვრული, დიდია ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და სხვა საგნების როლი.

ფიზიკის ძირითადი კანონებისა და დებულებების, ქიმიური და ბიოლოგიური გარდაქმნების კანონზომიერებების ცოდნა, სწორი წარმოდგენის მიღება ნივთიერებათა თვისებებისა და მცენარეთა ზრდა-განვითარებაზე მოსწავლეებს მეტ საშუალებას მისცემს უფრო ადვილად და უკეთესად დაეუფლონ შრომითს პროფესიებს.

ამ ასპექტში იქნა შესწავლილი ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის პროგრამების, განსაკუთრებით, პრაქტიკული ნაწილის შესრულების მდგომარეობა რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. შემოწმება ჩატარდა ქ. ქ. თბილისში, რუსთავში, გორში, ქუთაისში, ფოთში, გალის, ბოლნისის, ქარელის, ბორჯომის, ცხაკაიას, ცაგერის, ონის, სამტრედიის, წულუკიძის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, მახარაძისა და გურჯაანის რაიონებში.

როგორც შემოწმებამ ცხადყო, აღნიშნული ქალაქებისა და რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გარკვეულად გაუმჯობესდა ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის სწავლება, მეტი ყურადღება მიექცა პროგრამების პრაქტიკული ნაწილის შესრულებას, მოსწავლეთა მყარი ცოდნით შეიარაღებას. ამას ხელი შეუწყო იმან, რომ უკანასკნელ ხანებში გაიზარდა კაბინეტ-ლაბორატორიების აღჭურვილობა და გამოყენების კოეფიციენტი, ამჟამად 1775 საშუალო სკოლიდან ფიზიკის კაბინეტი აქვს 1723 სკოლას, ქიმიის — 1652-ს, ბიოლოგიის — 1465-ს. 881

რვაწლიანი სკოლიდან ფიზიკის კაბინეტი აქვს 714 სკოლას, ქიმიისა — 496-ს, ხოლო ბიოლოგიის — 410-ს. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ქიმიის კაბინეტების რიცხვი 9%-ით გაიზარდა, ფიზიკისა — 8%-ით, ბიოლოგიისა — 5%-ით.

ქიმიის კაბინეტების მოწყობისა და გამოყენების საქმეში კარგი შედეგები აქვს ქ. ფოთის, აბაშის, გეგეჭკორის, ბორჯომის რაიონებს, სადაც ყველა საშუალო და რვაწლიანი სკოლა კაბინეტებითაა უზრუნველყოფილი. ამასთან, აღსანიშნავია ქ. ფოთის სახალხო განათლების განყოფილებისა დ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კარგი მუშაობა.

სასწავლო კაბინეტების, განსაკუთრებით ქიმიის კაბინეტების სანიმუშოდ მოწყობის საქმეში აღნიშვნის ღირსია ქ. ფოთის 1-ლი მე-2, მე-7, მე-9 (კაბინეტის გამგეები: ნ. ტაბიძე, მ. ბახტაძე, ლ. ხოშტარია, ე. ქაციბაია) საშუალო სკოლები, რომლებიც მაქსიმალურადაა ჩაყენებული მოსწავლეთა მყარი ცოდნით შეიარაღების საქმეში. კარგად მოწყობილი კაბინეტები აქვთ აგრეთვე ქ. თბილისის მე-4, 22-ე, 23-ე, 63-ე, 140-ე (გამგეები: მ. გოდერძიშვილი, მ. ქურდაძე, თ. კაჭარავა, გ. შახნაზაროვი, ზ. კაკოიშვილი) და ზოგ სხვა სკოლაში. კაბინეტებისათვის გამოყოფილია საკმარისი ფართობის ლაბორატორიები და საპრეპარატორები ამწოვი კარადებით, წყალგაყვანილობითა და ელექტროგაყვანილობით, კაბინეტებს აქვთ საკმარისი რაოდენობის ქიმიური რეაქტივები, ქიმიური ჭურჭლები, მასალების, ჩამოსარიგებელი ნივთიერებების კოლექციები, ტაბულები და სქემები, ყველა პირობაა იმისათვის, რომ სრულყოფილად ჩატარდეს სადემონსტრაციო და ლაბორატორიული ცდები, პრაქტიკული სამუშაოები, დაცულია მოსწავლეთა უსაფრთხო მუშაობის წესები. მასწავლებლები მაქსიმალურად იყენებენ არსებულ შესაძლებლობებს და მთლიანად ხარისხიანად ატარებენ ყველა სახის ქიმიურ ექსპერიმენტს.

აღნიშნულ და ზოგ სხვა სკოლაში ქიმიის გადამუშავებული, გაუმჯობესებული პროგრამების მოთხოვნათა პრაქტიკული ნაწილის შესასრულებლად სისტემატურად ტარდება სადემონსტრაციო და ლაბორატორიული ცდები, პრქტიკული სამუშაოები, ექსკურსიები, მოდელირება. მოსწავლეები ჩაბმულნი არიან ნატურალისტურ და ბუნების დაცვის სამუშაოებში, ამზადებენ თვითნაკეთ ხელსაწყოებს, სქემებს, დიაგრამებს, რომლებიც გაკვეთილებზე გამოიყენება. ამ კუთხით აღსანიშნავია ქ. თბილისის მე-4, 23-ე, 63-ე, 130-ე, ქ. ფოთის 1-ლი, მე-2, მე-7, მე-9, სამტრედიის რაიონის სოფელ ეწერის, ბოლნისის რაიონის სოფელ კაზრეთის მე-2 საშუალო სკოლების ქიმიის მასწავლებლების მ. გოდერძიშვილის, თ. კაჭარავას, გ. შახნაზაროვის, ლ. სანიძის, ნ. ტაბიძის, მ. ბახტაძის, ლ. ხოშტარიას, გ. ქაციბაიას, მ. ფოცხვერიას, ს. ბულიკიანის კარგი მუშაობა. გარდა იმისა, რომ ისინი ჩინებულად უვლიან ქიმიის კა-

ბინეტებს, სისტემატურად ატარებენ აგრეთვე პროგრამით გათვალისწინებულ ყველა სახის ექსპერიმენტს. ამის შედეგია ის, რომ მათს აღსაზრდელებს მყარი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა აქვთ. მოსწავლეები კარგად ფლობენ მარტივი ხელსაწყოების აწყობის ხერხებს, იციან სპირტნათურის, ლაბორატორიული შტატივის, ქიმიური ჭურჭლის გამოყენება, ანალიზურ სასწორზე აწონვა, თვისებითი რეაქციები შესწავლილ ნივთიერებებზე, მათი გამოყენება სახალხო მეურნეობაში და, რაც მთავარია, ქიმიური ექსპერიმენტის დროს იძენენ დაკვირვებების, კვლევის, განზოგადების ჩვევებს.

მოსწავლეთა მყარი ცოდნით შეიარაღებისა და მათი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ჰორიზონტის გაფართოების მიზნით კარგად არის გამოყენებული კლასგარეშე მუშაობა. ამ მხრივ ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ზემოდასახელებული და ზოგი სხვა სკოლის ქიმიის მასწავლებლები.

გარკვეული წარმატებებია ფიზიკის პრაქტიკული ნაწილის სწავლებაში გაუმჯობესებული პროგრამების მოთხოვნათა შესაბამისად, რასაც ხელს უწყობს რესპუბლიკის უმრავლეს სკოლაში კარგად აღჭურვილი ფიზიკის კაბინეტების არსებობა. შემოწმებული სკოლებიდან ამ მხრივ აღსანიშნავია ქ. თბილისის 1-ლი (მასწავლებლები შ. აბაიშვილი, ლ. კუხალაშვილი), 41-ე (ბ. გუდელი, ლ. კოპილოვა), 77-ე (ლ. ჯაშიაშვილი), 87-ე (გ. გორგოძე, ა. მაღრაძე), 43-ე (ა. ბარსკაია, ტ. სოლოგვა, ა.მაღრაძე), ონის 1-ლი (ფ. რეხვიაშვილი), ქ. ფოთის 1-ლი (ს. წოწონავა) და სხვა სკოლები, სადაც ფიზიკის კაბინეტებიც სათანადოდ არის აღჭურვილი ყველა სახის ხელსაწყო-იარაღებით და ტექნიკური საშუალებებით და მასწავლებლებიც მაქსიმალურად იყენებენ არსებულ შესაძლებლობებს, ატარებენ სადემონსტრაციო ცდებს და ლაბორატორიულ სამუშაოებს, მაღალ დონეზე დგას კლასგარეშე მუშაობა. კარგად დაყენებული მუშაობის შედეგია ის, რომ მოსწავლეებმა კარგად იციან თეორიული მასალა და ფლობენ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.

ბიოლოგიის მოქმედი პროგრამების პრაქტიკული ნაწილი შედარებით უკეთესად სრულდება ქ. თბილისის 128-ე (მასწ. ნ. სოკოლოვა), 140-ე (მასწ. ვ. მაზიაშვილი), 150-ე (მასწ. ქ. ბაკურაძე), 179-ე (მასწ. ჟ. წითური), ქ. ქუთაისის მე-9 (მასწ. რ. ციციაშვილი), მე-19 (მასწ. ნ. როინიშვილი), 32-ე (მასწ. მ. ქვაჩაკიძე), აბაშის რაიონის სოფელ მარნის (მასწ. ნ. ანდრიაძე), სოფელ ეწერის (მასწ. ა. მაკალათია), სოფელ ძველი აბაშის (მასწ. მ. ახობაძე), მახარაძის რაიონის სოფელ დვაბზუს (მასწ. ლ. იმნაძე), ლანჩხუთის რაიონის სოფელ ქვიანის (მასწ. ო. ხალვაში), წულუკიძის რაიონის სოფელ მათხოჯის (მასწ. ნ. კუხალაშვილი) და სხვა სკოლებში. მასწავლებლები ატარებენ პროგრამით გათვალისწინებულ სადემონსტრაციო და ლაბორატორიულ ცდებს, პრაქტიკულ სამუშაოებს, მოხერხებულად იყენებენ ნატურალურ

ობიექტებს, სწავლების ყველა აუდოვიზუალურ საშუალებებს, მულიაჟებს, მოქმედ მოდელებს, ჩამოსარიგებელ მასალას, ტაბულებს. მოსწავლეთა მუშაობის დროს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მათს პრაქტიკულ უნარ-ჩვევების ფორმირებასა და განვითარებას.

შემოწმებული სკოლების ერთი ნაწილი მიზნობრივად იყენებს ბოტანიკის სწავლებაში სკოლის სასწავლო-საცდელ ნაკვეთს. მოსწავლეები ეცნობიან და სწავლობენ ნაკვეთის დაგეგმვას, მცენარეთა მოვლას, მათს ბიოლოგიურ აგებულებას, სიცოცხლის პირობებს, ატარებენ მყნობას და აწყობენ სანერგეებს, აქტიურად მონაწილეობენ მწვანე ნარგავების გაშენებაში. კარგად მოვლილი, დაგეგმილი და სწავლებაში გამოყენებული ნაკვეთები აქვთ ჩოხატაურის რაიონის სოფელ სამების 1-ლ რვაწლიან, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ქვიანის რვაწლიან, აბაშის რაიონის სოფელ მარნის, მახარაძის რაიონის სოფელ დვაბზუს, გურჯაანის რაიონის სოფელ შრომის, ქ. თბილისის 150-ე, 140-ე საშუალო სკოლებს, ქ. თბილისის 140-ე საშუალო სკოლის სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე (გამგე ც. ჯელია) მოსწავლეებმა დათესეს და მთელი წლის მანძილზე აწარმოეს ფენოლოგიური დაკვირვებები ხორბლის ახალ ჯიშებზე. მოაწყვეს კაკლის სანერგე. სანერგეში გამოყვანილი მცენარეთა ნერგები უსასყიდლოდ გადასცეს დიღმის საბავშვო ბაღებსა და სკოლებს-ეზოების გასამწვანებლად. ამ სკოლაში მუშაობა მიმართულია იქითკენ, რომ მოსწავლეებს გაუღვივონ ცხოველი ინტერესი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისადმი, მოსწავლეთა პრაქტიკული საქმიანობისათვის მიზნობრივად არის გამოყენებული სასწავლო-საცდელი ნაკვეთები რესპუბლიკის ბევრ სხვა რაიონში.

წულუკიძის რაიონის სოფლების გორდის, კინჩხის, აბაშის რაიონის სოფელ სუჯუნის, მახარაძის რაიონის სოფელ კონჭკათისა და სხვა სკოლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასწავლო ექსკურსიების ჩატარებას ბიოლოგიაში, სოფელ გორდის საშუალო სკოლამ საინტერესო ექსკურსია ჩაატარა საბჭოთა მეურნეობის საფუტკრეში, სადაც მოსწავლეები პრაქტიკულად გაეცნენ ფუტკრის მოვლა-პატრონობას, თაფლის ამოღების ტექნიკას. სოფელ კინჩხის საშუალო სკოლა ხშირად აწყობს ექსკურსიებს ადგილობრივი კოლმეურნეობის ფერმებსა და მინდვრებში, სადაც მოსწავლეები საფუძვლიანად, პრაქტიკულად ეცნობიან ცხოველებისა და მცენარეების მოვლასა და სიცოცხლის პირობებს.

ბევრ სკოლაში კარგად არის დაყენებული კლასგარეშე მუშაობა ბიოლოგიაში. ფართო და მრავალმხრივია ნორჩ ნატურალისტთა საქმიანობა, იგი საფუძვლიანად ამდიდებს მოსწავლეთა ცოდნას ბუნებაზე, მცენარეებსა და ცხოველებზე.

ამჟამად მოქმედი ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის პროგრამების პრაქტიკული ნაწილი დამაკმაყოფილებლად სრულდება, რაც საწინდარია იმისა, რომ მოსწავლეებს მიეცეს არა მხოლოდ თეორიული, განყენებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, პრაქტიკისაგან იზოლირებული ცოდნა, არამედ ცხოვრებისეული მოცდილება და პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რაც მათ შემდგომ საქმიანობაში გამოადგებათ.

ამასთან ერთად, ამ საქმეში შეინიშნება ნაკლოვანებები და ხარვეზები, რომელთა დროული და მთლიანი აღმოფხვრის აუცილებლობა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიართულებებითაა ნაკარნახევი.

ხარვეზები და ზოგჯერ კი სერიოზული ნაკლოვანებები შედეგია იმისა, რომ ადგილებზე სახალხო განათლების ორგანოების ინსპექტორა, მეთოდური სამსახური და სკოლების ხელმძღვანელები ჯეროვნად არ აფასებენ სასწავლო კაბინეტების როლს და არ იბრძვიან იმისათვის, რომ მასწავლებლებს ჰქონდეთ ყველა საჭირო პირობა სასწავლო პროგრამების მოთხოვნათა შესასრულებლად, მოსწავლეთა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის იმ დონის მისაღწევად, რაც აუცილებელია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულისათვის.

უნდა აღინიშნოს ის გულგრილი დამოკიდებულება კაბინეტების მოწყობის საქმეში, რასაც ადგილი აქვს ზოგ ქალაქსა და რაიონში.

რესპუბლიკის 123 საშუალო და 316 რვაწლიან სკოლას არ აქვს ქიმიის კაბინეტი. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ბოლნისის, დმანისის, ახალქალაქისა და ზოგ სხვა რაიონში. ზოგან კი ქიმიის კაბინეტებისათვის, მართალია, გამოყოფილია ოთახი, მაგრამ მის რეაქტივებით, ქიმიური ჭურჭლით, ხელსაწყოებით, ტექნიკური საშუალებებით, კოლექციებითა და მოდელებით აღჭურვას სათანადო ყურადღება არ ექცევა. ეს ითქმის ქ. თბილისის 32-ე, 72-ე, მე-80, 91-ე, 108-ე, 127-ე, 144-ე, სამტრედიის რაიონის მე-4, მე-6, ქ. გორის მე-3, მე-6, ბოლნისის რაიონის სოფელ კაზრეთის 1-ლ საშუალო სკოლებზე, კაბინეტებში ავეჯი უვარგისია, არ აქვთ საპრეპარატორო ოთახი, რის გარეშეც ქიმიის კაბინეტი არ შეიძლება იყოს, არ არის ამწოვი კარადები. ამ მხრივ ცუდი მდგომარეობაა ბოლნისის რაიონის მე-4 და სოფელ ბოლნისის საშუალო სკოლებში, მათ საერთოდ არ აქვთ ქიმიის კაბინეტები, სოფელ ბოლნისის საშუალო სკოლაში არსებული რეაქტივები, ქიმიური ჭურჭელი, ხელსაწყოები და ტექნიკური საშუალებები საკლასო ოთახშია თავმოყრილი, რაც დაუშვებელია მოსწავლეთა უსაფრთხოების თვალსაზრისით. ქიმიური რეაქტივები შენახულია ინსტრუქციის დარღვევით, არ აქვთ ხანძრის საწინააღმდეგო საშუალებები, ბოლნისის რაიონის სკოლებში აღმოჩნდა ისეთი რეაქტივები, რომელთა შენახვა სკოლაში აკრძალულია.

განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ქ. თბილისის 31-ე, 32-ე, 72-ე, 127-ე, 144-ე, ბოლნისის რაიონის მე-4, სოფელ კაზრეთის 1-ლი, სოფელ ბოლნისის, სამტრედიის რაიონის მე-4, მე-6, საშუალო სკოლები, სადაც არავითარი პირობები არ არის ქიმიური ექსპერიმენტების ჩასა-

ტარებლად. ამ სკოლებში საგანს ასწავლიან მხოლოდ დაფისა და ცარცის გამოყენებით, კაბინეტები ან არ აქვთ, ან მეტად ღარიბია. ქარელის რაიონის სოფელ აგარის საშუალო სკოლაში ქიმიის კაბინეტში, მართალია, მინიმალური პირობებია, მაგრამ მასწავლებლები დ. ბეგიაშვილი და ლ. გაგლოევა მაინც არ ატარებენ სადემონსტრაციო და ლაბორატორიულ ცდებს, პრაქტიკულ სამუშაოებს. ქ. თბილისის 32-ე, ბოლნისის რაიონის სოფელ კაზრეთის 1-ლ და სოფელ ბოლნისის საშუალო სკოლებში საგანს სკოლის დირექტორები ან მათი მოადგილეები (ჯ. ჭყონია, მ. პაჩურიშვილი, ზ. ხუბლარიანი, ბ. არზრუმანიანი) ასწავლიან, რომლებიც თვითონ არაფერს აკეთებენ საგნის სწავლებისათვის სათანადო პირობების შექმნისა და ექსპერიმენტის დანერგვისათვის, ისინი პრაქტიკულ სამუშაოებს კი არა, სადემონსტრაციო ცდებსაც კი არ ატარებენ. ცხადია, მათი ხელმძღვანელობა პედაგოგიური კოლექტივებისადმი კვალიფიციური არ იქნება.

ქიმიის კაბინეტების მოვლა-პატრონობისა და გაკვეთილებისათვის ექსპერიმენტის მომზადების საქმეში ნაკლებად გამოიყენებიან ლაბორანტები. სათანადო ყურადღება არ ექცევა მათი კვალიფიკაციის ამაღლებას, ამის გამო ხშირად ისინი სათანადო დახმარებას ვერ უწევენ მასწავლებლებს. უფრო მეტიც, რიგ შემთხვევაში ლაბორანტები მიზნობრივად არ არიან გამოყენებული. ბოლნისის რაიონის განათლების განყოფილება და ბოლნისის რაიონის მე-4 საშუალო სკოლის დირექტორი დ. ფოტოვი რით ხსნიან იმ სამარცხვინო ფაქტს, რომ სკოლის ქიმიის კაბინეტის ლაბორანტი სკოლის ნაცვლად რაიონის სამხედრო კომისარიატში ცხადდება სამუშაოზე, მაშინ როცა ამ სკოლაში არავითარი პრაქტიკულ-ლაბორატორიული სამუშაო არ ტარდება, რატომ არ აიმაღლა ხმა სკოლის ქიმიის მასწავლებელმა ე. ტანოვამ ამ დამახინჯების წინააღმდეგ? ცხადია, იმიტომ, რომ იგი არავითარ მუშაობას არ ეწევა სწავლებაში ქიმიური ექსპერიმენტის დასანერგად და ამდენად, არც ლაბორანტი ჭირდება. ქარელის რაიონის სოფელ აგარის საშუალო სკოლაში ახლახან ქიმიის კაბინეტის ლაბორანტად დანიშნეს ადამიანი, რომელსაც საბუღალტრო ტექნიკუმი აქვს დამთავრებული, სამუშაოზე, მართალია, ცხადდება, მაგრამ ფაქტიურად არ მუშაობს.

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებებით არის გამოწვეული ის, რომ დასახელებული სკოლების მოსწავლეთა ცოდნა დაბალია, მათ არ იციან უმარტივესი ხელსაწყოების აწყობა და ხმარება, არ აქვთ ცდების ჩატარების და დაკვირვებების წარმოების ჩვევები, ვერ ხსნიან პროგრამით გათვალისწინებულ ტიპობრივ ამოცანებს.

სამწუხარო ფაქტია, რომ ქ. თბილისის შემოწმებული სკოლების მეტ ნაწილში ქიმიის კაბინეტების მდგომარეობა და აქედან გამომდინარე პროგრამების პრაქტიკული ნაწილის შესრულება არასახარბიელო მდგომარეობაშია, ეს იმაზე მეტყველებს, რომ რაიონების, ქალაქების სა-

ხალხო განათლების განყოფილებების, ქ. თბილისის სახალხო განათლებ-
ბის სამმართველოს ინსპექტორები და მეთოდური სამსახური სათანადო
კონტროლს და დახმარებას არ უწევენ სკოლებს და არ ატარებენ ქმე-
დით ღონისძიებებს მდგომარეობის გამოსასწორებლად.

გარკვეული ნაკლოვანებებია ფიზიკაში სადემონსტრაციო ცდების, პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებისა და საერთოდ პრაქტიკული უნარ-ჩვევებით მოსწავლეთა შეიარაღების საქმეში, ზოგან ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა, არ ზრუნავენ საამისოდ საჭირო ბაზების მომზადებისათვის. ცუდად აღჭურვილი კაბინეტები აქვთ ონის რაიონის სოფლების უწერის (მასწავლებლები ნ. მეტრეველი, ნ. ხუჯაძე), ღების (ნ. ბოხაშვილი), ცხაკაიას რაიონის სოფლების ძველი სენაკის (ვ. ქავთარაძე, მ. ძიძიგური), თეკლეთის (ნ. ეგუტიძე), ბორჯომის რაიონის (ე. ბურდული). ქ. თბილისის 51-ე (გ. მაღრაძე, ე. ლომიძე, ლ. მიქაძე, რ. ერიქაშვილი), 79-ე (ვ. პეტრუშინა, ნ. ველიჩკო), 90-ე (პ. კვაშელავა, ტ. ნიქაბაძე) საშუალო სკოლებში, რის გამოც ვერ ტარდება ყველა სახის ექსპერიმენტი. გარდა იმისა, რომ კაბინეტები ხელსაწყო-იარაღებით ღარიბია, ისინი არც სისტემაშია მოყვნიალი და მოვლილი.

ზოგან შედარებით უკეთესი მდგომარეობაა კაბინეტების მოწყობის საქმეში, მაგრამ მასწავლებლები არ იყენებენ არსებულ შესაძლებლობებს, ლაბორატორიულ სამუშაოს ჯგუფურად ატარებენ, არ ასრულებენ პროგრამის მოთხოვნებს. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს ქ. თბილისის 71-ე, 47-ე, 78-ე, 121-ე, ონის რაიონის მე-2, ბორჯომის რაიონის სოფელ წალვერის, ცხაკაიას რაიონის მე-2 საშუალო სკოლების მასწავლებლების: კ. ნევსკის, ლ. ხონელიძის, თ. ბაკანოვის, ლ. გავაშელის, ნ. მაჭარაშვილის, ლ. ქავთარაძის, ე. ძაბინის, ი. იაშვილის, ა. უნდერენკოს, ლ. ჯიოევის, ვ. ლობჟანიძის, ნ. პაპარაშვილის, ვ. ქაჯაიას, გ. საბახტარაშვილის არადამაკმაყოფილებელი მუშაობა. დასახელებული სკოლების მოსწავლეთა ცოდნა დაბალია, არ აქვთ ფიზიკური ხელსაწყოების ჰიდრავლიკური წნევის, ბერკეტების, ვოლტმეტრის, რეოსტატის, მიკრომეტრის, ფსიქომეტრის, რეოქორდის, ცვლადი დენის გამმართველის, ცვლადი დენერატორის, სპექტროსკოპის და სხვა ხელსაწყოების გამოყენების ჩვევები, უჭირთ ფიზიკურ სიდიდეებს შორის დამოკიდებულების გრაფიკის აგება, ცდის შედეგების შეფასება, ცდომილების გამოთვლა.

სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები და სკოლები დღემდე ურიგდებიან იმ ფაქტს, რომ ბიოლოგიის კაბინეტი არ აქვს 310 საშუალო და 471 რვაწლიან სკოლას, უარესი მდგომარეობაა კაბინეტების მოწყობის საქმეში დმანისის, ლენტეხის, წალკის, გარდაბნისა და ზოგ სხვა რაიონში.

ამასთან ერთად, ზოგან ბიოლოგიის კაბინეტისათვის არ არის გამოყოფილი სათანადო ფართობის ოთახები, კაბინეტების აღჭურვილობა არ შეესაბამება საგნის სწავლებისათვის საჭირო დონეს (ცაგერის, ჩოხატაურის, გურჯაანის რაიონები), ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ბიოლოგიის სწავლებაში სასწავლო-საცდელი ნაკვეთების გამოყენებას. 603 საშუალო და რვაწლიან სკოლას საერთოდ არ აქვს საცდელი ნაკვეთი, ხოლო ზოგან ისინი მიზნობრივად არ არის გამოყენებული.

ნაკლოვანებებია კლასგარეშე მუშაობაში, კერძოდ, ნორჩ ნატურალისტთა წრეების საქმიანობაში. მათი მუშაობა უფრო თეორიულ, ვიდრე პრაქტიკულ ხასიათს ატარებს, იშვიათად ტარდება ფენოლოგიური დაკვირვებები, ნატურალური ობიექტების შეგროვება ბიოლოგიის კაბინეტისათვის, ეპიზოდურ ხასიათს ატარებს ექსკურსიები ბუნებაში, დაკვირვებები მცენარეთა და ცხოველთა ცხოვრებაზე;

აღნიშნული ნაკლოვანებების ერთ-ერთი მიზეზი კი ის არის, რომ ქ. თბილისის 36-ე, 37-ე, 47-ე, 94-ე, 144-ე, 153-ე, 154-ე საშუალო სკოლებში უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ერთხელაც არ გახსენებიათ ყურადღება მიექციათ საგნის სწავლებისათვის.

როგორც შემოწმებამ გვიჩვენა ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებელთა საქალაქო და რაიონული სექციების მუშაობაში ზოგან შეიმჩნევა საგანთა სწავლებისადმი ფორმალური მიდგომა, ისინი ნაკლებად ზრუნავენ მასწავლებელთა მეთოდური დახელოვნებისათვის, იანვრისა და აგვისტოს სექციურ სხდომებზე ნაკლებად იხილება და წყდება პრაქტიკული საკითხები. ამ საქმეს არც განათლების განყოფილებების მეთოდური კაბინეტები აქცევენ ჯეროვან ყურადღებას, უფრო მეტიც, ბოლნისის რაიონის ქიმიის მასწავლებელთა დიდ უმრავლესობას არ აქვს გავლილი მასწავლებელთა დახელოვნების კურსები.

ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებების, პარტიისა და მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილებების და დადგენილებების რეალიზაციის ამოცანები სახალხო განათლების თითოეული მუშაკისაგან მოითხოვს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მართვის სრულყოფას, ზრუნავს იმისათვის, რომ სკოლის კურსდამთავრებულს ჰქონდეს სწორი წარმოდგენა ბუნების მოვლებზე, შეეძლოს კონკრეტულიდან ზოგადი დასკვნების გაკეთება, თეორიული ცოდნის ცხოვრებაში, ყოველდღიურ საქმიანობაში გამოყენება. ამას შეძლებს მხოლოდ მაშინ, როცა იგი სწავლის პერიოდში სისტემატურად იქნება შეიარაღებული პრაქტიკული, ცხოვრებისეული ცოდნით, საამისო უნარ-ჩვევებით. ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ სრულად და მთლიანად სრულდება სასწავლო პროგრამის ყველა მოთხოვნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათანადოდ აღჭურვილი და კეთილმოწყობილი სასწავლო კაბინეტების გარეშე სკოლის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტა შეუძლებელია. ამიტომ საჭიროება მოითხოვს ორი-სამი წლის განმავლობაში ყველა სკოლა უზრუნველყოფილ იქნას ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტებით, მეტი ყურადღება მიექცეს მასწავლებელთა დახელოვნების კურსებზე ყველა სახის ექსპერიმენტის ჩატარებას თვით მასწავლებლების მიერ, რაც დღემდე გადაუჭრელი საკითხია, თვალსაჩინოების საბაზო მაღაზიები უკეთესად უნდა მომარაგდეს მცირეფასიანი დეფიციტური საქონლით.

სკოლების სამმართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ГР-36/11

შინაარსი

გადაწყვეტილება — საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა და მასწავლებელთა მასობრივ და რესპუბლიკურ ღონისძიებათა 1985 წლის კალენდარული გეგმის შესახებ 3

გადაწყვეტილება — „სოფლის სკოლების მასწავლებელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე" საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1983 წლის 8 დეკემბრის № 19-10 გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ 11

გადაწყვეტილება — რესპუბლიკის თერთმეტწლიანი სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების 1-ლ კლასებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზებისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების შესახებ 17

გადაწყვეტილება — მე-11 ხუთწლედის დავალებათა წარმატებით და გადაჭარბებით შესრულებისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში 1984 წლის სოციალიტური შეჯიბრების შედეგების შესახებ 37

გადაწყვეტილება — რესპუბლიკის ზოგადსაგანმანთლებლო სკოლებში 1983—1984 სასწავლო წლის გამოსაშვები გამოცდების შედეგების შესახებ . 47

გადაწყვეტილება — ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა მოთხოვნებიდან გამომდინარე ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის სასწავლო პროგრამების პრაქტიკული ნაწილის შესრულების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ 67